გიორგი გერგაული

მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები და მათი დაძლევის გზები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო

10 თებერვალი, 2016 წელი

საავტორო უფლება © 2016 წელი, ,,გერგაული გიორგი''

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **გერგაული გიორგის** მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: **„მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები და მათი დაძლევის გზები“** და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

___ თებერვალი, 2016 წელი

ხელმძღვანელი: იაშა (კოკა) კუტუბიძე, პროფესორი

რეცენზენტი: ირაკლი კალანდია, პროფესორი

რეცენზენტი: არსენ ბურჯალიანი, პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2016 წელი

ავტორი: **გერგაული გიორგი**

დასახელება: **მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები და მათი დაძლევის გზები**

ფაკულტეტი: ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

აკადემიური ხარისხი: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

სხდომა ჩატარდა: 10 თებერვალი, 2016 წელი

ინდივიდუალური პიროვნების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული დანიშნულებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტირებებისა, რომლებიც მოითხოვს მხოლოდ სპეციფიკურ მიმართულებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ბავშვთა უფლებების დაცვა და არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაზე ზრუნვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოში, ამასთანავე, მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული მნიშვნელოვან პრობლემად რჩება თანამედროვე საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკმაოდ მნიშვნელოვანია მოზარდებში ანტისოციალური ქცევის მიზეზების შესწავლა და შემდგომი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

მოცემული ნაშრომის მიზანი, მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლა და მათი დაძლევის გზების განსაზღვრაა. აღნიშნული ღონისძიებები, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის პრევენციისთვის გადადგმული ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯია და მოზარდებზე ზრუნვის და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხს უკავშირდება.

ბავშვის უფლებების დაცვის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, საქართველოში 2012 წლიდან ხორციელდება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობები, რომლის ფარგლებშიც იგეგმება და მიმდინარეობს სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. ეს ღონისძიებები საქართველოში მაცხოვრებელ ყველა არასრულწლოვანზე ვრცელდება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის ჩამოყალიბებამდე, ნაკლებად კოორდინირებულად, თუმცა მაინც ტარდებოდა გარკვეული პრევენციული ღონისძიებები მოზარდების დასაცავად. დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები ზოგიერთ შემთხვევაში არ არსებობს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ სუსტია და ნაკლებად არის მორგებული ქართულ რეალობაზე.

აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი უკავშირდება მოზარდებში ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლას, ამ სფეროსთან დაკავშირებული მიზეზების კვლევას და ანალიზს. ნაშრომის პირველ ნაწილში ძირითადად აღწერილი და განხილულია კვლევების და სამეცნიერო შეხედულებების შესახებ, რომლებიც ანტისოციალური ქცევის შესწავლის და პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით იქნა ჩამოყალიბებული. აღნიშნულ ნაწილში ასევე საუბარია ანტისოციალური ქცევის გამომწვევ მიზეზებსა და იმ შესაძლო გართულებებზე, რომლებიც პრობლემის უყურადღებოდ დატოვებას შეიძლება მოჰყვეს. ინკლუზიური განათლების პროგრამების მეშვეობით შესაძლებელია, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებმა საჯარო სკოლებში შეძლონ სწავლა. ნაშრომის ამ ნაწილში სწორედ აღნიშნულ პრობლემაზე მახვილდება ყურადღება, კერძოდ იმ მოდელებისა და პროგრამების შესახებ, რომლებიც მოსწავლეთა ერთად სწავლასა და სწავლებას შეუწყობს ხელს.

ნაშრომის მეორე თავი მოიცავს მოზარდების სამართლებრივი მდგომარეობის და იმ ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, რომელიც იგეგმება და მიმდინარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულ ნაწილში ამასთანავე, გაანალიზებულია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და მისი შედეგები, კერძოდ, რა პროგრამები და ღონისძიებები ტარდება მოზარდებში დანაშაულის თავიდან ასარიდებლად, რა მიმართულებები არის რისკის ჯგუფებად მიჩნეული და რა საკითხებზე ამახვილებენ სახელმწიფო ინსტიტუტები განსაკუთრებულ ყურადღებას. ამასთანავე, განხილული და გაანალიზებულია პრევენციული ღონისძიებების დონეები, მოზარდების მიერ ბოლო წლებში ჩადენილი დანაშაულებები და მოზარდობის პერიოდის განვითარების ზოგადი თავისებურებები.

ნაშრომის მესამე თავი, ეთმობა ანტისოციალური ქცევის მიზეზებისა და ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების მიმღებლობის შესწავლის საკითხებთან დაკავშირებულ კვლევას. ამ მხრივ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საზოგადოება - პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩათვლით, მათი პროფესიული და ემოციური მზადყოფნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებთან მუშაობისა და შემდგომი ურთიერთობისთვის. ამ პრობლემების შესწავლის მიზნით ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 437-მა პირმა, რომელთა შორისაც იყვნენ როგორც პედაგოგები, ასევე მოსწავლეები და მშობლები. კვლევა ჩატარდა ქვემო ქართლის რეგიონში 2015 წლის 20 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით, ქ. რუსთავში, ქ. გარდაბანში, ქ. მარნეულში, ბოლნისში, ქ. დმანისში, ქ. თეთრიწყაროსა და ქ. წალკაში და მოიცავდა ანტისოციალური ქცევის მოზარდთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებებისა და მიმღებლობის შესწავლას, ამასთანავე, აღნიშნული ფაქტორების შესაძლო გავლენის აღწერას მოზარდთა ქცევაზე, პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების მზაობას ანტისოციალური ქცევის მოზარდებთან ურთიერთობაში, მოსახლეობის ინფორმირებულობას დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესახებ, სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას და ა.შ.

საქართველოში მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები და არასრულწლოვანთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებები დღემდე ნაკლებად არის შესწავლილი. ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილია, რომ საზოგადოების ნაწილი უარყოფითად არის განწყობილი. აღნიშნული ნაშრომი ამ კუთხითაც არის მნიშვნელოვანი - მიღებული შედეგების მიხედვით შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა ამ საკითხისადმი დამოკიდებულებების აღწერა, არამედ ამ დამოკიდებულებათა მიზეზების გარკვევა, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელია საზოგადოებისთვის ინფორმაციის სწორი ფორმით მიწოდება. კვლევის შედეგები, სამომავლოდ, ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვას და განხორციელებას როგორც სახელმწიფო, ასევე სამოქალაქო სექტორში.

Abstract

Children rights protection and juvenile crime prevention are one of the major priorities in Georgia, meanwhile adult delinquency remains as a serious problem for state and modern society. Thus it becomes very important to study reasons of antisocial behavior and to plan preventive measures.

The aim of the following Ph.D. thesis is to study social and psychological factors of juvenile antisocial behavior and to determine the ways to cope with this issues. It is safe to say that these measures would be a big step forward in the field of juvenile crime prevention, care and social re-integration.

Because of paramount importance of children wrights protection from 2012 year the activities for juvenile crime prevention have been implementing in Georgia; within these activities various projects and measures are being scheduled and implemented. These measures outreach all juvenile residents of Georgia. It is also worth to mention that before elaboration of the juvenile delinquency prevention strategy there were some preventive activities, less coordinated though, to protect youngsters. The analysis of existing situation shows that there are no measurements of effectiveness of the conducted activities so far or if there are any, they appear to be less effective and fail to feat with the existing situation in Georgia.

The following Ph.D. thesis is related to study of socio-psychological factors of antisocial behavior in juveniles, research and analysis of causes related to this sphere. In the first chapter of the thesis previous studies and scientific hypotheses on antisocial behavior and preventive measures are described and discussed. In this chapter the causes of antisocial behaviors and possible further complications that may occur in case of neglect are discussed. Via inclusive education programs adults with antisocial behavior can attend public schools. In this part of research main emphasis is made on those programms, namely on those models and programs that will facilitate the studying and learning process of pupils.

The second chapter of the thesis contains information about legal issues and measures that have been planning and implementing all over Georgia to cope with juvenile delinquency. Also the strategy of juvenile crime prevention and its results are analyzed in this section, namely what programs and measures have been conducting in order to prevent delinquency in adults, who are considered as risk groups and what issues do state agencies emphasize most of all. Also the following topics are discussed and analyzed; the levels of preventive measures, crimes committed by juveniles in last years and general aspects of development in puberty period.

The third chapter of the thesis covers the causes of antisocial behavior and acceptance of adults with antisocial behavior. In this sense the most important aspect is society – including teachers, parents and pupils. The emotional and professional readiness of teachers is especially important in working and communicating with children. With the aim of investigating these issues 437

respondents were surveyed including teachers, parents and pupils. The research had been conducting from May 20 till June 03 in 2015 in year in the cities of Qvemo Kartli region: Rustavi, Gardabani, Marneuli, Bolnisi, Dmanisi, Tetritskaro and Tsalka. The study investigates acceptance of and attitudes of society toward adults with antisocial behavior, also it describes of impact that these factors might have on the behavior of adult; the readiness of teachers, parents and pupils to communicate with adults with antisocial behavior; public awareness about crime prevention strategies; feasibility of implementation of special educational programs in schools and etc.

There is a lack of scientific studies on the topic of social and psychological factors of juvenile antisocial behavior and attitudes of society toward adults with delinquency in Georgia. It is known that one part of society has negative attitude in this connection. The following study is important also in other sense - results of this research will provide description of the attitudes of teachers, parents and pupils toward this issue, also it will explain the causes of these attitudes and by considering those findings it will be possible to inform society in proper manner. In future the study results will contribute to effective planning and implementation of crime preventive measures both in state and public sector.

შინაარსი

ტიტულის გვერდი i

ხელმოწერების გვერდი ii

საავტორო უფლების გვერდი iii

რეზიუმე (ქართულ ენაზე) iv

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) vi

შინაარსი viii

ცხრილების ნუსხა x

შესავალი 11

ლიტერატურის მიმოხილვა 14

შედეგები და მათი განსჯა 24

თავი I. მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები და ინკლუზიური განათლება 24

1.1. ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები 24

1.2. ინკლუზიური განათლება და ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების სწავლება 29

თავი II. მოზარდთა ანტისოციალური ქცევა, დანაშაული და პრევენციის სტრატეგია 38

2.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის სამართლებრივი მხარე 38

2.2. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია 40

2.3. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შედეგები 42

2.4. მოზარდი და დანაშაული 54

2.5. პიროვნების განვითარების თავისებურებები მოზარდობის პერიოდში 58

თავი III. მოზარდთა ანტისოციალური ქცევა და საზოგადოების დამოკიდებულებები..... 64

3.1. დამოკიდებულებების კვლევის მეთოდოლოგია, ინსტრუმენტის შემუშავება და შერჩევის პროცესი..... 64

3.2. დამოკიდებულებების კვლევის აღწერითი ნაწილი..... 66

3.3. მონაცემთა ანალიზი..... 128

დასკვნა 141

გამოყენებული ლიტერატურა.....147

დანართი..... 153

ცხრილების ნუსხა

N1 ცხრილი 67
N2 ცხრილი 67
N3 ცხრილი 68
N4 ცხრილი 73
N5 ცხრილი 76
N6 დიაგრამა 76
N7 დიაგრამა 79
N8 ცხრილი 84
N9 დიაგრამა 84
N10 დიაგრამა 88
N11 დიაგრამა 90
N12 ცხრილი 92
N13 ცხრილი.....95
N14 ცხრილი 96
N15 ცხრილი 100
N16 ცხრილი 104
N17 ცხრილი 106
N18 ცხრილი 111
N19 დიაგრამა 113
N20 ცხრილი 114
N21 ცხრილი 117
N22 ცხრილი 118
N23 დიაგრამა 118
N24 ცხრილი 122
N25 ცხრილი 126
N26 ცხრილი 129
N27 ცხრილი 130
N28 ცხრილი 131
N29 ცხრილი 132
N30 ცხრილი 132
N31 ცხრილი 133
N32 ცხრილი 134
N33 ცხრილი 134
N34 ცხრილი 135
N35 ცხრილი 135
N36 ცხრილი 136

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა: ანტისოციალური ქცევა, რომელიც სოციუმის, კერძოდ, საზოგადოებრივი ნორმების და წესების საწინააღმდეგოდ არის მიმართული, დღესდღეობით, საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჩვენს თანამედროვეობაში. პიროვნების ქცევის ფორმირებაზე გავლენას ახდენს როგორც სოციალური, ასევე ფსიქოლოგიური ფაქტორები. აქედან გამომდინარე, მომავალში, ადამიანის ქცევა ანტისოციალური იქნება, თუ სოციალურად მისაღები, სწორედ ამ ფაქტორების ზემოქმედებაზეა დამოკიდებული.

ანტისოციალური ქცევის მართვაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ქცევის ჩამოყალიბება და განვითარება დაბადებიდან იწყება და მასში თითოეული ადამიანი მონაწილეობს, მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის, მშობლის, ოჯახის და სოციალური გარემოს როლი და მათი დამოკიდებულებები.

მოზარდობის პერიოდში არასრულწლოვანთა ქცევა და მისი მართვა, მიუხედავად სოციალურ გარემოში არსებული მდგომარეობისა, განსაკუთრებით რთულდება. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი იმ ფსიქო-სოციალური ფაქტორების შესწავლა, რომლებიც მოზარდთა ანტისოციალური ქცევის განხორციელებაზე ახდენენ გავლენას.

საქართველოში არასრულწლოვნების, კერძოდ მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს როგორც ქვეყნისთვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის. გარდა იმისა, რომ ეს მოქალაქეებისთვის სერიოზული პრობლემების მომტანია, ამასთანავე მოზარდების მომავალს უქმნის საფრთხეს. საქართველოში მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზები საკმაოდ მრავალფეროვანია და საჭიროებს კომპლექსურ ღონისძიებებს, ეს ყოველივე კი დანაშაულის პრევენციისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო კვლევის მიზანი *მოზარდთა ანტისოციალური ქცევის*

სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლა და მათი დაძლევის გზების განსაზღვრაა.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში საკმაოდ მნიშვნელოვანია ქვემო ქართლის რეგიონში ანტისოციალური ქცევის მოზარდთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებებისა და მიმღებლობის, ამასთანავე, ამ ფაქტორების მოზარდთა ქცევაზე შესაძლო გავლენის აღწერა, პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების მზაობის დადგენა ანტისოციალური ქცევის მოზარდებთან ურთიერთობაში, დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის შესწავლა, სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობის დადგენა და სხვ.

კვლევის ძირითადი ჰიპოთეზები:

1. პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების გამოცდილება (იცნობენ თუ არა) გავლენას ახდენს ანტისოციალური ქცევის მოზარდის დახმარებაზე, ერთად სწავლის სურვილზე, მეგობრობაზე და ა.შ.;
2. პედაგოგებს, მოსწავლეებს და მშობლებს ნეგატიური დამოკიდებულებები აქვთ ანტისოციალური ქცევის მოზარდების მიმართ;
3. პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების დამოკიდებულებებს ანტისოციალური ქცევის მოზარდებთან მიმართებაში განსაზღვრავს მათი სტერეოტიპები;
4. პედაგოგებს, მოსწავლეებს და მშობლებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესახებ;
5. ინფორმირებულობა ხელს უწყობს ანტისოციალური ქცევის მოსწავლეთა სწავლების მიმართ პედაგოგების მზაობას, ხოლო შვილის კლასში სწავლასთან დაკავშირებით მშობელთა მზაობას.

აღნიშნული ჰიპოთეზების შემოწმებისთვის შემუშავდა კვლევის საზომი ინსტრუმენტი და მისი გამოყენებით შესწავლილ იქნა მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები და მასთან დაკავშირებული საკითხები. კვლევა დაიგეგმა და ჩატარდა ქვემო ქართლის

შემდეგ ქალაქებში: რუსთავი, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო და წალკა. კვლევისთვის წინასწარ შემუშავდა საკვლევი ინსტრუმენტი, განისაზღვრა კვლევის მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა, დაიგეგმა კვლევის საველე სამუშაოები მონაცემების შესაგროვებლად და დასამუშავებლად და ა.შ.

მეცნიერული სიახლე: 1. მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების და საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევა ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელდა პირველად; 2. დადგინდა ის ფაქტორები, რომლებსაც აქვთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები; 3. დადგინდა ის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ მოზარდებში ანტისოციალური ქცევის განხორციელებაზე; 4. შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მოზარდთა ანტისოციალური ქცევის დაძლევას შეუწყობს ხელს.

პრაქტიკული მნიშვნელობა: მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების კვლევა, გარდა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზების შესწავლისა, აღწერს *მოზარდთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებების ქცევაზე გავლენას.* აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ქვეყანაში მომუშავე იმ ორგანიზაციებსა თუ საზოგადოების წევრებს, რომლებსაც არასრულწლოვანთა პრობლემატიკასთან აქვთ შეხება და მუშაობენ ბავშვთა დაცვის სფეროში. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენება ასევე შესაძლებელია მოზარდთა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით სახელმწიფო სტრატეგიის განსაზღვრისას, სამეცნიერო დაწესებულებებში და ა.შ.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოში არასრულწლოვნების, კერძოდ მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს როგორც ქვეყნისთვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის. გარდა იმისა, რომ ეს მოქალაქეებისთვის სერიოზული პრობლემების მომტანია, ამასთანავე მოზარდების მომავალს უქმნის საფრთხეს.

საქართველოში მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზები საკმაოდ მრავალფეროვანია და საჭიროებს კომპლექსურ ღონისძიებებს, ეს ყოველივე კი დანაშაულის პრევენციისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

2011 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავდა ინკლუზიური განათლების პროგრამის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებების შესწავლას, დადგინდა, რომ პედაგოგებს, მშობლებს და მოსწავლეებს უჭირთ ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეთა მიღება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენციისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლასთან ერთად, შესწავლილ იქნას დამოკიდებულებები და ასევე, თუ როგორი მიმღებლობა აქვს საზოგადოებას აღნიშნული ჯგუფის მოზარდებთან მიმართებაში [1,51].

სამეცნიერო ლიტერატურაში ანტისოციალური ქცევის ზუსტი განმარტება არ გვხვდება, თუმცა უმეტესად, მეცნიერები თანხმდებიან იმაზე, რომ აღნიშნული ქცევა საზოგადოებრივი ნორმების საწინააღმდეგოდ ხორციელდება. განმარტებების თანახმად:

- ანტისოციალური და ძალადობრივი ქცევა განისაზღვრება, როგორც საზოგადოების მიმართ ჩადენილი მტრული და მავნე ქმედება [2];
- ანტისოციალური ქცევა შედგება ისეთი ურთიერთდაკავშირებული ქცევებისგან, როგორიც არის ქურდობა, ძალადობა, დაუმორჩილებლობა, აგრესია, ფეთქებადობა და ტყუილი [3];

- დელინკვენტური ქცევა (Delinquency) მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან დადგენილი სამართლებრივი ნორმების დარღვევას, რაც განაპირობებს მოზარდის სამართალდამცავ სტრუქტურებში მოხვედრას;
- დევიაციური ქცევა არის ქმედების სახე, რომელიც გულისხმობს ჯგუფის ან საზოგადოების წევრთა უმრავლესობის მიერ აღიარებული ღირებულებებისა და ნორმებიდან გადახრას. ვინაიდან სხვადასხვა კულტურათა და სუბკულტურათა ნორმები და ღირებულებები განსხვავებულია, მათში დევიანტური ქცევის შესახებ წარმოდგენაც მნიშვნელოვნად განსხვავდება, აქედან გამომდინარე, ქცევის მრავალი ფორმა, რომელსაც გარკვეულ კონტექსტში ან ჯგუფში ძალზედ პოზიტიური შეფასება აქვს, სხვა ჯგუფების მიერ ნეგატიურად აღიქმება;
- ოპოზიციურ-დევიანტური ქცევა არის „მტრული, დაუმორჩილებელი და აგრესიული ქცევა, განსაკუთრებით ავტორიტეტულ პირებთან ურთიერთობისას. მოზარდს, რომელსაც ოპოზიციურ-დევიანტური ქცევა ახასიათებს, არის ჯიუტი და დაუმორჩილებელი, უარს ამბობს დავალების და მითითების შესრულებაზე, გამუდმებით ეპასუხება უფროსებს, ადვილად ღიზიანდება და გამოხატავს უარყოფით რეაქციებს“ და ა.შ. [4, 22-23].
- დევიაცია, სოციოლოგიური განმარტების მიხედვით, განიხილება, როგორც „არაკონფორმულობა ნორმების გარკვეული ერთობლიობისადმი, რომელიც ადამიანთა ერთობის ან საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ არის აღიარებული“ [5, 214].

ამ განმარტების მიხედვით, საზოგადოება ორ კატეგორიად იყოფა: ადამიანები, რომლებიც იცავენ ნორმებს და ადამიანები, რომლებიც არღვევენ მათ.

ყველა სოციალურ ნორმას თან ახლავს სანქციები, რომლებიც ხელს უწყობს მათ დაცვას. „სანქცია არის ინდივიდის ან ჯგუფის ქცევაზე სხვების

ნებისმიერი რეაქცია, რომლის მიზანია, პიროვნებამ ან ჯგუფმა იმოქმედოს ნორმების შესაბამისად“ [5, 216].

აქედან გამომდინარე, სანქცია ორი სახისაა, როგორც პოზიტიური, რაც გულისხმობს კონფორმულობისთვის დაჯილდოვებას, ასევე ნეგატიური – არაკონფორმული ქცევის გამო დასჯა.

სანქციები ამასთანავე არის ფორმალური – ჯგუფის მიერ განსაზღვრული ნორმების დაწესება და არაფორმალური – ნაკლებად ორგანიზებული და სპონტანური რეაქციები არაკონფორმულობაზე. ფორმალური სანქციის ძირითადი სახეა სასამართლო და ციხე. რაც შეეხება კანონს, მას ხელისუფლება განსაზღვრავს, როგორც სამოქმედო პრინციპებს, რომლებიც ადამიანების მიერ სავალდებულოა შესასრულებლად.

ანტისოციალური ქცევის პრევენციისთვის, როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან არსებობს ე.წ. მორალურ-სამართლებრივი სანქციები, რომლებიც დევიაციური და დელინკვენტური ქცევების მართვას და კანონის დაცვას უწყობს ხელს.

ადამიანთა სოციალურ ცხოვრებას გარკვეული წესები და ნორმები მართავს. ანტისოციალური ქცევის შესწავლისას, გასათვალისწინებელია, თუ რომელ წესებს იცავენ და რომელს არღვევენ ადამიანები. ყველა ადამიანი არ არღვევს, თუმცა არც იცავს ყველა ნორმას. ის ადამიანები, რომლებიც შესაძლოა საერთოდ არ მიეკუთვნებოდნენ წესიერ საზოგადოებას, ზოგიერთ შემთხვევაში, იცავენ ისეთ წესებს, რომლებიც მათ მიკრო ჯგუფშია მიღებული.

- ანტისოციალური ქცევის ჩამოყალიბების პროცესი პირდაპირ არის დაკავშირებული არასრულწლოვნის მშობლებთან, ოჯახის სხვა წევრებთან და საზოგადოებასთან. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანია სოციალიზაციის „პროცესი, რომლის საშუალებითაც ბავშვი იძენს პიროვნულ იდენტობას და ხდება ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წევრი. იგი ითვისებს ყველა იმ ნორმას, ღირებულებას, ქცევებსა და სოციალურ უნარებს, რომელიც

მოცემულ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს ახასიათებს და რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ საკუთარი სოციუმის ცხოვრებაში მიიღოს მონაწილეობა“ [4, 26-27]. აღნიშნულ პროცესში, არასრულწლოვნის ანტისოციალურ წრეში მოხვედრა ხელს უწყობს მასში ისეთი ღირებულებების და ნორმების ფორმირებას, რომელიც პრობლემატურია საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის.

დანაშაულის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია მოზარდების დასაქმება და სხვადასხვა აქტივობებსა თუ პროგრამებში ჩართვა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ რისკფაქტორები ასაკის მიხედვითაც იცვლება, მაგალითად, ოჯახთან დაკავშირებული რისკფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის ადრეულ ასაკში, ხოლო თანატოლებთან ურთიერთობის რისკფაქტორები მოზრდილობის პერიოდშია საშიში.

ანტისოციალური ქცევის მიმართ, საერთაშორისო გამოცდილება, მკაცრი ღონისძიებების გატარებას დადებითად არ მიიჩნევს, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ქმედებების განხორციელების შესამცირებლად მისი თავიდან აცილების სტრატეგია უფრო გამართლებულია, ზოგიერთი განვითარებული ქვეყანა დღესაც არ ახორციელებს პრევენციულ პროგრამებს, რადგან, პოზიტიური შედეგი დროის მცირე მონაკვეთში არ დგება.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ანტისოციალური ქცევის პრევენციაზე მუშაობა, რათა მომავალში შემცირდეს მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულებები.

ბიჰევიორისტული მიმდინარეობის მიხედვით, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა, ადამიანის ქცევა, აზრები და გრძნობები ფორმირდება გარემოს გავლენის შედეგად. ამ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს როლს და მის ზემოქმედებას ადამიანის განვითარებაზე. ბიჰევიორიზმის მიმართულება ძირითად აქცენტს აკეთებს დასწავლის პრობლემაზე, რომლის ძირითადი მიზანი გარემოსთან ადაპტირებაა.

აღნიშნული პრობლემა მოიცავს ქცევის ფორმათა ისეთ ფართო სპექტრს, როგორიცაა ცოდნა, ცხოვრებისეული პრინციპები, უნარები და ა.შ.

ბიჰევიორიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ***ა. ბანდურა,*** მის სოციალური დასწავლის თეორიაში სწავლას განიხილავს როგორც გამოცდილების დაგროვების აქტიურ, კონტროლირებად და კოგნიტურ პროცესს. მისი აზრით, ადამიანის ქცევითი რეაგირება მის გარშემო არსებული მოვლენების მიმართ არის გააზრებული, აქტიური პროცესი, რომელიც მის მოტივაციაზე, ემოციებსა და აზროვნებაზეა დამყარებული.

ამასთანავე, იგი ადამიანს განიხილავს, როგორც სოციალურ არსებას, რომელიც აკვირდება სხვა ადამიანების ქცევებს, აყალიბებს ამ ქცევების კოგნიტურ სურათს და იყენებს შემდგომში [6, 198-217].

„ა. ბანდურას აზრით, სწავლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვი ბაძავს სხვის ქცევას და არ ელოდება შექებას ან დასჯას. თუ ბავშვი ხედავს, რომ სხვა ადამიანების ქცევა გარშემომყოფთათვის მისაღებია, ის ცდილობს გააკეთოს ამ ქცევის მოდელირება“, ამასთანავე, „ბავშვები, რომლებიც უყურებენ აგრესიულ ქცევას, შემდგომში თვითონაც აგრესიას ავლენენ“ [7, 4-5]. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ საზოგადოებამ და მათთან ერთად თითოეულმა ოჯახმა იზრუნოს იმაზე, რომ ბავშვის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს და მოზარდთა მიერ განხორციელებულ ქცევაზე მოახდინოს ადეკვატური რეაგირება.

ეკოსისტემური თეორიის მიხედვით, რომელიც ჩამოაყალიბა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ***ური ბროფენბრენერმა*** XX საუკუნის მეორე ნახევარში, არსებობს გარემოს ზეგავლენის მრავალი დონე, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის განვითარებაზე მთელი ცხოვრების განმავლობაში. მან პირველ ეტაპზე გამოყო ოთხი დონე, კერძოდ:

1. **მიკროსისტემა** – პიროვნების უშუალო გარემო და ამ გარემოში არსებული ურთიერთობები;
2. **მეზოსისტემა** – მოიცავს მიკროსისტემებს შორის ურთიერთობას, სხვადასხვა სისტემებს შორის ინტერაქციას;

3. **ეგზოსისტემა** – სისტემა, რომელშიც ადამიანი თავად არ მონაწილეობს, მაგრამ ეს სისტემა გავლენას ახდენს მასზე;
4. **მაკროსისტემა** – საზოგადოების სისტემების ერთობლიობა, იდეოლოგიები, ღირებულებები, ნორმები და ა.შ.

მოგვიანებით უ. ბროფენბრენერმა გაითვალისწინა დროითი ფაქტორის გავლენა, განვითარების პერიოდსა და კულტურაში მომხდარი ცვლილებები და ზემოთ აღნიშნულ ოთხ სისტემას დაუმატა ერთი – **ქრონოსისტემა.**

აღნიშნული თეორიის მიხედვით, ადამიანის განვითარებას განაპირობებს გარემოსა და ინდივიდს შორის ინტერაქცია. განვითარება არის პიროვნებაზე მოქმედი გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგი. აღნიშნულ გარე ფაქტორებში იგულისხმება როგორც მიკრო სოციალური გარემო, მშობლები, ოჯახის წევრები, ასევე საზოგადოება და ის ინსტიტუტები, რომლებიც ცხოვრების განმავლობაში ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ცხოვრებაზე [8].

ადამიანს ცხოვრების განმავლობაში უწევს სხვადასხვა როლების მორგება, აღნიშნული პროცესი, ბროფენბრენერის აზრით, მოიცავს სხვადასხვა გამოწვევების დაძლევას, გარდასახვას, რის შედეგადაც, ადამიანს შეუძლია განსხვავებულად აღიქვას და გაითავისოს სამყარო [8].

განვითარების პროცესში შინაგანი და გარემო ფაქტორების მნიშვნელობაზე ამახვილებს ასევე ყურადღებას განწყობის ფსიქოლოგიის ფუძემდებელი ***დ. უზნაძე.*** მისი აზრით, „განვითარებას ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების დამოუკიდებელი მოქმედება კი არ განსაზღვრავს, არამედ მათი განუყრელი მთლიანობა. ცოცხალი ორგანიზმის შინაგანი შესაძლებლობები მხოლოდ შესატყვისი გარე პირობების ნიადაგზე პოულობენ რეალიზაციის საშუალებას“.

უზნაძე ხაზს უსვამს ასაკობრივი გარემოს მნიშვნელოვნებას და ამბობს, რომ „ბავშვის თითოეული პერიოდის განვითარებას ასაკობრივი გარემო განსაზღვრავს“, აქედან გამომდინარე, მოზარდობის პერიოდში, თუ ასაკობრივი გარემო არ ან ვერ უზრუნველყოფს ბავშვის ძირითადი საჭირო-

ებების დაკმაყოფილებას, რისკი იმისა, რომ მოზარდის განვითარების პროცესი პრობლემატურად წარიმართოს და ანტისოციალური ქცევები ჩამოყალიბდეს, საკმაოდ მაღალია [9, 14-15].

ეტიკეტირების თეორიის მიხედვით, რომელიც 1938 წელს ჩამოაყალიბა ამერიკელმა სოციოლოგმა ***ფრენკ ტენენბაუმმა.*** დევიაცია განიხილება პირველად და მეორად დევიაციად. პირველადი დევიაციის ახსნა სხვადასხვა მიზეზების მეშვეობით ხდება, ხოლო მეორადი დევიაცია – სოციალური გარემოს მიერ მიწერილი როლით. აღნიშნული თეორიული მოდელის მიხედვით, საზოგადოება, რომელიც პირის ნეგატიურ ეტიკეტირებას ახდენს, გავლენას ახდენს მის ცნობიერებაზე და წარმოშობს მასში დევიანტურ იდენტობას [10, 37-38].

ეტიკეტირების თეორიიდან გამომდინარე, საზოგადოების მხრიდან შეფასებების და სტერეოტიპების განსაზღვრა საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია ანტისოციალური ქცევის მოზარდებთან მიმართებაში, სწორედ ამიტომ, აღნიშნული თეორია დაგვეხმარება როგორც ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების ანალიზისა და ახსნის, ასევე მისი დაძლევის ღონისძიებების დაგეგმვის დროს.

მოზარდებთან მიმართებაში განსხვავებული მოსაზრება აქვს ინდივიდუალური ფსიქოლოგიის წარმომადგენელს, ***ალფრედ ადლერს.*** მისი აზრით, „მოზარდის ასაკობრივი პერიოდი ფაქტობრივად სხვა არაფერია, თუ არა განვითარების მომდევნო საფეხური, რომელიც ყველა ინდივიდმა უნდა გაიაროს“ [11, 161].

ამასთანავე, ავტორი მიიჩნევს, რომ ბავშვებზე მატერიალური მდგომარეობის თავისებურებასთან ერთად, როგორიც არის სიღარიბე ან მოულოდნელი სიმდიდრე, ასევე ახდენენ ზეგავლენას ის ფსიქოლოგიური ფაქტორები და გარემოებები, რომლებიც მოზარდის ოჯახში ჩნდება.

ფსიქიატრები ***ნ. ოკრიბელაშვილი*** და ***გ. ნანეიშვილი*** მათ ნაშრომში ხაზს უსვამენ თანამედროვე პერიოდის ფსიქოლოგებისა და ფიზიოლოგების მოსაზრებას და აღნიშნავენ, რომ განვითარების პროცესში ადამიანებს

აქვთ კრიტიკული, ე.წ. სენსიტიური პერიოდები, როდესაც „ახასიათებთ შინაგანი და გარეგანი ფაქტორების მიმართ მომატებული მგრძნობელობა. ამ დროს შეიძლება განვითარდეს შეუქცევადი ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალონ პიროვნების ძირითადი მახასიათებ-ლები“ [12, 70-71]. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიროვნების სოციალური სტატუსის ცვლილება.

სწორედ ამ ფაქტორების ზემოქმედების გამო არის ძალიან მნიშვ-ნელოვანი მოზარდობის პერიოდის დროს ბავშვის მიმართ განსაკუთ-რებული ყურადღების მიქცევა, რათა თავიდან იქნას აცილებული შემდგომი გართულებები და პრობლემები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის სრული პროფესორი, ნეიროფსიქოლოგი ***თამარ გაგოშიძე*** მის ნაშ-რომში აღნიშნავს, რომ ქცევის დარღვევები, ძირითადად, ანტისოციალური ქცევის წინმსწრები დიაგნოზია და მკურნალობის მიმართ ძლიერი რეზის-ტენტობით გამოირჩევა. თუმცა დღეისთვის ქცევის დარღვევებში გამოვლე-ნილი, უკვე განმტკიცებული არასასრუველი ქცევის მოწესრიგების შედარე-ბით ეფექტურ გზად ქცევითი თერაპია რჩება [13, 72].

მოზარდობის პერიოდის პრობლემების მოგვარებაზე აკეთებს აქცენტს ბრიტანელი მეცნიერი, ფსიქიატრი ჯონათან ჰილი, რომელიც მის ნაშრომში – „ბავშვობის და მოზარდობის პერიოდის ქცევითი აშლილობები“ – აღ-ნიშნავს მშობელთა როლის და მნიშვნელოვნების შესახებ. მისი აზრით, მნიშვნელოვანია მშობლებისთვის შემთხვევის მართვის ჩვევების სწავლება, პრობლემათა გადაჭრის ჩვევების ფორმირება, ფუნქციონალური და მულ-ტისისტემური თერაპია [14].

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, ფსიქოლოგ ***მარკ ედის*** აზრით, ხშირად, ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვანი პირის შემთხვევის მართვა მიზანშეწონილია მულტიდისციპლინური გუნდის (ოჯახზე ცენტრირებული მულტისისტემური თერაპიის) მეშვეობით, რაც

რამდენიმე (თუ ყველა არა) რისკფაქტორზე ერთდროულად ზემოქმედების შესაძლებლობას გვაძლევს [15].

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიდგომა ძირითადად მოზარდის და მის გარშემო მყოფი პირების ფიზიკურ, ემოციურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზეა ორიენტირებული, ის მაინც ვერ იძლევა ვერანაირ გარანტიას, რომ მოხდება შემდგომი პრობლემების თავიდან აცილება. აღნიშნული მიდგომის კიდევ ერთი უარყოფითი მხარე ის არის, რომ თერაპიის შემდეგ, ფაქტობრივად შეუძლებელია მოზარდის განვითარების მონიტორინგი.

2003 წელს, ბავშვებისა და მოზარდების ქცევის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი კვლევით, პროფესორმა ***როლფ ლოებერმა*** და მისმა კოლეგებმა აჩვენეს, რომ მოზარდ მოძალადეებს ჰქონდათ ტენდენცია, გამოევლინათ ანტისოციალური ქცევის პრობლემები ბავშვობაში 14 წლის ასაკამდე და მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ჩამოუყალიბდა „მჩაგვრელის“ ჩვეული პატერნი. აღნიშნულ პრობლემას ეხება ასევე ამერიკელი მეცნიერის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ***ბენჯამინ ლაჰეის*** მიერ განხორციელებული კვლევები, სადაც დადგინდა, რომ არსებობს მყარი კავშირი ადრეულ ქცევის პრობლემებს, შემდგომ სერიოზულ აგრესიულ ქცევასა და ფსიქიატრიულ პათოლოგიებს შორის [16].

საქართველოში, ამ ეტაპზე, მოზარდთა ანტისოციალური ქცევის მართვისთვის და არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, შემუშავდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, რომლის მიხედვითაც ამოქმედდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

ამასთანავე, 2015 წლის 12 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელიც დაარეგულირებს არასრულწლოვანთა ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, არასრულწლოვანთა მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების და

სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს. აღნიშნული კოდექსის ძირითადი ნაწილი ამოქმედდება 2016 წლის 1 იანვრიდან [17].

მიუხედავად იმისა, რომ მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენციის მიზნით სახელმწიფომ დაიწყო გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, მოზარდების და ზოგადად, არასრულწლოვანთა დაცვის და დანაშაულის ჩადენისგან განრიდების მიმართულებით კიდევ უფრო მეტი ღონისძიება არის განსახორციელებელი, როგორც ოჯახების გაძლიერების, ასევე განათლების, სამართალდამცავი, ბავშვზე ზრუნვის და სხვა სახელმწიფო სისტემების რეფორმირების მეშვეობით.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით, მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაული ყველაზე ხშირად ფიქსირდება 16-დან 18 წლამდე პერიოდში (დაახლ. 96%). თუმცა, მიუხედავად ამ შედეგებისა, პრობლემა შედარებით ადრე ჩნდება, რაც მოზარდებს დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი იმ სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების კვლევა და ანალიზი, რომელიც მოზარდების ანტისოციალური ქცევის განხორციელებას უწყობს ხელს.

I თავი.
მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები და ინკლუზიური განათლება

1.1. ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია ანტისოციალური ქცევის როგორც რისკ-ფაქტორები, ასევე მისგან დამცავი მექანიზმები. ანტისოციალური ქცევის დამცავი ფაქტორები პიროვნებას ეხმარება დაძლიოს სოციალურ გარემოში არსებული რისკფაქტორები, ემოციური პრობლემები და კრიმინალური ქცევა. აღნიშნული ფაქტორები საშუალებას აძლევს ადამიანს წინააღმდეგობა გაუწიოს გარემოში არსებულ გამოწვევებს. დამცავი ფაქტორებიც იყოფა ორ ჯგუფად:

- **შინაგანი დამცავი ფაქტორები** – ორი სახისაა, ფიზიკური, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის და პირადი ჰიგიენის საკითხებს, ხოლო ფსიქიკური – ასაკის ცვლილებების პერიოდში მოქნილობას, ეფექტურ საკომუნიკაციო შესაძლებლობებს და იუმორის გრძნობას, ემოციურ და მორალურ ფაქტორებს.
- **გარე დამცავი ფაქტორები** – აღნიშნული ფაქტორები უკავშირდება მოზარდის ოჯახს, სკოლას და საზოგადოებას, რაც გულისხმობს ადრეულ ბავშვობაში საიმედო მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას, ბავშვის მიმართ მზრუნველობას, ოჯახში არსებულ ზნეობრივ კლიმატს, პოზიტიურ სასკოლო და ნდობით აღჭურვილ სოციალურ გარემოს.

ანტისოციალური ქცევის რისკფაქტორები დაკავშირებულია სოციალურ წრეში თვითდამკვიდრებასთან და ჯგუფდება ანტისოციალური და ძალადობრივი ქმედების გამომწვევ ინტერნალურ და ექსტერნალურ ფაქტორებად.

- **შიდა (ინტერნალური) რისკფაქტორები** – მოიცავს პიროვნულ პრობლემებს, რომლებიც იყოფა ფიზიკურ და ფსიქიკურ მახასიათებლებად.

ამასთანავე, აღნიშნული ფაქტორი უკავშირდება მოზარდის ანტისოციალური განწყობებისა და მენტალობის საკითხებს.

- **გარე (ექსტერნალური) რისკფაქტორები** – მოიცავს მოზარდის გარემოს, კერძოდ ოჯახს, სკოლას, თანატოლებს და საზოგადოებას. აღნიშნული გარემო ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედება არასრულწლოვანზე, შემდგომში ანტისოციალური ქცევის მაპროვოცირებელი ხდება.

მეცნიერების, ტორნტონის, კრაფტის და სხვების აზრით, საზოგადოების მხრიდან, უმეტეს შემთხვევაში, პრობლემები ექმნებათ ისეთ მოზარდებს, რომლებსაც ექსტერნალიზებული ქცევითი პრობლემები ახასიათებთ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მოზარდები კანონთან კონფლიქტში შედიან, საზოგადოება მათ კანონდამრღვევის იარლიყს აკერებს, რაც მათ მომავალზე ნეგატიურად აისახება. რაც შეეხება ინტერნალიზებულ ქცევას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოზარდები ნაკლებ ყურადღებას იქცევენ, ხშირ შემთხვევაში, მსგავსი ტიპის აშლილობა ისეთი ქცევების პროვოცირებას იწვევს, როგორიცაა განზრახ მკვლელობა ან სუიციდის მცდელობა [18].

სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, მკვლევრებმა –ბ. ნელსონმა და მისმა კოლეგებმა ქცევითი აშლილობები ორ კატეგორიად დაყვეს, კერძოდ:

- **ინტერნალიზებული ქცევითი აშლილობა** – საკუთარ თავზე მიმართული ქცევითი პრობლემებია, რომელსაც ახასიათებს სოციუმისგან იზოლაცია, დეპრესიულობა და თვითდაზიანებები;
- **ექსტერნალიზებული ქცევითი აშლილობა** – გარემოზე მიმართული ქცევითი პრობლემებია, რომელიც ვლინდება საზოგადოებისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, ძალადობისა და ზიანის მიყენების სახით [19].

მეცნიერები, ლოებერი და ჰაი თვლიან, რომ სამედიცინო თვალსაზრისით, ბავშვებისა და მოზარდების ქცევის ბევრი პრობლემა შეიძლება ასაკობრივ ნორმად ჩაითვალოს (მაგ. განშორების შფოთვა ადრეულ ასაკში და ოპოზიციური ქცევა მოზარდობაში), ამიტომ, გარკვეულწილად, ქცევის დარღვევის მრავალი ფორმა შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარკვეული

ასაკის ნორმალური განვითარების მახასიათებელი. თუმცა ანტისოციალური ქცევის დიაგნოზის დასმას ხშირად წინ უსწრებს ადრეულ ასაკში გამოვლენილი ანომალური, დევიაციური ქცევა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივ ბავშვურ სიცელქეს [20].

აღნიშნული ქცევის დიაგნოსტიკისთვის არსებობს მინიმუმ სამი კრიტერიუმი:

1. ბავშვის ან მოზარდის პრობლემური ქცევა შეიძლება ჩაითვალოს დევიაციურად, როდესაც მისი ასაკის წარმომადგენელთა უმრავლესობამ თავიდან მოიცილა მსგავსი ქცევები;
2. ქცევა შეიძლება ჩაითვალოს დევიაციურად, თუ ის იწვევს ყოველდღიურ ფუნქციონირებაში მკვეთრად გამოხატულ ჩამორჩენას ან შეზღუდულობას (მაგ. როდესაც ქცევა იმდენად სერიოზულადაა შეცვლილი, რომ ბავშვები უარს ამბობენ სკოლაში წასვლაზე, რაც აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზე, ან როდესაც ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება სერიოზულად მოქმედებს მათ პირად ურთიერთობებზე);
3. ქცევა ითვლება დევიაციურად, როდესაც ზიანი ადგება სხვებს (მაგალითად, ძალადობა და ქურდობა) [21, 131].

ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის დაავადებათა კლასიფიკატორი (DSM-IVTR, 2000) ქცევით აშლილობას განმარტავს, როგორც „ქცევის განმეორებად და მყარ პატერნს, რომლითაც ილახება სხვა ადამიანების ძირითადი უფლებები ან ირღვევა ასაკის შესატყვისი ძირითადი სოციალური ნორმები და წესები“ [22, 137]. ჩამონათვალში გაერთიანებულია 15 არასასურველი ქცევა (მაგ. ქურდობა, გაუპატიურება, მუქარა/დაშინება, უსაქმურობა, სახლიდან გაქცევა და ა.შ.), რომლებიც 4 კატეგორიაში შემდეგნაირად ჯგუფდება:

1. აგრესია ადამიანებისა და ცხოველების მიმართ;
2. საკუთრების განადგურება/ხელყოფა;
3. მატყუარობა ან ქურდობა;

4. წესების სერიოზული დარღვევა.

აღნიშნული ქმედებები, როგორც საზოგადოებისთვის, ასევე თავად მოზარდისთვისაც ზიანის მომტანია და სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლას და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

დღესდღეობით, მედიცინის მუშაკების მიერ გამოიყენება „დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მეათე გადასინჯვა (ICD-10)“ [23], რომლის მიხედვითაც, ქცევითი აშლილობის მიზეზებში გამოიყოფა შემდგი ფაქტორები:

1. **ოჯახური კონტექსტით შემოფარგლული ქცევით აშლილობა** – სადაც ერთიანდება ანტისოციალური და აგრესიული ქცევები, როდესაც პათოლოგიური ქცევები მთლიანად ან უმეტესად ოჯახის წევრებთან ურთიერთობით შემოიფარგლება;

2. **არასოციალიზებული ქცევის აშლილობა** – ხასიათდება მყარი, ხანგრძლივი ასოციაციური და აგრესიული ქცევით, თანატოლებთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი დარღვევების ფონზე (ჯგუფური ქურდობა და სკოლის ხშირი გაცდენა);

3. **სოციალიზებული ქცევითი აშლილობა** – მყარი ანტისოციალური და აგრესიული ქცევები, რომლებიც გვხვდება ასაკობრივ ჯგუფში კარგად ინტეგრირებულ ბავშვებში.

4. **ოპოზიციური-გამომწვევი ქცევითი აშლილობა** – რომელიც აღინიშნება ბავშვებში (ადრეულ ასაკში) და ახასიათებს დაუმორჩილებლობა და გამომწვევლობა [21, 136-137].

ოჯახის გარეთ, მოზარდის ქცევის პრობლემები განსაკუთრებით თვალში საცემია საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რამაც შესაძლოა ქრონიკული ხასიათი მიიღოს. ამავე დროს, არასრულწლოვანთა პრობლემური ქცევა უარყოფით გავლენას ახდენს სხვა მოსწავლეებსა და ზოგადად, საზოგადოებაზე.

ახალგაზრდების დელინკვენტური ქცევა ხშირად განაპირობებს მათ დაპატიმრებას, ხოლო ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას (მაგ. ვლინდება შფოთვა, დეპრესია, თვითმკვლელობის შესახებ აზრები). ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში ვიღებთ, როგორც პირველად, ასევე მეორად დევიაციას. პირველადი დევიაციის შემთხვევაში, პირი ახორციელებს ქმედებას, როდესაც არღვევს კანონს, მაგ. მაღაზიაში ქურდობს, ხოლო მეორადი დევიაციის შემთხვევაში, მას აკერებენ ქურდის იარლიყს. აღნიშნული ფაქტორი შემდგომში მოზარდის რესოციალიზაციის პროცესს მნიშვნელოვნად უშლის ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ ანტისოციალური და სხვა ქცევითი დარღვევების ზუსტი მიზეზები ბოლომდე უცნობია, მაინც ითვლება, რომ მისი გამომწვევია ბიოლოგიური, გენეტიკური, გარემოს და სოციალური ფაქტორების გარკვეული კომბინაცია. მკვლევრები ლოებერი, ფარინგტონი და სხვები ბავშვთა და მოზარდთა ქცევის დარღვევის რისკფაქტორებს 4 ჯგუფში აერთიანებენ [24]:

1. **ინდივიდუალური ფაქტორები** – ანტისოციალური ქცევა ადრეულ ასაკში, ემოციური ფაქტორები, დაბალი ინტელექტი, კოგნიტური განვითარების დეფიციტი – დასწავლის ან შემეცნების შეზღუდული შესაძლებლობები, ჰიპერაქტიურობა;

2. **ოჯახი** – მშობელთა ყურადღება, განქორწინება, ოჯახური უთანხმოება/კონფლიქტები, ძალადობის ფაქტები, პირველადი მზრუნველის ან საცხოვრებლის ხშირი ცვლილება, მშობელთა ფსიქოპათოლოგია, ოჯახური ანტისოციალური ქცევა, ოჯახის სტრუქტურა და ზომა. ოჯახურ რისკ-ფაქტორებში ასევე განიხილება არათანმიმდევრული აღზრდა და არასაკმარისი კონტროლი, რაც უშუალოდ მოქმედებს ქცევის დეზორგანიზაციაზე;

3. **თანატოლები** – დევიაციურ თანატოლებთან ინტერესების თანხვედრა და მათთან იდენტიფიკაცია ან პირიქით, თანატოლებისგან გარიყულობა;

4. **სკოლა და საზოგადოება** – სკოლის მიმართ მიჯაჭვულობის ჩამოუყალიბებლობა, ცუდი აკადემიური მოსწრება, ზოგადად, დაბალი აკადემიური მისწრაფებები, ღარიბ ოჯახში ცხოვრება, სამეზობლოში არახელსაყრელი პირობები, დელინკვენტური ჯგუფების კონცენტრაცია უბანში, იარაღის მისაწვდომობა და სხვ. [21].

1.2. ინკლუზიური განათლება და ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების სწავლება

საგანმანათლებლო სისტემა პირდაპირ არის დაკავშირებული თითოეული მოზარდის განათლებასა და აღზრდა-განვითარებასთან, აქედან გამომდინარე, თუ როგორი მომავალი ექნებათ ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებს, როგორ მოხდება მათი ქცევის ფორმირება და ანტისოციალური ქცევის მიმართ პრევენციული ღონისძიებების გატარება, სწორედ განათლების სისტემასა და კონკრეტულად, სკოლაზე არის დამოკიდებული.

საქართველო გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის და სალამანკას დეკლარაციის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოა. ამ ორი დოკუმენტის მიხედვით, ჩვენმა ქვეყანამ აიღო ვალდებულება დაიცვას ბავშვის უფლება – მიიღოს განათლება და ხელი შეუწყოს სხვადასხვა უნარების ბავშვების განათლების ხელმისაწვდომობას. ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების სწავლება, სკოლის ფარგლებში შესაძლებელია ინკლუზიური განათლების პროგრამის ფარგლებში.

ინკლუზიური განათლება (Inclusive Education) – არის „საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური,

რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა მახასიათებელი გააჩნიათ“ [4, 15].

ინკლუზიური განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში უკავშირდება მოსწავლეთათვის იმ სერვისებისა და მომსახურების მიწოდებას, რასაც ისინი ვერ მიიღებენ დამოუკიდებლად. ზოგადი კლასიფიკაციის მიხედვით, ინკლუზიური განათლების სისტემის ქვეშ მოიაზრებენ სამ მიმართულებას, მათ შორის არიან მოსწავლეები, როლებსაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები და შეფერხებული განვითარება, სოციალურ-ემოციური პრობლემების მქონე და ნიჭიერი მოსწავლეები.

ინკლუზიური განათლების სისტემის დაგეგმვა და ცვლილებების განხორციელება დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორთან, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დასახული ამოცანების წარმატებულად განხორციელებაში, კერძოდ, ინკლუზიური განათლების პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებების შეცვლა, მასწავლებლის როლის განსაზღვრა ამ პროცესში, სასწავლო გარემოს ადაპტაცია, მოსწავლის შეფასების, სწავლების მეთოდებისა და კლასის მართვის ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად ჩამოყალიბება.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შეფასებისას აუცილებელია პროცესში ჩართული პირების თანამონაწილეობის, დამოკიდებულებების, ცოდნისა და უნარების გათვალისწინება, რაც სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

ინკლუზიური განათლების პროგრამების დანერგვა საქართველოში 1997 წლიდან დაიწყო სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ხოლო განათლების სამინისტრო ამ პროცესში 2004 წლიდან ჩაერთო, ამ ეტაპზე მიმდინარეობს პედაგოგთა გადამზადება, შექმნილია მულტიდისციპლინური ჯგუფები და სამინისტრო რეგიონების მიხედვით ახორციელებს პროგრამის მართვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური განათლება მიზნად ისახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების ხელშეწყობას, მათ სოციალურ ინტეგრაციას, შესაძლებლობების გამოვლენას და განვითარებას. ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვასთან ერთად დროთა განმავლობაში საჭირო გახდა „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების“ ცნების დანერგვაც, რადგან სპეციალისტების მიერ აღიარებულ იქნა, რომ სირთულეები სწავლის პროცესში აქვთ არა მარტო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს, არამედ ბევრ სხვა მოსწავლესაც. „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაზლებლობას სწავლის პროცესში, რომელაც აწყდება მოსწავლე და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს“ [26, 14]. აქედან გამომდინარე გადაწყდა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დამოკიდებული უნდა იყოს სწავლის პროცესში გამოვლენილ სირთულეებზე, რასაც სპეციალისტების მხრიდან აუცილებლად სჭირდება ადეკვატური რეაგირება.

სპეცილური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები ჯგუფდებიან შემდეგ კატეგორიებად:

- **შეზღუდული შესაძლებლობებისა და შეფერხებული განვითარების მქონე მოსწავლები** – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს შესაძლებელია აღენიშნებოდეს ერთი ან რამდენიმე შეფერხება. განვითარების შეფერხება სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით განისაზღვრება, ესენია:
  - ფიზიკური დარღვევები – მოძრაობის შეზღუდვა, კიდურების, სმენის და მხედველობის დეფექტები, მეტყველების პრობლემები და სხვ.
  - გონებრივი დარღვევები – ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით გამოწვეული დარღვევები, ტვინის ტრავმა, ცერებრული დამბლა, ეპილეფსია, სწავლის უნარის დაქვეითება და სხვ.
  - სოციალურ-ემოციური დარღვევები: ქცევითი დარღვევები, ემოციური დარღვევები, ყურადღების დეფიციტი, ჰიპერაქტიურობა, სოციალური დარღვევები, კომუნიკაციის პრობლემები და სხვ.

- **სოციალურ-ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლები** – სოციალური და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვების ძირითად ნაწილს წარმოადგენენ ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომლებსაც არ აქვთ ელემენტარული საშუალებები იმისათვის, რომ უზრუნველყონ ბავშვისთვის ადეკვატური განათლების მიწოდება. სოციალური პრობლემების მქონე ბავშვებს არ აქვთ წიგნები, სასკოლო ტანსაცმლის შესაძენი თანხა და ა.შ. მსგავს ოჯახებში არსებული ბავშვები ძირითადად განათლებას სკოლის გარეთ, სოციალურ გარემოში იღებენ და უვითარდებათ ისეთი უნარები, რაც მათ გადარჩენისთვის სჭირდებათ. რაც შეეხება ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებს, აქ შეიძლება შეგვხვდეს ემოციური, კომუნიკაციის და ქცევითი პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია ოჯახის და საზოგადოების მხრიდან ბავშვების უგულვებელყოფის შედეგად. ამ დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებებია განსახორციელებელი იმისათვის, რომ ბავშვი დაუბრუნდეს სკოლას და არ დაკარგოს სწავლისადმი ინტერესი. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ასევე ე.წ. „ქუჩის კატეგორიის“ ბავშვები.
- **ნიჭიერი ბავშვები** – ინკლუზიური განათლების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობა. ნიჭიერი არის ბავშვი, რომელსაც გამოავლენს კვალიფიციური პერსონალი. ასეთ ბავშვს გამორჩეული უნარების წყალობით, შეუძლია მიაღწიოს მაღალ შედეგებს. მათ სჭირდებათ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი პროგრამის ფარგლებს. ასეთი ბავშვები შეიძლება შეფასდნენ შემდეგი კრიტერიუმებით: ზოგადი ინტელექტუალური უნარები; კარგი აკადემიური მოსწრება; შემოქმედებითი ან პროდუქტიული აზროვნების უნარი; ლიდერობის უნარი; შემოქმედებითი უნარები სხვადასხვა სფეროებში; მუდმივი ინტერესი და მოტივაცია. სამწუხაროდ, განათლების სამინისტროს მიერ ინკლუზიური განათლების პროგრამის ფარგლებში ამ ეტაპზე შეჩერებულია მუშაობა ნიჭიერ მოსწავლეებთან დაკავშირებით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, იქმნება ინდივიდუალური

სასწავლო გეგმები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა უნარები და შესაძლებლობები. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში სკოლას და პედაგოგებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მულტიდისციპლინური გუნდი, მასში შემავალი სპეციალისტებით (პედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ნევროლოგი და ოკუპაციური თერაპევტი), ასევე ინკლუზიური განათლების პროგრამის კოორდინატორი სკოლაში. სწორედ ამ გუნდის დასკვნის საფუძველზე მოსწავლეს ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი, რაც სკოლას საშუალებას აძლევს მოსწავლისთვის შეადგინოს ინდივიდუალური პროგრამა და ასწავლოს ბავშვს ამ გეგმის შესაბამისად. გეგმაში აუცილებლად იწერება მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები ბავშვის სწავლასთან დაკავშირებით. მულტიდისციპლინური გუნდის წევრები სკოლას, პედაგოგებს და მშობლებს აძლევენ რჩევებს და რეკომენდაციებს ბავშვის დამატებითი საჭიროებების შესახებ, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ დაგეგმონ ბავშვის განათლების შემდგომი ეტაპები.

ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპია, რომ ყველა მოსწავლე, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა და თავისებურებისა, ერთად უნდა სწავლობდეს სკოლაში. სწორედ ამიტომ, ინკლუზიური განათლება გულისხმობს, ყველა ზემოთ დასახელებული, მათ შორის ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში და მათთვის განათლების უზრუნველყოფას.

ცნობილია ინკლუზიური განათლების სამი სახე, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების სწავლების პროცესში. მოსწავლეთა სასწავლო აქტივობებში ჩართვა ხელს შეუწყობს მოზარდების ქცევის ფორმირებას. ინკლუზიური განათლების მიმართულებები მოიცავს სრულ და ნაწილობრივ ჩართვას, ასევე ინტეგრირებულ სწავლებას.

- **სრული ჩართვა** – მოსწავლე სრულად არის ჩართული სასწავლო პროცესში, ესწრება ყველა გაკვეთილს და ამ გაკვეთილებისთვის მას აქვს მისი შესაძლებლობების შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
- **ნაწილობრივი ჩართვა** – მოსწავლე არჩევითად ესწრება გაკვეთილებს, მისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო განრიგი მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ინდივიდუალურ გეგმაში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი საგანმანათლებლო მიზნები და შესაბამისი აქტივობები.
- **ინტეგრირებული სწავლება** – განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეები არიან გაერთიანებულები ერთ კლასში და სწავლობენ მათთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამით. ინტეგრირებული კლასის სასწავლო პროგრამა დგება მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებებისა და სკოლის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. ბავშვები ასევე არიან ჩართულები ყველა სასკოლო აქტივობაში, ეს იქნება რაიმე სასკოლო ღონისძიება, ექსკურსია თუ სხვა.

ინკლუზიური განათლების მოდელი ეფუძნება რწმენას, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს განათლება და მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში თავის თანატოლებთან. ყველა მოსწავლე სრულად მონაწილეობს საკლასო და სასკოლო აქტივობებში, ურთიერთთანამშრომლობით, მასწავლებლისა და სპეციალისტის დახმარებით.

იმისათვის, რომ მოხდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და სპეციალური განათლების მასწავლებელთა გამოცდილების ინტეგრაცია, აუცილებელია მათი ეფექტური თანამშრომლობა. სპეციალური განათლების მასწავლებლის ზოგადსაგანმანათლებლო კლასის მასწავლებელთან თანამშრომლობის ხარისხზეა დამოკიდებული პროგრამაში ჩართული მოსწავლე როგორ ჩაერთვება სასწავლო აქტივობებში. ამ მიზნით შემუშავდა რამდენიმე მოდელი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია კონკრეტული სიტუაციიდან და საჭიროებიდან გამომდინარე.

კონსულტირების მოდელი – ეს მოდელი გულისხმობს სპეციალური განათლების მასწავლებლის აქტიურ მონაწილეობას ბავშვის სწავლების პროცესში. სპეციალური განათლების მასწავლებელი მოსწავლეს ახალი ჩვევების ჩამოყალიბებაში ეხმარება, რაც ითვალისწინებს ბავშვის შესაძ-ლებლობებზე სასწავლო გეგმის ეფექტიან მორგებასა და სწავლების შესაფე-რისი მეთოდების გამოყენებას ზოგადსაგანმანათლებლო მასწავლებლის თანმიმდევრული კონსულტირების საფუძველზე. ამ მიდგომამ შეიძლება უზრუნველყოს მოსწავლე ორი მასწავლებლით, რომლებიც დაეხმარებიან მას სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია რეგულარული შეხვედრები, ბავშვის განვითარებისა და წინსვლის პერიოდული მონიტორინგი.

ჯგუფური მოდელი – სპეციალური განათლების მასწავლებელი ზო-გადსაგანმანათლებლო მასწავლებელთან ერთად განსაზღვრავს ორი კვირის გეგმას. ის უზრუნველყოფს მასწავლებელს ინფორმაციით, სწავლების სტრატეგიებით, აწვდის შეფასებისა და ქცევითი სტრატეგიების შესახებ ინფორმაციას. ჯგუფი (სპეციალური მასწავლებლები და ზოგადსაგანმანათ-ლებლო პროფილის მასწავლებელი ან მასწავლებლები) რეგულარულად იკრიბება ახალი გეგმის შესამუშავებლად და პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად. გეგმას იმუშავებს რამდენიმე ადამიანი, თუმცა ახორციე-ლებს ერთი – ზოგადსაგანმანათლებლო კლასის მასწავლებელი, რომელიც ატარებს გაკვეთილს.

თანამშრომლობითი მოდელი – ამ მოდელის გამოყენებისას ზოგადი განათლებისა და სპეციალური განათლების მასწავლებლები მუშაობენ ერთად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და სხვა მოსწავლეებთან ერთ საკლასო ოთახში. ყველანი პასუხისმგებელნი არიან სასწავლო გეგმაზე, მოსწავლის მიღწევაზე, შეფასებასა და დისციპლინაზე. მოსწავლეები იღებენ ასაკის შესაბამის აკადემიურ ცოდნას, მხარდაჭერას და აუცილებლობის შემთხვევაში სწავლების შეცვლილი სტრატეგიებითა და მეთოდებით არიან უზრუნველყოფილნი. თანამშრომლობითი სწავლება

სხვადასხვაგვარად არის ორგანიზებული. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ნაწილდება წინასწარ როლები მასწავლებლებს შორის. მოსწავლეებს ჰყავთ მინიმუმ ორი მასწავლებელი, რომლებიც ასწავლიან და ეხმარებიან მათ სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის.

აღნიშნული მოდელებიდან ნებისმიერის გამოყენება არის შესაძლებელი ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებთან მუშაობისას, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, აუცილებელია ინდივიდუალური საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინება.

ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებისთვის აუცილებელია განათლების უზრუნველყოფა, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია მოზარდების მიმართ იმ პირთა დამოკიდებულება, ვინც სწავლების პროცესს ახორციელებს. ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდები, საგანმანათლებლო სისტემაში „განსხვავებულის“ კატეგორიაში განიხილებიან, მათ მიმართ დამოკიდებულება კი ჩვენს საზოგაოდებაში საკმაოდ ნეგატიურია. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ კონკრეტულად რა ტიპის რესურსების ხარჯვა და ღონისძიებების განხორციელება უწევთ პედაგოგებს მოსწავლეებთან მუშაობის დროს. საზოგადოების მხრიდან დამოკიდებულებები ხშირად ვლინდება იმ ტერმინებში, რითაც „იარლიყების მიკერება“ ხდება. ეს ყოველივე ბავშვობიდანვე გამოყოფს და იზოლაციაში აქცევს „განსხვავებულებს“. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე ჩვენ ვქმნით წესებს, მათ მაინც არ შეუძლიათ სრულად შეცვალონ საზოგადოების დამოკიდებულებები პოზიტიური მიმართულებით, აქედან გამომდინარე, ეს ყოველივე ხელს უშლის ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს.

მეისის მიერ (აშშ, 1978წ.) აღწერილია ექვსი ყველაზე გავრცელებული ნეგატიური მიდგომა საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების შესახებ, რომლებიც უკავშირდება, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე სხვა ტიპის პრობლემების მქონე პირებს. ეს მიდგომებია:

„შიში, სიმპათია/თანაგრძნობა, თავის არიდება, არაკეთილგანწყობა, გადამეტებული მზრუნველობა და ზერელე ტოლერანტობა“ [27, 71-72].

შიში – ადამიანები თვლიან, რომ პრობლემა გადამდებია, ურთიერთობა კი ზიანის მომტანი.

სიმპათია/თანაგრძნობა – ზოგიერთ შემთხვევაში, დამოკიდებულებების გამომხატველი ლექსიკა მხოლოდ ამცირებს ადამიანის ღირსებას.

თავის არიდება – ზოგიერთი ადამიანი ურთიერთობისას დისკომფორტს განიცდის და ცდილობს თავის არიდებას პრობლემური ქცევის მქონე პირებთან.

არაკეთილგანწყობა – არასასურველი კონტაქტების თავიდან აცილების ერთ-ერთი შესაძლო რეაქციაა, რომელიც განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს ბავშვებზე.

გადამეტებული მზრუნველობა – როდესაც ბავშვი სირთულეების გარეშე იზრდება, მის მაგივრად მშობელი ან სხვა პირი ლახავს სირთულეებს, ბავშვის განვითარება არ ხდება, რაც ქცევითი პრობლემების მიზეზი შეიძლება გახდეს.

ზერელე ტოლერანტობა – ყველაზე ნაკლებად გულწრფელი მიდგომა, პიროვნებები მხოლოდ სიტყვიერი, ფინანსური დახმარებით შემოიფარგლებიან და თავს არიდებენ პირდაპირ კონტაქტს პრობლემური ქცევის მქონე პირებთან.

ნებისმიერი რეფორმა, მათ შორის პრევენციული ღონისძიებები, უნდა დაიგეგმოს საზოგადოების დამოკიდებულებებისა და განწყობების გათვალისწინებით, ხოლო თუ ამ მხრივ ძირითადად ნეგატიური დამოკიდებულებები არსებობს, რეფორმის ერთ-ერთი მიზანი დამოკიდებულებათა ცვლილება უნდა იყოს. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებაში ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების მიმართ არსებობს განსხვავებული დამოკიდებულებები, ამ მდგომარეობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მოზარდთა ქცევის ჩამოყალიბების პროცესსა და ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციაზე.

II თავი.

მოზარდთა ანტისოციალური ქცევა, დანაშაული და პრევენციის სტრატეგია

2.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის სამართლებრივი მხარე

მოზარდთა ანტისოციალური ქცევის ფსიქო-სოციალური ფაქტორების კვლევისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული სოციალურ-სამართლებრივი გარემოს შესწავლა. კერძოდ, თუ რა მდგომარეობა არის შექმნილი მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენციის კუთხით. აღნიშნული საკითხების საფუძვლიანი გაანალიზება ხელს შეუწყობს არასრულწლოვნებთან დაკავშირებული პოლიტიკის სწორ დაგეგმვას, პროგრამების ეფექტიანობის შეფასების საკითხების მოწესრიგებას, დანაშაულის პრევენციასა და ბავშვის უფლებების დაცვას საქართველოში.

1989 წლის 20 ნოემბერს მიღებული გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 1995 წელს მოახდინა. აღნიშნული კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, ბავშვად მიიჩნევა ყველა ის პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი. აღნიშნული კონვენციის საფუძველზე საქართველოს აქვს აღებული საერთაშორისო ვალდებულება დაიცვას ბავშვის უფლებები, მათ შორის სამართლებრივი, ჯანმრთელობის, სოციალური და საგანმანათლებლო კუთხით.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სამოქალაქო სამართალი არასრულწლოვნებთან დაკავშირებით ერთმანეთისგან განასხვავებს უფლებაუნარიანობას, ქმედუნარიანობას და პასუხისმგებლობას. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, უფლებაუნარიანობა წარმოიშვება პირის დაბადების მომენტიდან და გულისხმობს კონსტიტუციით აღიარებული უფლებების შეძენას. ქმედუნარიანობა წარმოიშვება პირის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევისთანავე, თუმცა 7 წლიდან 18 წლამდე პირი შეზღუდულად ქმედუნარიანია. მიყენებული ზიანისთვის არასრულწლოვნის მატერიალურ

პასუხისმგებლობას კანონი ცნობს 10 წლის ასაკიდან, მის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად [28].

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევას შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევს, ამასთანავე პასუხისმგებლობა, 14-დან 16 წლამდე დგება მათი კანონიერი წარმომადგენლების დაჯარიმების სახით, ხოლო 16-დან 18 წლამდე – მათი კანონიერი წარმომადგენლების დაჯარიმების სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ასაკის პირებს არ აქვთ კანონიერი შემოსავალი. კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანთა დაკავება დაიშვება შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, თუმცა ადმინისტრაციული დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს [29].

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას არასრულწლოვნად ის პირი ითვლება, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. არასრულწლოვან დამნაშავეს ენიშნება სასჯელი ან აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანთან დაკავშირებული სასჯელის სახეებია: ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, თავისუფლების შეზღუდვა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. სხვა გარემოებებთან ერთად, სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა ასაკობრივი თავისებურებანი, ასევე მასზე ასაკით უფროსი პირის ზეგავლენა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დაინიშნოს სასჯელის ადეკვატური ფორმა და განხორციელდეს მოზარდის გამოსწორება და საზოგადოებისთვის სასარგებლო პიროვნებად ჩამოყალიბება. სამართალი ასევე ცნობს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს არასრულწლოვნის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გან-

თავისუფლებას იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია იძულებითი აღ-მზრდელობითი ღონისძიებების განხორციელება. არასრულწლოვნების მი-მართ სასამართლოს შეუძლია შემდეგი იძულებითი აღმზრდელობითი ღო-ნისძიებების დანიშვნა, კერძოდ: გაფრთხილება, საზედამხედველოდ გა-დაცემა, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, ქცევის შეზღუდვა, სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებუ-ლებაში მოთავსება [30].

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ამ დროისთვის დაასრულა მუშაობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, რომელიც ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებს უფრო მეტად მოაწესრიგებს 2016 წლიდან. თუმცა, ამ სფეროში ძირეული რეფორმის განხორციელებამდე მნიშვნელოვანია იმ სოციალური გარემოს შესწავლა, რომელიც მნიშვნელო-ვან გავლენას ახდენს მოზარდთა ქცევის ჩამოყალიბებასა და გამოვლი-ნებაზე.

2.2. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია

2012 წლის 22 მარტს, საქართველოს პრეზიდენტის N235 ბრძანებუ-ლებით მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრა-ტეგია, რომელიც ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელო-ვანი ნაწილია. აღნიშნული სტრატეგიის მიზანია ერთიანი ეროვნული პრე-ვენციული პოლიტიკის ჩამოყალიბება, ეფექტიანი პრევენციული ღონისძიე-ბების განხორციელების მეშვეობით არასრულწლოვანთა დანაშაულის შემ-ცირება, ასევე სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველო-ში მანამდე არ არსებობდა დანაშაულის პრევენციის ერთიანი სისტემა [31].

აღნიშნული სტრატეგია ეყრდნობა ბავშვის უფლებათა სფეროში არ-სებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, კერძოდ, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპებს, არა-

სრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტანდარტებს, მათ შორის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს არასრულწლოვანთა დელინკვენტური ქცევის პრევენციის შესახებ, გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ და სხვა სტანდარტებს“ [31].

სტრატეგიის მიხედვით, არასრულწლოვანთა დანაშაულს მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს. აქედან გამომდინარე, დანაშაულთან ბრძოლისთვის საჭიროა კომპლექსური მიდგომა, კერძოდ, როგორც სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართვა და პრობლემის შემცირებაზე ზრუნვა. სტრატეგიაში გამოყოფილია მიზნობრივი ჯგუფები და პრევენციისთვის აუცილებელი ღონისძიებები საფეხურების მიხედვით, კერძოდ:

1. პირველი დონის პრევენცია (ადრეული დონე) – აღნიშნული დონე მოიცავს საქართველოში მცხოვრებ ყველა ასაკის არასრულწლოვანს. ამ შემთხვევაში აქცენტი უნდა კეთდებოდეს „ბავშვის სწორ აღზრდასა და სოციალიზაციაზე, განათლებაზე, თავისუფალი დროის სწორად და პროდუქტულად განაწილებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებაზე, ახალგაზრდებს შორის სწორი ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებაზე“ [31].

2. მეორე დონის პრევენცია (რისკჯგუფები) – ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფი არასრულწლოვნების, რისკჯგუფებისა და დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირებაზე. პრევენციის ეს დონე განსაკუთრებით აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც პირველი დონის პრევენციული ღონისძიებები არ არის საკმარისი და ეფექტიანი.

3. მესამე დონის (განმეორებითი დანაშაული) პრევენცია - ეს ეტაპი მიზნად ისახავს დანაშაულის განმეორების თავიდან აცილებას, ამასთანავე, სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა გამოსწორებას, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სამართალდამრღვევი არასრულ-

წლოვნები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული და მოხვდნენ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მნიშვნელოვნად არის მიჩნეული კვლევების განხორციელება არასრულწლოვანთა დანაშაულის რეციდივის, ლატენტური დანაშაულის, დანაშაულის რისკფაქტორების და სტრატეგიასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესწავლის მიზნით.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით, არსებობს იმის საჭიროება, რომ დანაშაულთან ბრძოლა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს სხვადასხვა უწყებების თანამშრომლობით. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესრულების და ზედამხედველობის მიზნით, იუსტიციის სამინისტროში მოქმედებს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც პროცესის მიმდინარეობის შესახებ წელიწადში ორჯერ ისმენს ანგარიშს.

2.3. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შედეგები

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხებს კოორდინაციას უწევს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომელიც საქართველოში სისხლის სამართლის პოლიტიკას განსაზღვრავს. პროცესში სხვადასხვა პრევენციული პროგრამებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ჩართულები არიან შემდეგი პასუხისმგებელი უწყებები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. ამასთანავე, აღნიშნული სტრატეგიის განხორციელებაში ჩართულები არიან სხვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის 2014 წლის 30 დეკემბრის მონაცემებით, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია ხორციელდება შემდეგი პროგრამების მეშვეობით, კერძოდ: არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია, „ლიდერთა სახლი“, „წერილები ჯარისკაცებს“, „ორი თაობა“, „ერთი დღე იუსტიციის სახლის თანამშრომლად“ და „ახალგაზრდული კლუბი“. აღნიშნული პროგრამები ხორციელდება განრიდებისა და მედიაციის სამმართველოს, დანაშაულის პირველი დონის პრევენციისა და დანაშაულის მეორე დონის პრევენციის სამმართველოების მიერ.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა – განრიდების და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მათი მოხვედრის თავიდან აცილების შესაძლებლობაა. განრიდება და მედიაცია გამოიყენება არასრულწლოვნის მიერ პირველად, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს და მის მიზანს წარმოადგენს, ერთის მხრივ, არასრულწლოვანთა მხარდაჭერა, მათი თავისუფლების აღკვეთისგან განრიდება, მოზარდთა კანონმორჩილ მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა, და მეორეს მხრივ, „დაზარალებულის კმაყოფილების დონის გაზრდა და არასრულწლოვან კანონდამრღვევ პირთა მხარდაჭერის ღონისძიებებში მათი ჩართვა“ [32].

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ამოქმედდა 2010 წლის 15 ნოემბრიდან და ამ ეტაპისთვის მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. აღნიშნულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებათ პროკურორს, სოციალურ მუშაკსა და არასრულწლოვანს. პროკურორს შესაძლებლობა ეძლევა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განარიდოს არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, თუ ის აღიარებს დანაშაულის ჩადენას, მზადაა ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს და აანაზღაუროს ზიანი. იმ შემთხვევაში, თუ განრიდების საკითხზე გადაწყვეტილებას მიიღებს პროკურორი, ის საქმეში რთავს სოციალურ მუშაკს, რომელიც არასრუწლოვნის შესწავლის შედეგად ამზადებს მის

ბიო-ფსიქო-სოციალურ დახასიათებას და ამზადებს იმ ღონისძიებების გეგმას, რომელთა შესრულებაც დადებითად იმოქმედებს პიროვნებაზე. ამ პირობების გათვალისწინებით დგება ხელშეკრულება, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებლობას იღებს არასრულწლოვანი, ხოლო მას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი. არასრულწლოვნის მთავარი მოვალეობაა პირნათლად შეასრულოს ის პირობები, რასაც მას სოციალური მუშაკი შესთავაზებს. თუმცა, ამასთანავე, მას უფლება აქვს, შეთავაზებულ პირობებს არ დათანხმდეს და არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შესაძლებლობა. შეთავაზებაზე უარის თქმა ან მისი არაჯეროვანი შესრულება იწვევს არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ან განახლებას.

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ინფორმაციით, პროგრამა ნებაყოფლობითია და 2014 წლის 30 დეკემბრის მონაცემებით, მასში ჩართულია 732 არასრულწლოვანი. აღნიშნული პროგრამის ეფექტიანობა დანაშაულის პრევენციასთან მიმართებაში ფასდება შემდეგნაირად, კერძოდ, პროგრამა, საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით წარმატებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მასში ჩართული არასრულწლოვნების განმეორებითი დანაშაულის რიცხვი არ აღემატება 25%-ს. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის 2014 წლის 25 დეკემბრის მონაცემებით, განმეორებითი დანაშაულის რიცხვი ამ ეტაპისთვის არ აღემატება პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანთა 8%-ს (58-მდე არასრულწლოვანი).

დანაშაულის პრევენციის პირველი დონის მიმართულებით დანაშაულის პრევენციის ცენტრში ასევე მოქმედებს შემდეგი პროგრამები:

1. **„ლიდერთა სახლი“** – ხორციელდება საქართველოს 13 ქალაქში და მოიცავს 4 ძირითად მიმართულებას: სპორტს, ხელოვნება/კულტურას, განათლება/მეცნიერებას, არაფორმალურ განათლებასა და მოხალისეობას. პროგრამაში 2014 წელს ჩაერთო 1000 მონაწილე;

2. **„წერილები ჯარისკაცებს“** – პროგრამა მოქმედებს 2012 წლიდან და მასში მონაწილეობა მიიღო 13 ქალაქის მე-4 და მე-5 კლასის 2300-მა

მოსწავლემ, რომლებმაც ავღანეთში მყოფ ჩვენს ჯარისკაცებს გაუგზავნეს წერილები. დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ აღნიშნული პროგრამები ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, თავდაცვის სამინისტროსთან და სტუდენტებთან ერთად;

3. „ორი თაობა“ – პროგრამა მოქმედებს 2014 წლის იანვრიდან და მოიცავს 14-18 წლის მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის მოხალისეობრივ საქმიანობას მოხუცთა თავშესაფარში. დანაშაულის პრევენციის ცენტრის მონაცემებით, პროგრამა საპილოტეა და მასში ერთვება 9 მონაწილე;

4. „ერთი დღე იუსტიციის სახლის თანამშრომლად“ – აღნიშნული პროგრამის მიზანია ახალგაზრდებში მოხალისეობრივი კულტურის განვითარება. სპეციალური ტრენინგ-კურსის გავლის შემდეგ, მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გახდნენ იუსტიციის სახლის თანამშრომლები და ჩაერთონ მის მუშაობაში. 2014 წლის 30 დეკემბრის მონაცემებით, პროგრამაში ჩართულია 684 მონაწილე.

დანაშაულის პირველი დონის პრევენციის მიმართულებით მოქმედი პროგრამები ნებაყოფლობითია და საქართველოს მასშტაბით ყველა არასრულწლოვანზეა გათვლილი. პროგრამების ეფექტიანობის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: მასშტაბურობა (ყველა რეგიონის ჩართულობა), რაოდენობრიობა (რაოდენობრივად მეტი მონაწილე) და შინაარსი (კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის შემადგენელი პროექტების ხარისხს). პროექტის ხარისხის შეფასება ხდება მონაწილეთაგან მიღებული უკუკავშირის მეშვეობით.

დანაშაულის მეორე დონის პრევენციის მიმართულებით მოქმედებს ერთადერთი პროგრამა – **„ახალგაზრდული კლუბი“**. აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნებიან დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი მოზარდები. პროგრამაში ჩართული პირები ერთვებიან სხვადასხვა ტიპის სპორტულ, საგანმანათლებლო და კულტურულ აქტივობებში (ტრენინგები, მხიარული სტარტები, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, საახალწლო წვეულება და ა.შ.). 2014 წლის 30 დეკემბრის მონაცემებით,

პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა 97-ს შეადგენს. თუმცა, ამ ეტაპისთვის, პროგრამის ეფექტიანობის შეფასების სისტემა არ არის ჩამოყალიბებული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით ჩართულია სხვადასხვა სახის პროგრამებსა და პროექტებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ამ შემთხვევაში აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, სადაც პროექტი – „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მექანიზმის გაძლიერება“ განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დაფინანსებით. აღნიშნული პროგრამის მიზანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სისტემის გაძლიერება მეორადი პრევენციის მექანიზმის გაძლიერებით, კერძოდ, რისკის ქვეშ მყოფი პირების იდენტიფიცირება, ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა და ამ მიმართულებით მომუშავე სპეციალისტების გადამზადება. ამჟამად შემუშავებულია დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენისთვის საჭირო კრიტერიუმები, სამუშაო აღწერილობები და სხვა საჭირო დოკუმენტები.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში 2013 წლის აპრილიდან ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური ცენტრი (სამმართველო). ცენტრი მუშაობს დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ მოზარდებთან მეორე და მესამე დონის პრევენციის მიმართულებით. მათი მთავარი ფუნქცია არის ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე სკოლის მოსწავლეების ფსიქო-სოციალური დახმარება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიურმა ცენტრმა (სამმართველომ) დაარსების დღიდან მომსახურება გაუწია 550 ბენეფიციარს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით ასევე ახორციელებს შემდეგ პროექტებს და პროგრამებს:

1. საგანი **„სამოქალაქო განათლება“** – ამ ეტაპისთვის ისწავლება ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების IX-X კლასებში;

2. **„საზოგადოების ჩართულობისა და სამოქალაქო თანამშრომლობის პროგრამა“** – PH international-ის პროექტი, რომლის მიზანიც არის არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხების შესახებ მოზარდთა ინფორმირებულობის ზრდა. აღნიშნულ პროგრამაში სამინისტროს მონაწილეობა მოიცავს პროექტების შეფასებას;

3. ბლოგების კონკურსი **„ბავშვი, როგორც უფლებადამცველი“** – ხორციელდება განათლების და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 6 მარტის N233 ბრძანებით, „განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების პროგრამის“ „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში;

4. **შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით**, „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში სკოლაში ისწავლება საგანი „სამართლებრივი კულტურა“. ამასთანავე, ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: „ქურდული სამყაროსა“ და სხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების ინფორმირება, სკოლების პედაგოგებისა და მანდატურების გადამზადება, სკოლის მოსწავლეთა სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, რისკის ქვეშ მყოფი მოზარდების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოების ინფორმირება კიბერდანაშაულისა და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ;

5. **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით** – ბავშვთა კეთილდღეობის და დაცვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში: ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა და ბავშვთა მიტოვების პრევენცია, ბავშვთა დაცვა ძალადობისგან და უგულვებელყოფისგან, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების მაღალი ხარისხის ალტერნატიული მომსახურებით უზრუნველყოფა და ა.შ.;

6. **„სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის“ პროგრამა** – აღნიშნული პროგრამის მიზანია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების და განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფის გზით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებული/-ბრალდებული მოსწავლეების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების მიმართულებით, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის, ასევე თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ხორციელდება სამი ქვეპროგრამა, კერძოდ: „N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ზოგადი განათლების უზრუნველყოფა“, „N5 ქალთა პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ზოგადი განათლების უზრუნველყოფა“ და „პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფა“. 2014 წლის 8 სექტემბრის მონაცემებით, პროგრამებში ჩართულია სასჯელაღსრულების/წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში მყოფი ყველა არასრულწლოვანი, 221 მოსწავლე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მომავალში დაგეგმილია სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, პროგრამის მონიტორინგის, შედეგების გამჭვირვალობისა და მომავალი დანაშაულის პრევენციის მიზნით. სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტდება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესაბამისად, ახორციელებს ბავშვზე ზრუნვის პროგრამებს. სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში 2014 წლიდან ამოქმედდა და ფუნქციონირებს მიუსაფარ ბავშვთა მომსახურებები, მათ შორის, დღის ცენტრები, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრები და ტრანზიტული ცენტრები. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმო-

ადგენენ 18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვები, რომლებიც იდენტიფიცირებულები არიან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკების მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ქვეპროგრამის მთავარი ამოცანაა მიუსაფარ ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია.

ამ პროგრამის მიხედვით, არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, საჭიროების მიხედვით ხორციელდება შემდეგი ტიპის ღონისძიებები:

1. **დღის ცენტრების მომსახურება** – მომსახურებაში შედის კვება, სამედიცინო მომსახურება, პირადი ჰიგიენის დაცვის ხელშეწყობა, ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდება, კრიზისული სიტუაციების მართვა, ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, აკადემიური საჭიროებების გამოვლენა და მათი დაკმაყოფილების ხელშეწყობა, არაფორმალური განათლება, სხვადასხვა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვა, სხვადასხვა საჭირო უნარების სწავლება;

2. **კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრის მომსახურება** – მოიცავს სადღეღამისო მომსახურებას, ბავშვის ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას (კვება, ჰიგიენა, უსაფრთხოება, თავშესაფარი, განათლება, ჯანმრთელობა, ოჯახური გარემო), სამედიცინო დახმარების გაწევას, კვების უზრუნველყოფას, კრიზისული სიტუაციების მართვას, კერძოდ – სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენას, კრიზისის რისკების დაძლევაში დახმარებას, ბავშვის ფსიქო-სოციალური მდგომარეობის სტაბილიზაციას, ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელებასა და მომზადებას ტრანზიტულ ცენტრში ან სხვა ალტერნატიულ გარემოში (ოჯახი, მეურვე ან მზრუნველი) მოსათავსებლად, ასაკის შესაბამისი ტანსაცმლით უზრუნველყოფას, პირადი ჰიგიენის დაცვის ხელშეწყობას და ყოფითი უნარების სწავლებას;

3. **ტრანზიტული ცენტრის მომსახურება** – პროგრამაში შედის 24 საათიანი მომსახურების მიწოდება, ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია, კვება, ფსიქოლოგიური და სამედიცინო მომსახუ-

რების უზრუნველყოფა, პირადი ჰიგიენის დაცვის ხელშეწყობა, ტანსაცმლით უზრუნველყოფა, ინდივიდუალური მომსახურების პროგრამის შემუშავება და მისი შესრულების მონიტორინგი, ყოველდღიური, ყოფითი უნარების სწავლება;

4. **მობილური ჯგუფის მომსახურება** – მომსახურებაში შედის ვიზიტების განხორციელება სამიზნე ჯგუფის ბავშვების პოტენციურ ადგილსამყოფელში, მათ შესახებ შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირება, ბავშვებთან კონტაქტში შესვლა, მათი საჭიროებების იდენტიფიცირება, კონსულტირება და სოციალური სამუშაოს განხორციელება, საჭიროებისამებრ ფსიქოლოგიური, ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების გაწევა, პირადი ჰიგიენის დაცვის ხელშეწყობა, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოძიება-მოწესრიგება, ბიოლოგიური ოჯახის მოძიება და სოციალური გარემოს პირველადი შეფასება. აღნიშნულ მობილურ ჯგუფს კურირებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკი.

2015 წლის 9 იანვრის მონაცემებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროგრამის ფარგლებში მოქმედ მომსახურებებში განთავსებულია 108 ბენეფიციარი.

საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის“ შესაბამისად, არასრულწლოვანთა წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ნერგავს ინდივიდუალურ მიდგომებს და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს, რომლებიც მოიცავს სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის დროს არასრულწლოვნის განვითარებას, განათლებას, საჭირო უნარების ჩამოყალიბებას, ფსიქო-სოციალურ და სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილებას და ა.შ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმები იქმნება არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მონაწილეობით. ამ ღონისძიებების მიზანია განმეორებითი დანაშაულის პრევენცია და პატიმრობის ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება.

დანაშაულის პრევენციის ეს მიმართულება მესამე დონის პრევენციულ ჯგუფში მოიაზრება.

ამ ეტაპისთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის კუთხით ხორციელდება შემდეგი პროგრამები და ღონისძიებები:

1. **ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამა** – მოიცავს მოზარდის ჩართვას სასკოლო განათლების მიღების პროცესში. სურვილის შემთხვევაში მოზარდებს შესაძლებლობა აქვთ მოემზადონ და ჩააბარონ ექსტერნის, საატესტატო ან/და ეროვნული გამოცდები;

2. სხვადასხვა **ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამები** – მოიცავს ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას, არტ-თერაპიას, ტრენინგ-პროგრამებს და ა.შ.;

3. პროფესიული და სახელობო პროგრამები – არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში ფუნქციონირებს მინანქრის, ხატვის, გიტარისა და ხეზე კვეთის წრეები;

4. **ინტელექტუალურ-შემეცნებითი ღონისძიებები** – დაწესებულებაში არასრულწლოვანთა ინტერესებიდან გამომდინარე პერიოდულად ტარდება ინტელექტუალური თამაშები, ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბის შეხვედრები, იმართება თემატური მხატვრული ფილმების ჩვენებები და დისკუსიები;

5. **სპორტული აქტივობები** – სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოზარდებს საშუალება აქვთ ჩაერთონ რაგბის, ფეხბურთისა და ჭადრაკის წრეებში;

6. **კულტურული ღონისძიებები** – პერიოდულად იმართება კულტურული ღონისძიებები, შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან, არასრულწლოვნებზე პოზიტიური გავლენის მოხდენისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით;

7. **ოჯახთან ურთიერთობის ხელშეწყობა** – პროგრამის მიხედვით, არასრულწლოვნები უზრუნველყოფილები არიან ოჯახებთან სატელეფონო საუბრებით, მოკლე და გრძელვადიანი პაემნებით.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, არასრულწლოვნების პროგრამებში ჩართვა ხორციელდება არსებული რისკების, ინტერესებისა და საჭიროებების შეფასების საფუძველზე შემუშავებული სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. შეფასებისა და პროგრამებში ჩართვის ვადა შეადგენს არასრულწლოვნის სისტემაში მოხვედრიდან 25 დღეს, აქედან გამომდინარე, ამ ეტაპისთვის სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფი ყველა არასრულწლოვანი არის ჩართული არსებულ პროგრამებში. რაც შეეხება არსებული პროგრამების ეფექტიანობის საკითხს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, სისტემის შიგნით განხორციელებული ღონისძიებების შეფასებას ახორციელებს თავად დეპარტამენტი, თუმცა კონკრეტულად რა კრიტერიუმებით ფასდება პროგრამების ეფექტიანობა, არ არის ცნობილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროგრამები: „იცხოვრე ნარკოტიკის გარეშე“, „მომავლის თასი“, „სამართლებრივი განათლების პროგრამა“ და „ერთი დღე პოლიციელის ცხოვრებით“. აღნიშნული პროგრამები პირველადი პრევენციის ჯგუფში მოიაზრება და მოზარდთა დანაშაულის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად:

1. პროგრამა **„იცხოვრე ნარკოტიკის გარეშე“** – პროგრამის ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლების მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებთან პოლიციელებმა ჩაატარეს პრეზენტაციები ანტინარკოტიკულ თემებსა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შედეგად მოსალოდნელ სამართლებრივ და მორალურ შედეგებზე. პრეზენტაციის მიზანი იყო მოსწავლეთა ნდობის მოპოვება და შემდეგ საკითხის გარშემო დისკუსიის გამართვა.

2. ტურნირი მინი ფეხბურთში **„მომავლის თასი“** – ჩატარდა 2009-2010 წლებში, თბილისის საჯარო და კერძო სკოლების მე-9 კლასის მოსწავლე

ვაჟებს შორის. ტურნირის მიზანი იყო სპორტის პოპულარიზაცია ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებში, მათი მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა პროექტში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა, ჯანმრთელი თაობის აღზრდა და სხვ.

3. პროექტი **„არა ძალადობას!“** – მოიცავს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ტიპის ღონისძიებებს თბილისსა და რეგიონებში. პროექტი განხორციელდა 2014 წლის ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში და მასში მონაწილეობა მიიღეს სკოლის მოსწავლეებმა და სტუდენტებმა. პროექტის ფარგლებში ძალადობის წინააღმდეგ მოეწყო ხატვის კონკურსი, გაიმართა ფოტოგამოფენა და სხვა ტიპის შეხვედრები.

4. სამართლებრივი განათლების პროგრამა – საგანი **„სამართლებრივი კულტურა“** ისწავლება მე-9 კლასში უბნის ინსპექტორის და პედაგოგის მიერ. მისი მიზანია მოსწავლეებში სამართლისა და მართლმსაჯულების სფეროში მათი უფლებების და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნის მიღება. 2013-2014 წლებში აღნიშნული საგანი ისწავლებოდა საქართველოს 32 საჯარო სკოლაში და სასწავლო თემები მოისმინა 2000-მა მოსწავლემ. პროგრამა ასევე მოიცავს სკოლის მოსწავლეთა ვიზიტებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სამსახურებში. პროექტის ფარგლებში შსს-ს ეწვია 427 მოსწავლე და 236 სტუდენტი.

5. კულტურათა კვეთის რეგიონული პროექტი **„სკოლა+სპორტი+პოლიცია“** – ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით, 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 მარტამდე. პროექტში ჩართულები არიან ევროპის საფეხბურთო ასოციაციების კავშირი, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. პროექტის მიზანს წარმოადგენს მოზარდთა დანაშაულის პრევენცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა. პროგრამის მიხედვით ხორციელდება ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ საუბრები ბავშვებთან და მშობლებთან, ასევე სხვადასხვა რეგიონში ტარდება სემინარები და სპორტული ღონისძიებები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოზარდთა პროგრამებში ჩართვის განსაკუთრებული კრიტერიუმები არ არსებობს, თუმცა, ძირითადად მონაწილეთა პროგრამაში მონაწილეობას მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დადგომა განაპირობებს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო პროგრამების მიხედვით, მხოლოდ პირველადი პრევენციის მიმართულებით მუშაობს და არ ამოწმებს პროგრამების ეფექტიანობას, შესაბამისი შეფასებითი კრიტერიუმების სირთულის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდთა დანაშაულის წინააღმდეგ ასევე ხორციელდება მუშაობა სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია თითქმის არ არის ხელმისაწვდომი და საჯარო, რაც აღნიშნულ საკითხებზე მონაცემების მიღებას, დამუშავებას და სტრატეგიის დახვეწას ართულებს.

2.4. მოზარდი და დანაშაული

სოციალურ-ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედება მოზარდებში დანაშაულის (მათ შორის, განმეორებით) ჩადენის რისკს ზრდის. დღესდღეობით, მოზარდთა მიერ ჩადენილი, გამოვლენილი დანაშაულის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ნაკლებად იძლევა არსებული მდგომარეობის შესახებ სრულ ინფორმაციას. ხშირ შემთხვევაში, ამ ტიპის მონაცემები განცალკევებულად მუშავდება შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურასა და სასამართლოს სისტემებში, რაც მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზების ანალიზს ართულებს.

არასრულწლოვანთა დელინკვენტური ქცევის შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, მოზარდთა ანტისოციალური ქცევისადმი მიდრეკილება დროებითი ფენომენია. არასრულწლოვანთა სოციალური ნორმებისგან გადახვევა უმეტესწილად მოზარდის ზრდისა და განვითარების პროცესის ნაწილია. სისხლის სამართლის კოდექსში შეტა-

ნილი ცვლილებების გამო, ჩადენილი დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის პირობებში, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი, 2008 წლის 1 ივლისიდან, 14 წლიდან 12 წლამდე დასწიეს. სამწუხაროდ, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში არ იყო გათვალისწინებული არც მოზარდთა განვითარების სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები და არც მეცნიერული კვლევის საფუძველზე დგინდებოდა ამის საჭიროება. ამ ფაქტმა მოზარდთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრის ფაქტების ზრდა გამოიწვია. დღევანდელი მდგომარეობით, მოზარდთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვედა ზღვარი ისევ 14 წელია, აღნიშნულ საკითხზე საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა 2010 წელს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემებით, 2007-2011 წლების პერიოდში არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 4712 შემთხვევაში, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე - 14939 შემთხვევაში. არასრულწლოვან დამნაშავეთა 96% მამრობითი და 4% მდედობითი სქესისაა [33].

ფაქტების მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების კუთხით, 2007-2011 წლებში სულ დაფიქსირებულია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის 3842 შემთხვევა, აქედან სისხლის სამართლის საქმე დაწყებულ იქნა 4712-ჯერ, კერძოდ, 2007 წელს – 1003 შემთხვევა, 2008 წელს – 800 შემთხვევა, 2009 წელს – 747 შემთხვევა, 2010 წელს – 736 შემთხვევა და 2011 წელს – 556 შემთხვევა. რაოდენობრივად, დანაშაულთა რიცხვის მიხედვით კლების ტენდენცია გვაქვს. შედარებისთვის, 2011 წელს მომხდარი დანაშაულებები 2007 წელთან შედარებით პრაქტიკულად განახევრებულია. ასაკის მიხედვით, აღნიშნული პერიოდის შემთხვევებიდან 68% (3215 ფაქტი) – 16-დან 18 წლამდე პირების მიერ არის ჩადენილი, 28% (1330 ფაქტი) – 13-დან 16 წლამდე, ხოლო 4% (167 ფაქტი) – 13 წლამდე პირების მიერ.

არასრულწლოვნის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების მიხედვით, 2007-2011 წლებში დაფიქსირდა 14939 შემთხვევა, აქედან 2007 წელს – 5311 ფაქტი, 2008 წელს – 2614 ფაქტი, 2009 წელს – 2439 ფაქტი, 2010 წელს – 3382 ფაქტი, 2011 წელს – 1193 ფაქტი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა უმრავლესობა 96% (14337 ფაქტი) – 16 წლიდან 18 წლამდე პირების მიერ არის ჩადენილი, 2.5% (367 ფაქტი) – 13 წლიდან 16 წლამდე, ხოლო 1.5 % (235 ფაქტი) – 13 წლამდე პირების მიერ.

ყველაზე გავრცელებული სისხლის სამართლის დანაშაულები 2007-2011 წლებში იყო ქურდობა (მცდელობა), ცივი იარაღის ტარება და ყაჩაღობა, ხოლო მძიმე დანაშაულებიდან - თავისუფლების აღკვეთა, განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობის მცდელობა (მათ შორის დამამძიმებელ გარემოებებში) და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. ადმინისტრაციული სამართლის დარღვევებიდან აღსანიშნავია უბილეთოდ მგზავრობა, უფლების გარეშე ტრანსპორტის მართვა, წვრილმანი ხულიგნობა და ნარკოტიკული საშუალებების მცირე რაოდენობის შეძენა, შენახვა და მოხმარება.

2007-2011 წლებში არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულებებიდან, რეგიონების მიხედვით, ფაქტების ყველაზე დიდი რაოდენობა ფიქსირდება თბილისში – 1524 ფაქტი, იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმში – 494 ფაქტი და ქვემო ქართლში – 345 ფაქტი. მიღებული მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულებები კლებულობს, თუმცა, რეალურად ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელების საჭიროება კვლავინდებურად არსებობს.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური გარემოს როლი, მოქალაქეთა დამოკიდებულება არასრულწლოვნების მიმართ. არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზებზე მსჯელობისას მკვლევარი იზა კელენჯერიძე აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანი „საზოგადოების პოზიტიური გავლენის შედეგად პიროვნება

ყალიბდება დადებითად, ხოლო უარყოფითი სუბკულტურული ფასეულობების გავლენის შედეგად გვევლინება დელინკვენტური, ასოციალური ქმედების ჩამდენ პირად, რომელიც გარდა იმისა, რომ უარყოფს და არღვევს კანონის მოთხოვნას, ასევე უგულვებელყოფს და აბუჩად იგდებს საზოგადოებაში არსებულ ტრადიციებსა და მორალის ნორმებს“ [34]. აღნიშნული ფაქტორების ცოდნა და შესწავლა ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციას და მოზარდებთან დაკავშირებული პოლიტიკის დაგეგმვას.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს „საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ანტინარკოტიკულ ცენტრში“ განხორციელდა მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენციასთან დაკავშირებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც კვლევა ჩატარდა 10-18 წლის 69 მოზარდთან, ამასთანავე მოზარდებთან განხორციელდა ქცევის კორექციაზე ორიენტირებული ჯგუფური სესიები, ხოლო მათ მშობლებთან – „მშობლის ეფექტური ტრენინგი“ (PET). აღნიშნული კვლევის შედეგების მიხედვით დადასტურდა, რომ „მოზარდობის ადრეულ ეტაპზე (10-14 წელი) განხორციელებული პრევენციული მუშაობა უფრო ეფექტიანია პუბერტატის (გარდატეხის) პერიოდის ასაკთან (15-18 წელი) შედარებით“ [21, 37].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოზარდების მიმართ დანაშაულის საკითხებთან დაკავშირებულ პრევენციულ ღონისძიებებს. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვნებთან მუშაობა უფრო ეფექტიანია მოზარდობის ადრეულ ეტაპზე, ასევე აუცილებელია გარდატეხის ასაკის მოზარდებთან ინტენსიური მუშაობა, რათა თავიდან იქნას აცილებული მათ მიერ ჩადენილი ანტისოციალური ქცევების განხორციელება და შემდგომში მათი კრიმინალური მენტალიტეტის პიროვნებებად ჩამოყალიბება.

2.5. პიროვნების განვითარების თავისებურებები მოზარდობის პერიოდში

მოზარდობის პერიოდი ბავშვის განვითარებაში განსაკუთრებულია თავისი მნიშვნელობით. ეს პერიოდი, ძირითადად, იწყება 11 წლიდან და გრძელდება 20-21 წლის ასაკამდე. ამ ასაკობრივ პერიოდში ცვლილებები ხდება ძირითადად ოთხი მიმართულებით, ესენია: სხეული, აზროვნება, „მე“-ს განცდა და სოციალური ცხოვრება.

ბიოლოგიური თვალსაზრისით, ამ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს ფიზიკური ზრდა, ამასთანავე იწყება სქესობრივი მომწიფების პერიოდი. სხეულის ცვლილებები განპირობებულია „ჰორმონების ცვლილებით, რომელიც ორგანიზმში პუბერტატული ასაკის დადგომისას ხდება ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ტესტოსტერონი და ესტროგენი არის ის ორი ძირითადი ჰორმონი, რომელიც მოზარდის სხეულის ცვლილებებს განაპირობებს“ [10, 13-14]. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გონებრივი შესაძლებლობების განვითარებასა და პიროვნული თავისებურებების ჩამოყალიბებას. ეს ის პერიოდია, როდესაც მოზარდს უყალიბდება იდენტობა და ემზადება საზოგადოებაში მისი ადგილის დასამკვიდრებლად. ამ ეტაპზე სოციალური უნარების განვითარებას, პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მოზარდობის პეროდი ძირითადად იყოფა სამ ეტაპად: ადრეულ, შუა და გვიანდელ პერიოდებად. თითოეული ეტაპი მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების პერიოდში, შესაბამისად, მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მოზარდობის ადრეული პერიოდი იწყება 11 წლიდან და გრძელდება 14 წლამდე. აღნიშნულ პერიოდში მოზარდები გამოირჩევიან ძლიერი მგრძნობიარობით გარშემომყოფების, განსაკუთრებით თანატოლთა აზრის და გამონათქვამების მიმართ. ჟ. პიაჟე თვლის, რომ ამ ეტაპზე „მოზარდის აზროვნებაში თავს იჩენს აბსტრაქტული მსჯელობა, კონცეპტუალური და ლოგიკური, მომავალზე ორიენტირებული ფიქრები“ [12, 80]. მოზარდობის

ადრეული პერიოდის საწყის ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება უფროსე-ბის მხრიდან მიცემულ მაგალითს, აღმზრდელობით საუბრებთან შედა-რებით. ამ პერიოდიდან მოზარდის და უფროსის შეხედულებები თანდათან სცილდება ერთმანეთს. ბავშვი ხშირად ჩხუბობს ადგილის დამკვიდრებისა და ყურადღების მისაქცევად, ხოლო სხვების თანდასწრებით მის დასჯას დამცირებად აღიქვამს. მოზარდი ცდილობს საკუთარი ადგილის მოპოვე-ბას. თავისი ადგილის, კუთხის არსებობა მას დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაში ეხმარება.

ჟ. პიაჟეს აზრით, მოზარდებში 11 წლის ასაკიდან იწყება მორალური რელატივიზმის სტადია, რომლისთვისაც დამახასიათებელია აზროვნების იდეოლოგიური ფორმა. ამ დროს მნიშვნელოვანია მშობლების ძალაუფლე-ბის საკითხი, რადგანაც, თუ ისინი უარს არ იტყვიან ძალაუფლებაზე, ამან შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვის მორალური განვითარების შეფერხება, რაც შემდგომში ბავშვის მიერ სამართლიანობის აღქმის პრობლემას შექმნის [35, 10].

11 წლის ასაკიდან მოზარდის ქცევა იმპულსურობით გამოირჩევა და ხშირად იცვლება გუნება-განწყობილება. მოზარდები მათი ინიციატივის გაუთვალისწინებლობას მტკივნეულად განიცდიან, ხოლო ზედმეტი თავი-სუფლება ასოციალურ, ეგოისტურ ტენდენციებს ააქტიურებს. 12 წლის ასაკში იმპულსურობა ნელ-ნელა კლებულობს, ამასთანავე ძლიერდება თანატოლების ზეგავლენა. ლოგიკური მეხსიერების და აზროვნების განვი-თარება განსაზღვრავს გონივრულობას, მოთმინების უნარს და იუმორს. მო-ზარდის დაშინებას არასასურველი ქცევის განხორციელების დროს არ მოაქვს სასურველი ეფექტი. ძირითადად, ძლიერი შიში ხანმოკლე მოვლენაა და ერთის მხრივ, დამცავი ფუნქცია აქვს, ხოლო მეორეს მხრივ, აკრძალუ-ლის მიმართ ინტერესს უფრო მეტად აღვივებს. 13 წლის ასაკისთვის მნიშვ-ნელოვანია საკუთარი თავითა და შინაგანი სამყაროთი დაინტერესება. ამ ეტაპზე ყალიბდება ინდივიდუალური მსოფლმხედველობა და პიროვნული ღირებულებების სისტემა.

მოზარდობის შუა პერიოდი იწყება 14 წლიდან და გრძელდება 17 წლამდე. აღნიშნულ ეტაპზე ინტენსიურად მიმდინარეობს მოზარდების ფიზიკური ზრდა, ძლიერდება საწინააღმდეგო სქესის მიმართ ინტერესი, ხდება ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპული როლების მორგება. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპისთვის არის თანატოლებში პოპულარობის მოხვეჭა. „ახალგაზრდა პირველად ამყარებს თამამ კავშირებს უცნობ ადამიანებთან. აქტიურად ყალიბდება გარკვეული არაფორმალური ინსტიტუციებიც, რაც ეფუძნება მყარ და ემოციურად ღირებულ ურთიერთობებს. ამ ჯგუფებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ სოციალური ზრდისა და განვითარებისთვის“ [12, 80].

მოზარდობის შუა პერიოდის დასაწყისში ბავშვის ყურადღება შინაგანიდან გარემომცველ სამყაროზე გადადის და ის უფრო ექსპანსიური, ენერგიული და საკუთარ თავში დარწმუნებული ხდება. ამასთანავე ვითარდება მოზარდის სააზროვნო თვისებები, მატულობს გარეგნობის მიმართ მისი მგრძნობელობა და მტკივნეულად აღიქმება ფიზიკური ცვლილებები. 15 წლის ასაკისთვის მოზარდი უფრო მეტად თანატოლებს ენდობა, ვიდრე უფროსებს, ამასთანავე ცდილობს საკუთარი პოზიციის მაქსიმალურად დაცვას. მოზარდებს ხშირად ჰგონიათ, რომ გარშემომყოფებს არ ესმით მათი აზრი. თანატოლთა წრეში მოზარდები თვითდამკვიდრებას და ავტორიტეტის მოპოვებას ცდილობენ, იზიდავთ რისკი და დაძაბული სიტუაციები, ამასთანავე, ხშირად, განგებ ეძებენ კონფლიქტებსა და სტრესულ სიტუაციებს. 16 წლის ასაკიდან შედარებით აღდგენილია ემოციური წონასწორობა, ამასთანავე მოზარდი მის შეფასებებში მაინც ცალმხრივია და კატეგორიული. საკუთარი ინდივიდუალურობის გაცნობიერება შესაძლოა იწვევდეს მარტოობის განცდას, სწორედ ამის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეგობრობას, ამასთანავე „მოზარდები ცდილობენ საკუთარ თავსაც და სხვებსაც დაუმტკიცონ, რომ ისინი უკვე დიდები არიან და შეუძლიათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება“ [36, 57-58].

მოზარდობის გვიანი პერიოდი იწყება 17 წლის ასაკიდან და გრძელდება 20 წლამდე. ამ ეტაპისთვის ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, ვითარდება მორალური, ეთიკური გრძნობები და ქცევის კონტროლი. მოზარდობის გვიან პერიოდში პიროვნება ცდილობს სრულად მიაღწიოს დამოუკიდებლობას, ამასთანავე ყალიბდება იდენტობა, რომელიც არის „მე“-ს, როგორც უნიკალური და შეკავშირებული ორგანიზმის განცდა, რომელიც სტაბილურია გარემოს ცვლილებების მიუხედავად. მშობლებთან დაპირისპირებით, მოზარდი კვლავ ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებას, ხოლო სხვადასხვა ფასეულობებიდან ის საბოლოოდ ირჩევს მისთვის მისაღებს. გვიანი მოზარდობის პერიოდში ადგილი აქვს იდენტობის კრიზისს. თუ ამ კრიზისის გადალახვა ვერ მოხერხდა, მატულობს იმის ალბათობა, რომ „მოზარდებმა საკუთარი იდენტიფიკაცია მოახდინონ შემთხვევით პირებთან ან რეალურ კრიმინალურ სამყაროსთან, რასაც ისეთი ქცევის ჩამოყალიბება მოჰყვება, როგორიცაა ნარკომანია, კრიმინალურობა“ და სხვ. [12, 81].

მოზარდობის გვიან პერიოდში მძაფრდება გარშემომყოფებთან ურთიერთობები. ამის მიზეზი არის როგორც ბიოლოგიური, ასევე ფსიქიკაში მიმდინარე ცვლილებები. ამ ეტაპზე მოზარდი გადაჭარბებულად აფასებს მის შესაძლებლობებს, ამასთანავე აზვიადებს ფაქტებს და იწყებს მომავალზე ორიენტირებას. ამ პერიოდში მომავლის იმედით ცხოვრება ერთის მხრივ მოზარდს უსიამოვნების გადატანაში ეხმარება, თუმცა, მეორეს მხრივ იწვევს პასუხისმგებლობის ნაკლებობას.

მოზარდობის პერიოდში ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის მორალურ განვითარებას. ამ პროცესში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ ოჯახის წევრები, მეგობრები, სოციალური მდგომარეობა და სხვა სოციალური ფაქტორები. ინდივიდუალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლის, ა. ადლერის აზრით, „ბავშვებზე ზეგავლენას ახდენს არა მარტო მატერიალური მდგომარეობის თავისებურება, როგორიცაა სიღარიბე ან მოულოდნელი სიმდიდრე, არამედ აგრეთვე არანორმალური ფსიქოლო-

გიური გარემოებებიც, ის ფსიქოლოგიური შეგონებები, რომლებიც ოჯახში წარმოიქმნება“ [11, 151], ამასთანავე, აღნიშნულ პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს დასწავლას. ბიჰევიორიზმის სკოლის წარმომადგენლის, ბ. ფ. სკინერის მიხედვით, „მორალური ქცევა არის დასწავლის შედეგი, რომელსაც საფუძვლად უდევს ოპერანტული განპირობებულობა“ [35, 10]. ქცევა შესაძლოა კვლავ განმეორდეს, თუ მას განმამტკიცებელი სტიმული მოყვება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქცევის სიხშირე კლებულობს და ბოლოს მთლიანად ქრება.

აღსანიშნავია, რომ მოზარდებზე გავლენას ახდენს არა მარტო ის გარემო-პირობები, სადაც მას უწევს ცხოვრება, არამედ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებიც. ა. ბანდურას მიხედვით, „ბავშვები, რომლებიც უყურებდნენ აგრესიულ ქცევას, შემდგომში თვითონაც აგრესიას ავლენდნენ“ [7, 5]. მოზარდობის პერიოდში ხშირია მანამდე ნანახი აგრესიული ქმედებების გამეორება ბავშვების მხრიდან, რასაც შემდეგ ნეგატიურ შედეგებამდე მივყავართ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ გარემოს განსაკუთრებულად მიექცეს ყურადღება ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესში.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული, სტატისტიკის მიხედვით კლებულობს. დანაშაულის პრევენციაზე მუშაობისას, შესაბამისი სამსახურების მხირდან (ბავშვზე ზრუნვის სამსახური, პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო და სხვ.) აუცილებლად უნდა მოხდეს არასრულწლოვანთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებების, ასევე იმ სოციალური პირობების გათვალისწინება, სადაც მოზარდებს უწევთ ცხოვრება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის პრევენციის მიმართულებით სამუშაო როგორც სამეცნიერო, ასევე სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ძალიან ბევრია. მოზარდობის პერიოდში დაშვებული შეცდომები ადამიანის მომავალზე სერიოზულ გავლენას ახდენს და ხშირ შემთხვევაში ზიანი მოაქვს როგორც ბავშვისთვის, ასევე საზოგადოებისთვის,

თუმცა საზოგადოების მხრიდან ნეგატიურმა დამოკიდებულებამ და მოლოდინებმა, შესაძლოა ასევე დაამძიმოს მდგომარეობა და ხელი შეუწყოს დანაშაულის განმეორებით ჩადენას.

აქედან გამომდინარე, მოზარდობის პერიოდში არასრულწლოვანთა მდგომარეობის, მათ მიმართ არსებული დამოკიდებულებების შესწავლას, ანტისოციალური ქცევების განხორციელების პრევენციას და ამ მიზნით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

III თავი.
მოზარდთა ანტისოციალური ქცევა და საზოგადოების დამოკიდებულებები

3.1. დამოკიდებულების კვლევის მეთოდოლოგია, ინსტრუმენტის შემუშავება და შერჩევის პროცესი

მოზარდთა ანტისოციალური ქცევის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევისთვის გამოყენებული იქნა სოციალური კვლევის, კერძოდ, გამოკითხვის მეთოდი, რისთვისაც სპეციალურად შემუშავდა კითხვარები პედაგოგებისთვის, მშობლებისა და მოსწავლეებისთვის. კითხვარი შედგება როგორც ღია, ასევე დახურული კითხვებისაგან, რომლებიც გვაძლევენ როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მონაცემებს. კვლევის რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა მონაცემების სტატისტიკური ანალიზის პროგრამა SPSS, ხოლო თვისებრივი მონაცემების დამუშავებისას მოხდა იმ ძირითადი ფაქტორების გამოყოფა, რომლებიც რეალურად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ რეგიონში დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში.

საკვლევი ინსტრუმენტის შესამუშავებლად ჩატარდა ინტერვიუები და საკითხზე ფოკუსირებული დისკუსიები პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და ფსიქოლოგებთან ქ. რუსთავში. ამასთანავე, კითხვების ნაწილი მომზადდა ინკლუზიური განათლების მიმართ დამოკიდებულებების კვლევის 2011 წელს მომზადებული კითხვარების გამოყენებით [1, 54]. კითხვები კვლევის ჩატარებამდე ენობრივად დაიხვეწა და ჩამოყალიბდა იმ ფორმით, რომ მაქსიმალურად გასაგები ყოფილიყო პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეებისთვის.

კვლევის ჩატარებამდე წინასწარ განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები, კერძოდ: პედაგოგები, რომლებიც კითხვარს შეავსებდნენ, უნდა ყოფილიყვნენ საჯარო სკოლებში ამჟამად დასაქმებული პირები. მშობლები – მათ შვილს უნდა ესწავლა საჯარო სკოლის ნებისმიერ კლასში. მოსწავ-

ლეები – უნდა ყოფილიყვნენ 12 წლიდან 19 წლამდე პირები - საბაზო ან საშუალო განათლების საფეხურებზე (VII-XII კლასი).

მიღებული ინფორმაციის და კვლევაში მონაწილე პირთა უფლებების და კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, კითხვარზე დატანილ იქნა დამატებითი ცვლადები – კერძოდ, სქესი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი - მხოლოდ ქალაქის ან სოფელის მითითებით, ხოლო პედაგოგებისა და მშობლების შემთხვევაში კითხვარზე დამატებით დატანილ იქნა განათლების პუნქტი. კითხვარის შევსებამდე კვლევის მონაწილეებს ზეპირი ფორმით ეცნობებოდათ, რომ კითხვარის მიზანი იყო ინფორმაციის შეგროვება და არა კონკრეტული ადამიანების ცოდნის დონის გაგება. მოსწავლეების კითხვარზე დამატებით იყო აღნიშვნა კონფიდენციალურობის საკითხთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ კვლევის მონაწილეებს კარგად მოეფიქრებინათ და შემდეგ დაეწერათ პასუხები, კითხვარის შევსებისთვის არ იქნა განსაზღვრული დრო, თუმცა, კითხვარის შევსება მონაწილეების მიერ საშუალოდ პედაგოგებთან და მშობლებთან 20-30 წუთის განმავლობაში ხდებოდა, ხოლო მოსწავლეებთან 10-15 წუთის განმავლობაში. კითხვარს კვლევის მონაწილეები ავსებდნენ ინდივიდუალურად, ერთმანეთთან კონსულტაციის გარეშე.

კითხვარის სამივე ნაწილი შედგება ღია და დახურული ტიპის კითხვებისაგან, პედაგოგებთან კითხვების რაოდენობა არის – 16, მშობლებთან – 15, ხოლო მოსწავლეებთან – 8. ამასთანავე, კითხვარი განსხვავდება გვერდების რაოდენობის მიხედვით, პედაგოგების კითხვარი 4 გვერდიანია, მშობლების 3 გვერდიანი, ხოლო მოსწავლეების კითხვარი შედგება 2 გვერდისგან.

კვლევის მონაწილეები უნდა ყოფილიყვნენ ქვემო ქართლში მცხოვრები პიროვნებები. კვლევის პროცესში მათთან ინდივიდუალურად მოხდა შეხვედრები და კითხვარის შევსება.

პედაგოგებმა კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სურვილის მიხედვით, სკოლის ტერიტორიაზე თავისუფალი საათების პერიოდში. რაც შეეხებათ მშობლებს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მათი შვილები

მიმდინარე წელს ყოფილიყვნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები. იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგი ასევე იყო მშობელი, ის ავსებდა მხოლოდ პედაგოგისთვის განკუთვნილ კითხვარს, აქედან გამომდინარე მშობელთა კითხვარები პედაგოგების მიერ არ არის შევსებული. რაც შეეხებათ მოსწავლეებს, მათი კვლევაში მონაწილეობა განხორციელდა მათი სურვილის შესაბამისად, სასწავლო პროცესისგან თავისუფალ დროს.

ასაკი: მშობელთა და პედაგოგთა ასაკი კვლევის დროს არ ყოფილა შეზღუდული, მშობლების შემთხვევაში აუცილებელი იყო მათ ყოლოდათ შვილები, რომლებიც სწავლობდნენ სკოლაში მიმდინარე წელს, ხოლო პედაგოგები უნდა ყოფილიყვნენ საჯარო სკოლაში მომუშავენი. რაც შეეხებათ მოსწავლეებს, მათი ასაკი იწყება 12 წლიდან, ხოლო მაქსიმალური ასაკი არის 18 წელი.

სქესი: გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო სისტემაში პედაგოგების უმრავლესობა არის მდედრობითი სქესის, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა მამრობითი სქესის, თუნდაც 25 პედაგოგის მოძებნა რეგიონის მასშტაბით, რომლებიც კვლევაში მიიღებდნენ მონაწილეობას. ამასთანავე, უნდა გაგვეთვალისწინებინა ისიც, რომ ბავშვების აღზრდის პროცესში განათლების მხრივ ძირითადად დედები არიან დაკავებულები, შესაბამისად, კითხვარი ძირითადად მათ მიერ იქნა შევსებული. რაც შეეხებათ მოსწავლეებს, მათი რაოდენობა სქესის მიხედვით თითქმის თანაბარია, საკითხისადმი მათი დაინტერესებიდან გამომდინარე.

3.2. დამოკიდებულების კვლევის აღწერითი ნაწილი

კვლევა ჩატარდა 2015 წლის 20 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით, ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ რუსთავში, გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისში, დმანისში, თეთრიწყაროსა და წალკაში. საერთო ჯამში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 437-მა პირმა, მათ შორის არის 164 მოსწავლე, 136 მშობელი და 137 პედაგოგი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 19-მა საჯარო

სკოლამ, აქედან 9 რუსთავიდან, ხოლო 10 რაიონული ცენტრების (ქართული სექტორის) საჯარო სკოლებიდან. კვლევაში მონაწილეთაგან 84% მდედრობითი სქესისაა, ხოლო 16% მამრობითი სქესის, კატეგორიების მიხედვით (პედაგოგი, მოსწავლე, მშობელი) სქესის განაწილება წარმოდგენილია N1 ცხრილის სახით:



კვლევის მონაწილეთა ასაკი პედაგოგებში 28 წლიდან 67 წლამდეა, მშობლებში 26 წლიდან 66 წლამდე, ხოლო მოსწავლეებში 12 წლიდან 18 წლამდე.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, კვლევის მონაწილეთა ნახევარზე მეტი – 55.4% ქ. რუსთავიდანაა, ხოლო – 44.6% ქვემო ქართლის რეგიონიდან (გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო და წალკა). კვლევის მონაწილეთა გადანაწილება რეგიონის მიხედვით წარმოდგენილია N2 ცხრილის სახით.



განათლების მიხედვით, პედაგოგების უმრავლესობას – 99.3%-ს და მშობლების 67.4%-ს აქვთ უმაღლესი განათლება, ამასთანავე, მშობლების 12.6%-ს საშუალო განათლება, 10.4% არასრული უმაღლესი, ხოლო 9.6%-ს აქვს პროფესიული განათლება. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N3 ცხრილის სახით:



იმისთვის, რომ გაგვერკვია, თუ რას მიიჩნევენ ანტისოციალური ქცევის მიზეზებად კვლევაში მონაწილე პირები, მათ დავუსვით შემდეგი ტიპის კითხვა: **„თქვენი აზრით, რა მიზეზები უწყობს ხელს ანტისოციალური ქცევის (მაგ. ქურდობა, აგრესია, ჩხუბი, წესების დარღვევა, ძალადობა, მოწევა, ალკოჰოლის შემცველი სასმელების მიღება და სხვ.) განხორციელებას მოზარდებში?“** (მოსწავლეების კითხვარში: **„შენი აზრით, რატომ არღვევენ არსებულ წესებს ის ბავშვები/მოზარდები, რომლებსაც ახასიათებთ ანტისოციალური ქცევა (მაგ. ქურდობა, აგრესია, ჩხუბი, წესების დარღვევა, ძალადობა, მოწევა, ალკოჰოლის შემცველი სასმელების მიღება და სხვ.)).** გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპისთვის ჩვენი მიზანი არ იყო იმის დადგენა, იცოდნენ თუ არა კვლევაში მონაწილე პირებმა ტერმინი – „ანტისოციალური ქცევა“, დამატებითი კითხვების თავიდან აცილების მიზნით, ინტერვიუს და საკითხზე ფოკუსირებული დისკუ-

სიების პროცესში მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე ანტისოციალურ ქცევასთან გაკეთდა მოკლე აღწერა, თუ რას მოიცავს ეს ქცევა.

ზოგადი შედეგების მიხედვით, გამოკითხული პირების აზრით, ანტისოციალური ქცევის ძირითადი მიზეზი არის: **ოჯახი, საზოგადოების გავლენა, სოციალური პრობლემები, ძალადობა, საკუთარი სურვილი, უმუშევრობა** და **სკოლა/განათლება.**

ოჯახი – 71.2% (დასახელდა 299-ჯერ), აღნიშნული საკითხი მოიცავს როგორც მშობლების მხრიდან უარყოფით გავლენას, ზრუნვის ნაკლებობას, ამასთანავე სითბოს და სიყვარულის მოკლებას ბავშვისთვის. ***პედაგოგები:*** „პრობლემები ოჯახში“, „მშობლების უყურადღებობა“, „ოჯახში არსებული პრობლემა ყოველთვის აისახება ბავშვის ქცევაზე და გამოიხატება აგრესიით“, „არასწორი აღზრდა“, „მშობლების უყურადღებობა, ნაკლები კონტროლი“, „სადაც არ არის სიყვარული და ხშირია კონფლიქტები“, „გენეტიკა“, „ოჯახური გარემო მთავარია“, „(ბავშვი) ოჯახში განიცდის დისკომფორტს“, „ქართულ ოჯახებში ბავშვის აღზრდის ტრადიციულ სისტემებში ბევრი რამ არის შესაცვლელი“, „ბავშვი ოჯახის სარკეა“, „ხელმიშვებულობა და მოუცლელობა მშობლების მხრიდან“ და სხვ. ***მოსწავლეები:*** „მშობლები ყურადღებას ისე ძალიან არ აქცევენ, როგორც სხვა ბავშვების მშობლები“, „მათ აკლიათ მშობლის სითბო და აგრესიით და ქურდობით გამოხატავენ ამას“, „მათ არ ყავთ ადამიანი, ვინც თბილად დაელაპარაკება და დაარიგებს“, „ოჯახიდან უნდა მოდიოდეს მეტი ყურადღება“, „ბავშვები იმას აკეთებენ, რასაც ოჯახში ხედავენ“, „მშობლები აღზრდის არასწორ მეთოდებს იყენებენ“, „მათ აკლიათ ყურადღება მშობლებისგან“, „თუ ადამიანს არ აქვს მისაბაძი მაგალითი ან კარგი აღმზრდელი არ ყავს, ის ვერ მიხვდება, რომ ცუდ საქმეს აკეთებს“, „ბევრი მოზარდი მშობლებისგან ხედავს მსგავს საქციელს და ეს ყველაფერი ჩვეულებრივი გონიათ“, „მსგავსი ბავშვები უპატრონოდ იზრდებიან“, „მოწევა და დალევა უკვე მშობლის დანაშაულია“, „მე ვხედავ ბავშვს, რომელიც 13 წლის ასაკში ეწევა, ამაში მშობლები არიან დამნაშავეები“ და

სხვ. ***მშობლები:*** „ოჯახში მყუდრო გარემოს არ არსებობა“, „არასწორი აღზრდა ოჯახებში, სადაც დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ“, „აღზრდა და გენეტიკა“, „მშობლის უყურადღებობა“, „მშობლების არაჯანსაღი დამოკიდებულება მათ მიმართ“, „მშობლების უყურადღებობა, უპასუხისმგებლობა“, „მშობელმა თუ ოდნავ მოადუნე ყურადღება შვილის აღზრდისას, შედეგიც სახეზეა“, „ალკოჰოლის მიღება მშობლის მხრიდან“ და სხვ.

საზოგადოების გავლენა – 49.2% (დასახელდა 207-ჯერ), რაც მოიცავს როგორც საზოგადოების მხრიდან ნეგატიურ ზეგავლენას, ასევე ქუჩის, მეგობრების და სოციალური წრის ნეგატიურ ზემოქმედებას მოზარდზე. ***პედაგოგები:*** „ქუჩის გავლენა“, „სოციალური გარემო“, „არაჯანსაღ გარემოში მოხვედრა“, „უმცროსი თაობა იზრდება უფროსების მაგალითზე“, „მეგობართა წრე და სოციალური გარემო“, „ის სოციალური ჯგუფი, სადაც უწევს მოზარდს ყოფნა“ და სხვ. ***მოსწავლეები:*** „მათ შეიძლება სულ არ სურთ, რომ იყვნენ ანტისოციალური ქცევის, მაგრამ საზოგადოება „აიძულებს“, „მათზე ზემოქმედებას ახდენენ არასათანადო ქცევების მქონე ბავშვები“, „ბევრჯერ მინახავს, ქუჩაში ერთი თანატოლი მეორეს ცუდ რამეს რომ აკეთებინებს და მერე შეჩვევა ხდება ამ საქციელის“, „მეგობრები ერთმანეთს ყვებიან და მერე სავალალო შედეგებს აღწევენ“, „მეგობრები, რომლებიც ქუჩური ცხოვრებით ცხოვრობენ და აგრესიას ავლენენ“, „ისინი იზრდებიან ისეთ გარემოში, სადაც ხელი ეწყობა მათ ქცევას“, „ბავშვები რომლებიც ქუჩაში იზრდებიან, ისინი უმეტესწილად ცუდ გზას ადგებიან“, „ქუჩაში მყოფი „გაფუჭებული“ ბავშვები მათ ითრევენ ჭაობში“, „ბავშვები ბაძავენ მოზარდებს“, „ბევრი მისდევს ასეთი ცხოვრების წესს“, „როდესაც მოზარდში რაიმე ცუდს დაინახავენ, არ ცდილობენ მის დახმარებას შეცდომის გამოსწორებაში, პირდაპირ ზეწოლაზე და გარიყვაზე გადადიან“, „როცა უფროსისგან ხედავენ ძალადობას, იგივეს იმეორებენ“ და სხვ. ***მშობლები:*** „გარემო, სადაც უწევთ ყოფნა“, „მთელი დღე ქუჩაში ყოფნა და ცუდ მეგობრებთან ურთიერთობა“, „ზოგჯერ თავად უფროსები უბიძგებენ ასეთი ქცევისკენ“, „ასეთი ქცევის მეგობრების წრეში ტრიალი“, „ცუდი სამეგობრო წრე“ და სხვ.

სოციალური პრობლემები – 30% (დასახელდა – 126-ჯერ), რაც მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, საცხოვრებელ პირობებს და საერთო ფონს ქვეყანაში. ***პედაგოგები:*** „სოციალური მდგომარეობა“, „ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემები“, „მძიმე სოციალური პირობები“, „ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური გარემო“ და სხვ. ***მოსწავლეები:*** „ამის მიზეზი შეიძლება იყოს სოციალური მდგომარეობა“, „მათ უხდებათ ქუჩაში მათხოვრობა, რომ საკმარისი საჭმელი ჰქონდეთ სახლში“, „ღარიბული ცხოვრება და არახელსაყრელი საცხოვრებელი პირობები“, „ზოგიერთს არ აქვს ფული“, „გაჭირვება“ და სხვ. ***მშობლები***: „ჩვენი სოციალური პირობებიდან გამომდინარე“, „სოციალური ფონი“, „გაუსაძლისი ეკონომიკური მდგომარეობა“ და სხვ.

ძალადობა – 16.4% (დასახელდა 69-ჯერ), მოიცავს როგორც მშობლების მხრიდან ბავშვზე, ასევე მშობლებს შორის ფიზიკურ ძალადობას ბავშვის გარემოცვაში. ***პედაგოგები:*** „აგრესია ოჯახში“, „ოჯახური კონფლიქტები ბავშვის თანდასწრებით“, „მოზარდი, რომელიც მოძალადეა და უწესო ოჯახში იზრდება, ვერ იქნება საზოგადოების ღირსეული წევრი“, „ბავშვზე ძალადობა, დაცინვა“, „თუ ბავშვი ხედავს ძალადობას, აგრესიას, ჩხუბს, თვითონაც ახორციელებს მას“ და სხვ. ***მშობლები:*** „კონფლიქტები მშობლებს შორის“, „ფიზიკური დასჯა“, „ბავშვის მოთხოვნილებების იგნორირება“, „მშობლის მხრიდან ბავშვზე ძალადობა“ და სხვ.

საკუთარი სურვილი – 15.7% (დასახელდა 66-ჯერ), გულისხმობს ბავშვის მიერ ჩადენილ ქმედებებს, რომელიც განპირობებულია აგრესიით, თვითდამკვიდრებისა და განსხვავებულობის სურვილით. ***პედაგოგები:*** „თავის დამკვიდრება საზოგადოების გარკვეულ წრეებში“, „მიბაძვა“, „მოზარდები შეპყრობილები არიან სურვილით – იყვნენ გამორჩეულები“, „სუსტი ნებისყოფა“ და სხვ. ***მოსწავლეები:*** „თითქოს ამ ყველაფრით ისინი ყურადღებას იქცევენ“, „ისინი მხოლოდ სურვილის გამო აკეთებენ ამ ყველაფერს, რაც ძალიან სამწუხაროა“, „ალბათ იმიტომ, რომ მათ ეს სიამოვნებთ და შვებას ანიჭებთ“, „არ უნდათ სწავლა და ცდილობენ ქუჩაში დაიმ-

კვიდრონ თავი“, „მათ არ სურთ იყვნენ ისეთები, როგორებიც ნორმალური ბავშვები არიან“, „მათ სურთ საზოგადოებისგან განსხვავებულობა“, „ისინი ასე იმკვიდრებენ თავს“, „არსებული წესები მათ სურვილებს ეწინააღმდეგება“, „ზოგჯერ ამას სხვების თვალში გამოსაჩენად და ყურადღების მისაქცევად აკეთებენ“, „უმეტესობას ეს სიამოვნებს და ჩვევად აქვთ“, „ზოგიერთი იმიტომ არღვევს წესებს, რომ გაერთოს“, „მოზარდებს სურთ თვითდამკვიდრება და ამისთვის არასწორ გზებს მიმართავენ“, „მათ ცხოვრების სხვა წესი და მიზნები აქვთ“, „მათ ეს კარგი საქციელი ჰგონიათ“ და სხვ. ***მშობლები:*** „ე.წ. ქუჩის აკადემიის წევრობის სურვილი“, „ისინი ვერ აანალიზებენ ამით რა უშავდებათ, რას აკეთებენ“, „ეს ერთგვარი პროტესტია მოზარდების მხრიდან“, „სუსტი ნებისყოფა“ და სხვ.

უმუშევრობა – 11.4% (დასახელდა 48-ჯერ), მოიცავს დასაქმებისა და ფინანსურ პრობლემებს. აღნიშნულ საკითხზე დაფიქსირდა შემდეგი ტიპის კომენტარები: „ეკონომიკური მდგომარეობა ოჯახის“, „სიდუხჭირე, უმუშევრობა“, „უსაქმურობა“, „ოჯახში არსებული მატერიალური მდგომარეობა“, „არასაკმარისი ფინანსური მდგომარეობა“ და სხვ.

სკოლა, განათლება – 11.2% (დასახელდა 47-ჯერ), მოიცავს განათლების დაბალ დონეს, სკოლაში კონტროლის მექანიზმების პრობლემებს, ინფორმაციის და ცოდნის ნაკლებობას. ***პედაგოგები:*** „მშობელთა გაუნათლებლობა“, „განათლების დაბალი დონე“, „სკოლის უყურადღებობა“, „სკოლის ჩაყენება უსუსურ მდგომარეობაში და არასწორი საგანმანათლებლო პოლიტიკა“ და სხვ. ***მოსწავლეები:*** „სკოლის ბრალია“, „საჭიროა სკოლაში მეტად გაკონტროლდეს, თუ რას აკეთებენ ბავშვები“, „სკოლაში უნდა იყოს სათანადო სწავლა“, „ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ სკოლაში“, „გაკვეთილზე მოწყენილები არიან და ამიტომ ხმაურობენ“, „საჭიროა სკოლის მხრიდან მეტი ყურადღება“ და სხვ. ***მშობლები:*** „უსწავლელობა“, „სწავლის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება, თითქოს პედაგოგიც შეეგუა იმ აზრს, რომ თუ არ უნდა ბავშვს სწავლა ნუ უნდა..“ და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევაში მონაწილე პირებს მოცემულ კითხვაზე შეეძლოთ რამდენიმე მიზეზის დაფიქსირება, რის გამოც მიღებული პასუხების პროცენტული მაჩვენებელი 100%-ზე მეტია. აღნიშნულ კითხვაზე სულ დაფიქსირდა ანტისოციალური ქცევის 1018 მიზეზი. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N4 ცხრილის სახით.



ანტისოციალური ქცევის ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზები კვლევაში მონაწილე პირებმა შედარებით ნაკლები რაოდენობით დაასახელეს, თუმცა აღნიშნული საკითხები ასევე ძალიან მნიშვნელოვანია და მოზარდის ქცევაზე ახდენს გავლენას. ეს მიზეზებია:

პიროვნული პრობლემები – 9.5% (დასახელდა 40-ჯერ), მოიცავს მოზარდის ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რომელიც მის ქცევაზე ახდენს გავლენას. აღნიშნულ საკითხზე **მოსწავლეების** მიერ დაფიქსირდა შემდეგი ტიპის კომენტარები: „მათ ცხოვრებაში რაღაც ისეთი გადაიტანეს, რასაც ფსიქოლოგიურად ვერ გაუმკლავდნენ“, „მათ აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები, უნდათ თვითდამკვიდრება, უნდათ აჩვენონ, რომ რაღაც შეუძლიათ, გონიათ, რომ მაგრები არიან და გაიზარდნენ“, „მათ აქვთ ასეთი ქცევებისკენ მიდრეკილება“, „ისინი უზრდელები, უნამუსოები და უცოდინრები არიან“, „ფსიქოლოგიური ტრავმა“, „ალბათ მათ აქვთ რამე პრობლემა, რის გამოც აქამდე მივიდნენ, არ მგონია, რომ ეს მათი მოწოდება იყოს“,

„ისინი ვერ ხვდებიან, რომ რასაც აკეთებენ, ეს არ არის სწორი და ამით თავს ავნებენ“, „მათ აქვთ ფსიქიკური პრობლემები“, „ალბათ გარდატეხის ასაკის ბრალია“ და სხვ.

საზოგადოების დამოკიდებულება – 6.4% (დასახელდა 27-ჯერ), მოიცავს საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებას მოზარდების პრობლემების მიმართ: „საზოგადოების გულგრილობა“, „გულგრილი დამოკიდებულება სხვისი პრობლემების მიმართ“, „საზოგადოების ბრალია, ისინი კი არ უნდა გავრიყოთ, არამედ უნდა ვიბრძოლოთ მათ გამოსწორებაზე“, „თითოეული ასეთი ადამიანის არსებობა ჩვენი, საზოგადოების ბრალია“ და სხვ.

გამოცდილება – 6% (დასახელდა 25-ჯერ), მოიცავს მოზარდის ცხოვრებისეულ გამოცდილებას და გადატანილ ტრავმებს: „ეს განაპირობა მათმა ცხოვრებისეულმა პრობლემებმა“, „ეს ყველაფერი ხდება სხვადასხვა პრობლემის გამო“, „ბავშვობაში გადატანილი სტრესი“, „ოჯახიდან მიღებული ტრავმის გამო შეიძლება ჩამოუყალიბდეს ეს თვისებები“ და სხვ.

მედია საშუალებები, ინტერნეტი – 5.2% (დასახელდა 22-ჯერ), მოიცავს მედია საშუალებებისა და ინტერნეტის ნეგატიურ ზეგავლენას მოზარდებსა და მათ ქცევაზე: „სოც. ქსელები, ტელევიზია, უზნეობის პროპაგანდა“, „გაუკონტროლებელი ინფორმაცია ტელევიზიიდან და ინტერნეტიდან, აგრესია ფილმებში“, „ძალადობის პროპაგანდა“, „ისინი ტელევიზიით ნახულობენ ამგვარ სცენებს და გონიათ, რომ ქურდობა და ჩხუბი კარგი ბიჭობაა და ისინიც მაგრები იქნებიან“, „ასეთ ბავშვებს აქვთ დამახინჯებული ფსიქოლოგია“, „მედია სივრცეში სულ ცუდი ინფორმაცია ტრიალებს და ეს მოქმედებს“, „მედია საშუალებებით ძალმომრეობისა და უზნეო საქციელის რეკლამირება-პროპაგანდა“ და სხვ.

მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი (უდედმამო ბავშვი) – 3.3% (დასახელდა 14-ჯერ): „დანგრეული ოჯახები“, „არასრულფასოვან ოჯახში აღზრდა, მშობელთა ქცევა მოქმედებს ბავშვზე“, „ეს ის ადამიანები არიან, ვისაც მშობლები არ ყავთ, მათ აკლიათ ყურადღება და მზრუნვე-

ლობა, მათ არ ყავთ ადამიანი, ვინც სწორ გზას აჩვენებს“, „უყურადღებოდ მიტოვებული შვილები“ და სხვ.

შედარებით ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი (საერთო ჯამში 6.7%) აქვს შემდეგ საკითხებს (მიზეზებს):

• **რელიგია** – „უმთავრესი მიზეზი ღვთისგან დაშორება და არაეკლესიურობაა“, „ცხოვრების ღირებულებების არ ქონა“, „ურწმუნოება“, „თუ ეკლესიურად არ იზრდება ბავშვი“ და სხვ.

• **საზღვარგარეთ მყოფი მშობლები** – „ოჯახის წევრები არიან საზღვარგარეთ, ბავშვები არ იზრდებიან ოჯახურ გარემოში“, „საზღვარგარეთ გადახვეწილი მშობლები“, „ბევრის მშობელი საზღვარგარეთ არის წასული“ და სხვ.

• **სხვა მიზეზები** – „სკოლაში უზომოდ გაზრდილი ბავშვის უფლებები“, „ცუდი იდეოლოგია ქვეყანაში“, „მთავრობის მხრიდან არასათანადოდ გატარებული პრევენციული ღონისძიებები“, „აღმზრდელობითი, შემეცნებითი ხასიათის აქტივობების ნაკლებობა მოზარდებისთვის“, „ალკოჰოლის მიღება, სიგარეტი“.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პედაგოგებთან, ასევე მოსწავლეებსა და მშობლებთან, **ოჯახი** და შემდეგ **საზოგადოების გავლენა** ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩევა, თუმცა მესამე ადგილზე მოსწავლეებთან ფიქსირდება **საკუთარი სურვილი**, ხოლო პედაგოგებსა და მშობლებთან **სოციალური პრობლემები.**

შემდეგი შეკითხვა არკვევს, იცნობენ თუ არა პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები იმ მოსწავლეს, რომელსაც ახასიათებს ანტისოციალური ქცევა – **„გქონიათ თუ არა შეხება (იცნობთ თუ არა) ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლესთან/ბავშვთან?“**. აღნიშნულ შეკითხვას 434-მა რესპონდენტმა გასცა პასუხი, აქედან 68.7%-მა დადებითად უპასუხა, ხოლო 31.3%-მა – უარყოფითად. უფრო კონკრეტულად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეები უფრო მეტად იცნობენ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვებს (77.4%), ვიდრე პედაგოგები (72.1%), თუმცა, ამასთანავე, მონაცე-

მებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშობლები ყველაზე ნაკლებად იცნობენ (54.5%) ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებს. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N5 ცხრილის სახით:



შემდეგი შეკითხვა ეხება პედაგოგების მზაობას, კერძოდ, ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებთან მუშაობის შესაძლებლობას - **„ხართ თუ არა მზად იმისთვის, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვმა ისწავლოს თქვენს კლასში?“** – აღნიშნულ კითხვას 133-მა პედაგოგმა გასცა პასუხი, აქედან 71% ფიქრობს, რომ მზად არის ანტისოციალური ქცევის ბავშვთან სამუშაოდ, ხოლო 28% ფიქრობს, რომ არ არის ამისთვის მზად, აღნიშნულ კითხვაზე, 1%-მა აღნიშნა, რომ არ იცის მზად არის თუ არა ანტისოციალური ქცევის ბავშვებთან სამუშაოდ. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N6 დიაგრამის სახით.



მიუხედავად დაფიქსირებული პასუხებისა, პედაგოგები კომენტარების სახით წერდნენ კითხვაზე პასუხს და ხსნიდნენ/ ასაბუთებდნენ მათ არ-ჩევანს. ქვემოთ მოცემულია პედაგოგების მიერ დაფიქსირებული კომენტა-რები აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით, კერძოდ:

დიახ (71%) – „თავს არ მოვაბეზრებ ჭკუის დარიგებით და მზრუნვე-ლობის გამოხატვით ვეცდები მათი ნდობის მოპოვებას“, „მთავარია პრობ-ლემის გათავისება, მიუღებელია ანტისოციალური ქცევა და არა ასეთი ქცე-ვის მოსწავლე“, „მათ უფრო მეტი ყურადღება ესაჭიროებათ“, „ხშირად შველის საუბარი, პირადი მაგალითი“, „ამ დროს ძალიან ძნელია გააკონ-ტროლო კლასში სიტუაცია“, „ასეთ ბავშვთან და მის ოჯახთან დიდი მუშაობაა საჭირო, თუმცა დიდი ძალისხმევის შედეგად სიტუაციის გამო-სწორება შესაძლებელია“, „მან თავი გარიყულად კი არა საჭირო ადამიანად უნდა იგრძნოს“, „შევეცდები ბავშვი დავაყენო სწორ გზაზე, მშობელთან ერთად“, „შეიძლება შევძლო მათი გამოსწორება, მათ თანადგომა სჭირ-დებათ“, „საუბარი, თუ ფსიქიკური პრობლემები არ აქვს ბავშვს, კარგად მოქმედებს“, „განათლების მიღების უფლება ყველას აქვს“, „მოზარდის ხასიათის შეცვლა უფრო რეალურია, ვიდრე ზრდასრულის“, „ყოველთვის ვცდილობ ვაზიარო ადამიანურ ღირებულებებს“, „შევეცდები მასზე და მის ოჯახზე ზეგავლენის მოხდენას, დავიხმარებ თანაკლასელებს, დირექციას, სოციალურ მუშაკებს“, „კლასი უნდა მოვამზადო ამისთვის“, „მე კი მზად ვარ, მაგრამ მეეჭვება, რომ დღევანდელ გარემოში მცირე ჯგუფმა შევძლოთ მათი დახმარება“, „მსგავსი ქცევის მოსწავლეები სწავლობენ ჩვენს კლასებში და შემლებისდაგვარად ვცდილობთ მათთან ნორმალურ კომუნიკაციას“, „დიახ, მაგრამ გამიჭირდება“, „პრობლემასთან დაკავშირებით ვატარებთ კლასის საათებს და სხვა ტიპის ღონისძიებებს, რაც დადებით გავლენას მოახდენს ბავშვზე, თუ ჩემთან ისწავლის“, „რთულია მათი ქცევის კონტ-როლი, უნდა დაიცვა ოქროს შუალედი“, „თუ სახელმწიფო იქნება მზად მორალურად დაგვიდგეს გვერდით იმ პედაგოგებს, რომლებსაც ასეთ მოზარდებთან გვიწევს მუშაობა“, „მშობელმაც უნდა შეგიწყოს ხელი“,

„მაგრამ, სასურველია ასეთმა ბავშვმა არ ისწავლოს ჩემს კლასში“, „ძნელია, მაგრამ საინტერესოა მათთან ურთიერთობა“, „**ამ „დაავადებებს“ მკურნალობა სჭირდება“** და სხვ.

არა (28%) – „ასეთი ბავშვები ხშირად მისაბაძები ხდებიან და საშიშროებას წარმოადგენენ სხვებისთვის, ალბათ არ ვისურვებდი, რადგან არ ვარ დაცული იმისგან, რომ არ გავხდები ასეთი ადამიანის ზეგავლენის მსხვერპლი“, „სხვა ბავშვებზე იქონიებს გავლენას“, „მასწავლებელმა ჯერ უნდა გაიაროს სპეციალური მომზადება“, „მზად არ ვარ, მაგრამ დავეხმარები“, „სურვილი არ მაქვს, მაგრამ თუ მეყოლება, მასთან ხანგრძლივი და განსაკუთრებული სხვა სახის სამუშაოები იქნება ჩასატარებელი“, „ძალიან გამიჭირდება“, „სამწუხაროდ სწავლობს“, „არ ვარ მსურველი მყავდეს მსგავსი მოსწავლე, თუმცა ვეცდები მის სწორ გზაზე დაყენებას“, „ასეთი მოსწავლე შეცვლის კლასის მდგომარეობას უარყოფითისკენ“, „დღევანდელი სასწავლო პროგრამა საკმაოდ გადატვირთულია და მიზნები ძნელად მისაღწევი. მოგვიწევს გადანაწილებული დროის შეცვლა, საერთო შედეგების დაწევის ხარჯზე“, „საჭიროა კონსულტაცია კომპეტენტურ ადამიანებთან“, „ასეთი ქცევის მოზარდები სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იზრდებოდნენ“, „ბავშვს განსაკუთრებული ყურადღება და დრო სჭირდება, ეს რთულია, როცა კლასში 30 ბავშვი გიზის, შედეგიც არ არის დამაკმაყოფილებელი ამ შემთხვევაში“, „დღევანდელი სასწავლო გარემო ასეთ მზაობას ართულებს“, „ზოგიერთი ქცევის კორექცია ალბათ გამიჭირდება“, „სამწუხაროდ ასეთი ბავშვი ყველა სკოლაშია“ და სხვ.

არ ვიცი (1%) – „ჩემს კლასში სწავლას რაც შეეხება, მშობლების და კლასის გადასაწყვეტია“, „საზოგადოებამ უნდა შეუწყოს ხელი ამგვარი მოსწავლეების აღზრდას“.

შემდეგი შეკითხვა ეხება მშობლების მიერ შვილისთვის მეგობრობის ნებართვის მიცემას, კერძოდ – **„მისცემდით თუ არა თქვენს შვილს უფლებას ემეგობრა ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვთან / მოსწავლესთან, თუ ის მის კლასში ან სკოლაში ისწავლს?“ –** აღნიშნულ კითხვას 136-მა მშობელმა

გასცა პასუხი, მიღებული შედეგების მიხედვით, მშობელთა 33.8% შვილს მისცემდა მეგობრობის უფლებას, 43.4% არ მისცემდა მეგობრობის უფლებას, 6.6%-მა არ იცის როგორ მოიქცეოდა, ხოლო 16.2% თვლის, რომ ნაწილობრივ მისცემდა შვილს მეგობრობის უფლებას. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N7 დიაგრამის სახით.



პასუხების დაფიქსირებასთან ერთად მშობლების მიერ ხდებოდა მათი პასუხების დასაბუთება და ახსნა. ქვემოთ მოცემულია პასუხები შვილისთვის ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლესთან მეგობრობის უფლების მიცემაზე:

დიახ (33.8%) – „ოღონდ მკაცრ კონტროლს დავუწესებდი ჩემს შვილს, რომ მისგან უარყოფითი ქცევები არ გადაიღოს“, „იმისთვის, რომ მასთან ურთიერთობით ესწავლა, რომ ცუდი ქცევა ზიანს აყენებს ასეთ მოსწავლეს და ამიტომ, ის მისთვის ქცევის ანტიმოდელი იქნებოდა“, „ჩემმა შვილმა ყველანაირ ბავშვთან უნდა იმეგობროს, ოღონდ გავაკონტროლებდი“, „შვილს ვურჩევდი, რომ ასეთ ადამიანს მისცეს რჩევა, არ ავუკრძალავდი ურთიერთობებს“, „უნდა მივცეთ შანსი, რომ მოხვდეს კარგ ატმოსფეროში“, „ბავშვების გარიყვა სოციუმიდან არ არის საზოგადოებისთვის კარგი“, „თუ კლასში იქნება მხოლოდ ერთი მოსწავლე (ანტისოციალური ქცევით)“, „თუ მისი არჩევანი იქნება, წინააღმდეგობას არ გავუწევდი“, „ყველამ თუ უარი

უთხრა მეგობრობაზე, ის უფრო აგრესიული გახდება და საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებად ჩამოყალიბდება“, „ვერ ავუკრძალავ მეგობრობას, ბავშვის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სწორედ ასეთ ბავშვებს უნდათ გვერდში დგომა და სწორი გზის არჩევა“, „უფლებას მივცემდი, თუმცა გარკვეულწილად რისკის ქვეშ იქნებოდა ჩემი შვილი“, „თუ ერთ კლასში იქნებიან, ჩემს შვილს დავეხმარები მასთან ურთიერთობაში“, „თუ ის გამოსწორების გზას ადგას და ცუდ ზეგავლენას არ იქონიებს ჩემს შვილზე“, „ამ ბავშვების გარიყვა უფრო დიდი დანაშაულია“, „კი, მაგრამ გავაკონტროლებდი“ და სხვ.

არა (43.4%) – „არ მექნებოდა სურვილი, მაგრამ რა ვქნა, ჩვენი პიროებებიდან გამომდინარე მაინც უწევთ შეხება“, „ცუდი ზეგავლენა ექნება“, „სურვილი არ მექნებოდა, მაგრამ იზოლირებასაც ვერ მოახდენ“, „არც ერთ მშობელს არ უნდა მოძალადე, აგრესიულ და ალკოჰოლზე დამოკიდებულ მოზარდთან იყოს მისი შვილი“, „არ ვისურვებდი და არც უფლებას მივცემდი, მაგრამ თუ მაინც მოხდებოდა, ვეცდებოდი მასზე დადებითად მემოქმედა“, „ხარი ხართან დააბიო..“, „ასეთი ბავშვი სკოლაში არ უნდა დადიოდეს, იმიტომ, რომ ცუდი ბავშვი ყოველთვის ცდილობს სხვა გააფუჭოს“, „მეგობრობას დავუშლიდი, მაგრამ ნორმალური ურთიერთობის წინააღმდეგი არ ვარ“, „შეიძლება დაზარალდეს ჩემი შვილი“, „მათი 95% ცდილობს ბავშვები თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ და არა პირიქით“, „ბავშვებს ახასიათებთ მიმბაძველობა და ნაკლებად ფიქრობენ შედეგებზე“, „შეიძლება ჩემი შვილი მისი გავლენის ქვეშ მოექცეს და მიბაძოს“, „მაგრამ კარგ წრეში მოხვედრის შემთხვევაში შესაძლებელია მათი უკეთესობისკენ შეცვლა“, „ბავშვი ზოგჯერ ასეთ გარემოში მყოფ ადამიანს ემსგავსება“, „არ მომწონს ასეთი ბავშვები“, „დღე და ღამე დაბადებიდან ყველა შვილზე ვზრუნავ და ვცდილობ ეკლესიურები იყვნენ, შრომა უყვარდეთ და წიგნიერები იყვნენ, ამის გამო სხვის შვილს უფლებას არ მივცემ ჩემი შვილის ცხოვრება დაანგრიოს“, „მე არ ვარ დაზღვეული, რომ ჩემი შვილიც ანტისოციალური არ იქნება მასთან ურთიერთობის შემდეგ“, „შესაძლოა

ჩემს შვილსაც გაუფუჭდეს მომავალი“, „უარყოფითი ქცევები უფრო გადამდებია, ვიდრე კარგი“ და სხვ.

არ ვიცი (6.6%) – „ძნელი სათქმელია, თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება“, „ბავშვს ისე გავზრდი, რომ ეცოდინება კარგის და ცუდის გარჩევა და თვითონ მიხვდება როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს სხვა ბავშვებთან“, „შეიძლება მივცე უფლება, რომ გამოასწოროს და დაუბრუნოს ნორმალურ ცხოვრებას“, „დავფიქრდებოდი“ და სხვ.

ნაწილობრივ (16.2%) – „ფარულ მეთვალყურეობას დავუწესებდი თუ ეს მოხდებოდა, თუ შევამჩნევდი, რომ შვილზე უარყოფით გავლენას ახდენს, მაშინ ავუკრძალავდი მეგობრობას“, „თუ შესაძლებელია ასეთი ბავშვების გადარჩენა, მთელმა კლასმა და საზოგადოებამ უნდა მიიღოს მონაწილეობა“, „ქურდობის, აგრესიის და ძალადობის შემთხვევაში არა, მაგრამ ჩხუბის, მოწევის და წესების დარღვევის შემთხვევაში არ მექნებოდა პრობლემა“, „მშობელს არ აქვს უფლება მეგობრები შეურჩიოს შვილს, თუმცა გააჩნია ქცევის სიმძაფრეს“, „კლასელი შეიძლება იყოს, მაგრამ არ მივცემდი ეზოში ერთად ყოფნის საშუალებას, სკოლა უფრო დაცულია და დასაშვებია“, „თუ ჩემი შვილი მოახდენს ზეგავლენას მასზე და სწორი გზისკენ შემოაბრუნებს და არა პირიქით“, „დავუშლი ახლო მეგობრობას“, „ხშირი ურთიერთობის საშუალებას არ მივცემ“, „იმ შემთხვევაში, თუ თავად ვიცნობ იმ ბავშვს“ და სხვ.

შემდეგი შეკითხვა ეხება პედაგოგებს, კერძოდ, **„თქვენი აზრით, როგორი ქცევის მქონე ბავშვის მიღება გაგიჭირდებოდათ თქვენს კლასში / სკოლაში?“ –** აღნიშნულ კითხვაზე კვლევაში მონაწილე პირებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის გაცემა, შესაბამისად, პასუხების ჯამი 100%-ზე მეტია. პედაგოგებმა ამ კითხვაზე სულ დაასახელეს 152 პასუხი, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **პედაგოგების 22.3%-ს არ გაუჭირდებოდა** ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვების მიღება მათ კლასში: „ვერ გამოვყოფ ქცევას, რის გამოც უარს ვიტყოდი მიღებაზე“, „გარიყვაც არ შეიძლება, ამით მათ ვუბიძგებთ უარესი ქცევისკენ“, „არ გამიჭირდებოდა, თუმცა სასურველია

ჩვენს სკოლაში არ მოეყვანათ“, „მთავარია დავეხმაროთ გულით“, „ბავშვს ჭირდება ინდივიდუალური მიდგომა“, „ყველა ბავშვი თავის მხრივ სირთულეს ქმნის სკოლაში, მაგრამ არ უნდა მოხდეს მათი გარიყვა“ და სხვ. ამასთანავე **პედაგოგების 8.3%** თვლის, რომ **ყველა ტიპის ანტისოციალური ქცევის ბავშვის მიღება გაუჭირდებოდა**: „ის გავლენას ახდენს სხვა მოსწავლეებზე, ამიტომ, ასეთი ბავშვის სკოლაში მიღება არ არის სასურველი“, „მათთან ფსიქოლოგები უნდა მუშაობდნენ, მათზე გადატანილი მთელი ყურადღების გამო მთელი კლასი ზარალდება, უნდა იყვნენ კლასში, მაგრამ ფსიქოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ“, „ნებისმიერი ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვის მიღება არასასურველია“, „სკოლა ვერ გაუმკლავდება მარტო, თუ სხვა პროფესიის წარმომადგენლებიც არ ჩაერთვებიან“, „გამიჭირდებოდა VII-XII კლასის მოსწავლეებთან მუშაობა, რადგან მათთან შედეგის მიღწევა რთულია, ისინი არ ემორჩილებიან მშობლებს და კლასის ხელმძღვანელებს“ და სხვ.

რაც შეეხება ქცევებს, რომლის მიღებაც ყველაზე მეტად გაუჭირდებოდათ პედაგოგებს და შესაბამისად, ამ ქცევის მოსწავლისთვის სწავლებაც, შემდეგნაირად გამოიყურება:

მოძალადე/აგრესიული – 32.2% (დასახელდა 49-ჯერ), კვლევაში მონაწილე პედაგოგები თვლიან, რომ გაუჭირდებათ მოძალადე და აგრესიული მოსწავლის მიღება კლასში და სკოლაში, კერძოდ: „ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვი ეს უკვე დიდი პრობლემაა, რომელსაც ესაჭიროება შველა, გამიჭირდებოდა მოძალადესთან ურთიერთობა, თუმცა არც მასთან იქნება ძნელი საერთო ენის გამონახვა“, „ზედმეტად აგრესიულის, თუმცა მაინც შევეცდებოდი მასთან მუშაობას“, „აგრესიულის, რომელიც ბავშვებს ფიზიკურად უსწორდება, პარავს სასწავლო ნივთებს, აშანტაჟებს“, „სხვებისთვის ზიანის მომტანი“, „აგრესიული მოსწავლე საფრთხეს შეუქმნის თანაკლასელებს“, „უყვარს ძალადობა, არ ითვალისწინებს და არ ემორჩილება არავის“ და სხვ.

ქურდი – 13.2% (დასახელდა 16-ჯერ), პედაგოგების კომენტარების მიხედვით, მათ გაუჭირდებოდათ ქურდის და ქურდული მენტალიტეტის მქონე მოსწავლის მიღება: „ქურდული მენტალიტეტის, რომელიც ცდილობს სხვა ბავშვებზე მოახდინოს ზეგავლენა“, „მათ სასწავლო ნივთების ტარებაც კი უღირს საქმედ მიაჩნიათ, არ კადრულობენ შრომას, სამართლიან შენიშვნებს, ცდილობენ ძალისმიერი მეთოდებით მოიპოვონ პატივისცემა“, „თუ ბავშვს აქვს მიდრეკილება ქურდობისადმი, მიუხედავად დიდი მუშაობისა, ეს გამოიწვევს უარყოფით დამოკიდებულებას“ და სხვ.

ცუდი ყოფაქცევა – 9.1% (დასახელდა 11-ჯერ), პედაგოგებს გაუჭირდებოდათ იმ მოსწავლეების მიღება, რომლებიც გამოირჩევიან ცუდი ყოფაქცევით: „რომელსაც არ ესმის, რომ უფროსი ხარ“, „წესების დარღვევა საფრთხეს შეუქმნის სხვა მოსწავლეებს“, „უპასუხისმგებლო და მავნე ჩვევების მქონე მოსწავლე“, „ყოფაქცევით არადამაკმაყოფილებელი“ და სხვ.

ალკოჰოლის მომხმარებელი – 7.4% (დასახელდა 9-ჯერ), პედაგოგებს გაუჭირდებოდათ იმ მოსწავლეების მიღება, რომლებიც მოიხმარენ ალკოჰოლს: „სასმელების მიღებისკენ მიდრეკილი მოსწავლეები ხასიათდებიან გაუწონასწორებელი ქცევებით“, „ალკოჰოლის მომხმარებელი“ და სხვ.

ფსიქიკური დარღვევების მქონე – 5% (დასახელდა 6-ჯერ) – „ფსიქოლოგიური დარღვევა, სულიერი აშლილობა“, „ფსიქიკის დარღვევები“, „გონებრივად ჩამორჩენილი“.

მოჩხუბარი – 4.1% (დასახელდა 5-ჯერ).

უთავმოყვარეო – 3.3% (დასახელდა 4-ჯერ) - „რთულია, როცა ბავშვს არ აქვს თავმოყვარეობა“, „უპასუხისმგებლო“.

მატყუარა – 2.5% (დასახელდა 3-ჯერ) – „მატყუარა და გაიძვერა მოსწავლის“, „ვერ ვეგუები ასეთ მოსწავლეს, საკმაოდ ძნელია მათთან ურთიერთობა“.

ერთეული კომენტარების სახით (5.8%) დაფიქსირდა შემდეგი კომენტარები: „ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებული“, „ჩაკეტილი“, „უინტერესო“, „მოტივაციის არ მქონე“ და „მშობლებისგან მიტოვებული“.

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N8 ცხრილის სახით.



შემდეგი კითხვა ეხება მშობლებს, კერძოდ, **„ხართ თუ არა მზად იმისთვის, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვმა ისწავლოს თქვენს შვილთან ერთად?“** – აღნიშნულ კითხვას 131-მა მშობელმა გასცა პასუხი, შედეგების მიხედვით, მშობელთა 55% თვლის, რომ მზად არის მისმა შვილმა ისწავლოს ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლესთან ერთად, 34.4% თვლის, რომ არ არის ამისთვის მზად, 6.9% თვლის, რომ არ იცის მზად არის თუ არა, ხოლო 3.8% თვლის, რომ ნაწილობრივ არის ამისთვის მზად. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N9 დიაგრამის სახით.



გარდა ამისა, მშობლები მათ მიერ გაცემულ პასუხებში აფიქსირებდნენ შემდეგ კომენტარებს, კერძოდ:

დიახ (55%) – „თუ შესაძლებელი იქნება ასეთ ბავშვთან ურთიერთობა“, „არცერთი ბავშვი არ უნდა გაირიყოს“, „ურთიერთობას თავად დაარეგული-

რებენ“, „ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ყველანაირი ადამიანები არსებობენ და უნდა ისწავლონ სწორი გზის არჩევა“, „ანტისოციალური ქცევით ბავშვი არ იბადება, მას აყალიბებს საზოგადოება, საზოგადოება კი ვალდებულია იზრუნოს ასეთ ბავშვზე, ჩემი შვილის და მისი მეგობრების ჩარევამ შეიძლება ამ ბავშვში აღმოფხვრას მისი ხასიათის ცუდი თვისებები“, „ბევრს დავარიგებ, როგორი ურთიერთობა ჰქონდეს მასთან“, „ყველამ რომ გავრიყოთ, ალბათ ვერც გამოსწორდება“, „ჩემს შვილს ყავს მეგობარი, რომელიც უკვე ჩამოყალიბდა, დაკავდა სპორტით და ვგრძნობ, რომ რცხვენია იმის, თუ როგორ იქცეოდა“, „ჩემმა შვილმა იცის, რომ აგრესია არ უნდა გამოავლინოს და უნდა ეცადოს, რომ გამოასწოროს მისი ქცევები“, „არ იქნება დანაშაული, თუ ანტისოციალური ქცევის ბავშვი იქნება მის გვერდით“, „შვილს ვურჩევდი, რომ ის მისთვის ყოფილიყო მისაბაძი ბავშვი“, „თუ ხუთი ბავშვიდან ერთს მაინც მოვაბრუნებთ საზოგადოებისკენ, ეს უკვე დიდი საქმე იქნება“, „იმ შემთხვევაში, თუ ეს ზეგავლენას არ მოახდენდა ჩემს შვილზე“ და სხვ.

არა (34.4%) – „მათ სხვანაირი მიდგომა სჭირდებათ“, „საერთოდ არ მინდა, რომ ჩემს შვილთან ერთად ისწავლოს ასეთმა ბავშვმა“, „ალბათ სხვა ჯგუფში გადავიყვანდი“, „მათთვის უნდა არსებობდეს ძნელად აღსაზრდელთა სასწავლებლები“, „ყველას ეშინია უარყოფითი შედეგების“, „თუ ფაქტის წინაშე დავდგები სხვა გზა არ მექნება“, „დაძაბული ვიქნებოდი ასეთ შემთხვევაში“, „ქვეყანაში უნდა არსებობდეს ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც ყურადღებას მიაქცევენ და სათანადო რეაგირებაც ექნებათ“, „მათ რეაბილიტაცია, ფსიქოლოგების დახმარება და მშობლების ყურადღება სჭირდებათ“, „ამისთვის ფსიქოლოგიურად არ ვარ მზად“, „ბავშვმა შესაძლოა ბევრი სირთულე შექმნას კლასში“ და სხვ.

არ ვიცი (6.9%) – „ასეთი ტიპის ბავშვების იზოლაცია საზოგადოებისგან უფრო სავალალო შედეგის მომტანია მათთვის“, „დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ანტისოციალური ქცევის ბავშვი ყველა კლასშია“, „ასეთი ბავშვები ხომ ჩაგრავენ სუსტებს და ჭკვიანებს“, ვიზრუნებ და ვიბრძოლებ

იმისთვის, რომ იმ ბავშვმა ან ჭეშმარიტების გზა აირჩიოს, ან კიდევ თავისი გზა მოძებნოს (სხვაგან წავიდეს)“ და სხვ.

ნაწილობრივ (3.8%) – „იმ შემთხვევაში, თუ ბავშვთან იმუშავებს სპეციალისტი და ჩემს შვილს სწავლაში არ შეეშლება ხელი“ და სხვ.

შემდეგი კითხვა ეხება მოსწავლეებს, კერძოდ **იმეგობრებენ თუ არა ისინი ანტისოციალური ქცევის მოსწავლესთან, თუ ის მათ კლასში ან სკოლაში ისწავლის**, 161-მა მოსწავლემ უპასუხა. მიღებული შედეგების მიხედვით, 65.2% აღნიშნავს, რომ ისინი იმეგობრებდნენ ანტისოციალური ქცევის მოსწავლესთან, 19.9% აღნიშნავს, რომ არ იმეგობრებდა, 3.7%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო 11.2% თვლის, რომ ნაწილობრივ, მეტ-ნაკლებად შეიძლება მეგობრობა.

მოსწავლეები მათ მიერ დაფიქსირებულ პასუხებთან ერთად წერდნენ კომენტარებს და ასაბუთებდნენ მათ პოზიციას:

დიახ (65.2%) – „ისინიც ჩვეულებრივი ბავშვები არიან სხვადასხვა პრობლემებით და მათი გარიყვა სავალალო შედეგამდე მიგვიყვანს“, „ისინი საზოგადოებისგან არ უნდა გავრიყოთ, მათ შეუძლიათ მეგობრობა“, „ანტისოციალური ქცევა იმას არ ნიშნავს, რომ მას მეგობრობა არ შეუძლია“, „ის არ განსხვავდება ჩემგან, უბრალოდ ცხოვრების სხვა წესს მიყვება, შეიძლება კარგი დამოკიდებულება უკეთესი იყოს, რომ ისინიც კარგი ადამიანები გახდნენ“, „ერთი ადამიანი კი არ შეცვლის საზოგადოებას, არამედ საზოგადოება შეცვლის მას“, „ჩემთვის მნიშვნელოვანია, თუ ეს ბავშვი როგორი იქნება ჩემთან მიმართებაში, მე მთელი ძალისხმევით შევეცდები მის შეცვლას“, „მაქსიმალურად შევეცდები მის გამოსწორებას“, „ვიმეგობრებდი მისი გამოსწორების მიზნით“, „არ მაქვს არავის გარიყვის და დამცირების უფლება, მაგრამ *შევიძულებდი* მის ქცევებს და არ მივბაძავდი მას“, „დავუმეგობრდებოდი, რომ ის დადებით მხარეს შემომებრუნებინა“, „თუ მომცემდა უფლებას მივუახლოვდებოდი და დაველაპარაკებოდი, რომ რჩევები მიმეცა“, „ავუხსნიდი, თუ რა შეიძლება მოყვეს მათ საქციელს“, „ჩემი ვალია დავეხმარო მათ გამოსწორებაში“, „ვეცდებოდი მესწავლებინა ქცევის წესე-

ბი“, „მასთან მხოლოდ იმიტომ ვიმეგობრებდი, რომ მის მავნე ქცევებზე მელაპარაკა, რომ დაეძლია ეს მავნე ქცევა“, „შესაძლოა კარგი მეგობარი არ ყოფილიყო, მაგრამ ცუდი ურთიერთობა არ მექნებოდა“, „თუ კარგი ადამიანია კი“, „ვეცდებოდი ჩემს მხარეს გადმომეყვანა“, „ვიმეგობრებ, იმიტომ, რომ კლასელია“, „ყველა სკოლაში არიან ასეთი მოსწავლეები, მეც მყავს ასეთი მეგობრები“, „თუ ადამიანი ხისთავიანია, მასზე ცოტა გავლენიანმა პირმა უნდა იმოქმედოს“, „ისინი კუთხეში არ უნდა მიამწყვდიო, რადგან უფრო აგრესიულები ხდებიან“, „ვიმეგობრებ, მაგრამ ფრთხილად ვიქნები“ და სხვ.

არა (19.9%) – „ვისი ქცევაც ჩემთვის მიუღებელია, ვერასდროს იქნება მეგობარი“, „ჩემთვის არ იქნებოდა საინტერესო ადამიანი, რადგან არ დაინტერესებდა სხვადასხვა ჟანრის წიგნები“, „თუ ადამიანთან საერთო ინტერესი არ მაქვს ან უბრალოდ არ მომწონს, არ ვმეგობრობ“, „შესაძლოა მეც გავმხდარიყავი მაგათნაირი, მაგრად არ მევასება მაგათნაირი ბავშვები“, „ურთიერთობა მექნებოდა, მაგრამ არ ვიმეგობრებდი, რადგან ჩემთვის მიუღებელია, მასთან ურთიერთობა გამიჭირდებოდა“, „მასთან უბრალოდ საერთოს ვერ მოვძებნი“, „ჩემთვის მიუღებელია ასეთ ადამიანთან ურთიერთობა“, „მათთან მეგობრობა რთულია აგრესიის გამო, მათთან მაქვს ნორმალური დამოკიდებულება, თუმცა ახლოს არ ვმეგობრობ“, „არ მინდა ასეთი მეგობარი მყავდეს“, „(ისინი) ცუდ მაგალითს აძლევენ ყველას“, „მისი დანაშაული არ არის, რომ მშობლები მასზე ძალადობენ“, „დისტანციას დავიჭერდი“, „არ მაქვს სურვილი ასეთი ბავშვი ჩემს სამეგობრო წრეში იყოს“, „ის არ იქნებოდა კარგი მეგობარი და ამიტომ“, „არა, იმიტომ, რომ ადამიანს მეგობრის მიხედვით საზღვრავენ“ (მარნეული), „ისეთ ადამიანთან უნდა იმეგობრო, რომლის იმედიც გექნება და შენ არ ჩაგაგდებს უხერხულ მდგომარეობაში“, „ცოტათი საშიში იქნება ასეთ ადამიანთან მეგობრობა“, „ისინი სულ ცუდად იქცევიან“, „მირჩევნია უბრალოდ სკოლელი და კლასელი ვიყო, რომ ხელი არ შემეშალოს სწავლაში“ და სხვ.

არ ვიცი (3.7%) – „თუ ჩემს კლასში ასეთი მოსწავლე იქნებოდა, იძულებული ვიქნებოდი მემეგობრა, მაგრამ ის ისეთი მეგობარი არ იქნებოდა,

როგორიც სხვები“, „შეიძლებოდა მქონოდა ურთიერთობა, მაგრამ არ ავყვებოდი მათ“, „გააჩნია რა დოზითაა მისი ქცევა „ანტი“, ხომ არ აჯობებს, რაღაც დროით განზე გავდგე? მეც მოზარდი ვარ და მეშლება ალბათ რაღაც, რამაც შეიძლება ჩემზე ცუდად იმოქმედოს“ და სხვ.

ნაწილობრივ (11.2%) - „როცა სკოლა ყველანაირ ხერხს მიმართავს მისი გამოსწორებისთვის და მაინც არ აქვს მას შედეგი, ჩემს დამეგობრებასაც არ ექნება შედეგი. თუ ვერ შევაცვლევინებ აზრს, ჩემთვისაც მიუღებელი იქნება მასთან მეგობრობა“, „თუ ვიცი, რომ ჩემზე არ გადმოიტანს ანალოგიურ ქცევას, მაშინ ვიმეგობრებდი, სხვა შემთხვევაში არა“, „ნეიტრალურად ვიქნებოდი, არ მექნებოდა ცუდი ურთიერთობა, თუ არაფერს დამიშავებდა“, „გააჩნია, მისი და ჩემი ღირებულებები ემთხვევა თუ არა ერთმანეთს“, „ვიმეგობრებდი, თუ ჩემთან ურთიერთობისას გამოსწორდებოდა“, „ვიმეგობრებდი ზომიერების ფარგლებში და ნდობაც ნაკლები იქნებოდა. გააჩნია, თუ ის არ არის საშიში დამნაშავე ან ქურდი“, „მოვერიდებოდი, რადგან მან შეიძლება მომაყენოს შეურაცხყოფა“, „თუ მისთვის მისაღებია ანტისოციალური ქცევა, ვეცდებოდი თავი ამერიდებინა მისთვის“, „ისეთთან არ ვიმეგობრებ, ვინც ძალადობაში ან ქურდობაშია შემჩნეული, სხვებთან კი“, „მაჩვენე (მითხარი) ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ“ (4-ჯერ) და სხვ.

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N10 დიაგრამის სახით:



შემდეგი კითხვა ეხება მშობლებს, კერძოდ, **გაუჭირდებათ თუ არა ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვის/მოსწავლის მიღება მათ წრეში.** აღნიშნულ კითხვას 131-მა მშობელმა უპასუხა, აქედან 57.3% ფიქრობს, რომ გაუჭირდება ანტისოციალური ქცევის ბავშვის მიღება მათ წრეში, 38.9% ფიქრობს, რომ არ გაუჭირდება მიღება, 3.1% ფიქრობს, რომ უჭირს პასუხი, ხოლო 0.8% თვლის, რომ ნაწილობრივ, შეიძლება გაუჭირდეს ან არ გაუჭირდეს მიღება.

პასუხებთან ერთად მშობლები ასაბუთებდნენ მათ პოზიციას ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლის მათ წრეში მიღებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

დიახ (57.3%) – „რთულია, მაგრამ ხელის კვრაც არ შეიძლება“, „გამიჭირდება, მაგრამ მივიღებ“, „ვეცდები დადებითად შევცვალო“, „ანტისოციალური ქცევის ბავშვი შეიძლება იყოს მოძალადე, რომელსაც ნამდვილად არ შემოვუშვებდი ჩემს წრეში“, „ბავშვი უფრო ადვილად ითვისებს ცუდ თვისებებს, ვიდრე კარგს“, „შემეშინდება ცუდი გავლენა არ მოახდინოს ჩემს შვილზე“, „წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ ეს მის გამოსწორებას ხელს შეუწყობს“ და სხვ.

არა (38.9%) – „შეიძლება ჩვენი ურთიერთობის დროს ბავშვი შეიცვალოს და ბევრი კარგი რამ ისწავლოს“, „მათაც უნდათ ნორმალური წრე“, „შევეცდები მის გამოსწორებას“, „მათ ხომ ჩვენი დახმარება სჭირდებათ“, „სასიამოვნო ნამდვილად არ იქნება“, „სურვილი არ გამაჩნია“, „ყველა ადამიანი გამოსწორებადია, თუ ქრისტეს გზით და მორჩილებით ივლის, ნებაყოფლობით“, „ვთვლი, რომ ჩემს წრეს შეუძლია დადებითი გავლენა იქონიოს ასეთ ბავშვზე“ და სხვ.

ნაწილობრივ (0.8%) - „იმ შემთხვევაში, თუ მე არ მყავს ამ ასაკის ბავშვი, რომ მასზე ცუდი ზემოქმედება მოახდინოს“.

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N11 დიაგრამის სახით.



შემდეგი კითხვა განკუთვნილია მშობლებისთვის, კერძოდ, თუ **რას მოიმოქმედებენ ისინი, თუ მათი შვილის კლასში სასწავლებლად გადაიყვანენ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეს**, მიღებული შედეგების მიხედვით, 23.1% მშობლებისა აღნიშნულ შემთხვევაში არაფერს ან ვერაფერს გააკეთებს, 22.3%-მა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში თავის შვილს დაარიგებს და ასევე ურჩევს, რომ მოერიდოს ანტისოციალური ქცევის მოსწავლეს, ხოლო 16.5%-მა აღნიშნა, რომ მეტ ყურადრებას მიაქცევს საკუთარ შვილს.

მშობლები აღნიშნულ კითხვაზე პასუხებს აფიქსირებდნენ კომენტარების სახით, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი:

არაფერს/ვერაფერს – 23.1% (აღინიშნა 28-ჯერ), „თუ დირექცია გადაწყვეტს, თანახმა ვიქნებოდი“, „ვერაფერს, ამ საკითხში ალბათ არ ჩაგვრევს სკოლის დირექცია“, „ჩემს აზრს მნიშვნელობა არ აქვს და არავინ გაითვალისწინებს“, „განათლების უფლება ყველას აქვს, იქნებ ახალმა გარემომ მათზე კარგად იმოქმედოს“, „არ ჩავერევი“ და სხვ.

ბავშვისთვის დარიგების მიცემა / მორიდება - 22.3% (აღინიშნა 27-ჯერ), „დავარიგებ, რომ მისგან შორს იყოს“, „მასთან ურთიერთობის დროს მეტი ნებისყოფა გამოიჩინოს“, „შვილს ავუხსნი, რომ ახლო ურთიერთობა არ ქონდეს ასეთ ბავშვთან“, „უბრალოდ შვილს ავუკრძალავ მასთან მეგობრობას“ და სხვ.

მეტი ყურადღება ბავშვს – 16.5% (აღინიშნა 20-ჯერ), „მეტ ყურადღებას გამოვიჩენდი, რომ ჩემი შვილი არ გახდეს მისი მიმბაძველი“, „ჯერ შვილს დავაკვირდებოდი როგორ მოიქცეოდა მასთან მეგობრობის შემდეგ“, „დამრიგებელს ვთხოვ, რომ ყურადღება მიაქციოს მას და ყველა საგანგაშო მდგომარეობის დროს დამიკავშირდეს“, „ისევ ოჯახში უნდა მიხედო შენს შვილს“ და სხვ.

ზრუნვა, დახმარება – 14.9% (აღინიშნა 18-ჯერ), „ვიზრუნებდი მის გამოსწორებაზე“, „შვილს ვთხოვდი, რომ მასთან მეგობრული იყოს და დაეხმაროს“, „შევეცდები თავადაც მქონდეს მასთან კონტაქტი“ და სხვ.

სპეციალისტების ჩარევა – 9.9% (აღინიშნა 12-ჯერ), „თუ ბავშვს აქვს მიდრეკილება აგრესიისა და ძალადობისკენ, მოვითხოვ, რომ სკოლისთვის არსებობდეს სპეციალისტი - ფსიქოლოგი“, „მანდატურის სამსახურს ვთხოვ, რომ მეტი ყურადღება მიაქციოს“, „პედაგოგთა დახმარებით, წესით ყველაფერს მოევლება“, „ამ ყველაფერში ჯერ დირექცია და პედაგოგები უნდა გაერკვნენ“, „სკოლას მოვთხოვდი დაწვრილებით შეესწავლა ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა“ და სხვ.

წინააღმდეგობა/პროტესტი – 9.9% (აღინიშნა 12-ჯერ), „ეს უნდა გააკეთოს თვითონ სკოლამ, რომ ასეთი ბავშვი არ იყოს კლასში“, „პროტესტს გამოვხატავდი და მივმართავდი შესაბამის ორგანოებს“, „სასურველი არ იქნებოდა“, „გააჩნია ბავშვის ასაკს, თუმცა ამის გამო სწავლის დონე დაიკლებს და გაჩნდება კარგი და ცუდი ჯგუფები“, „მოვითხოვდი ბავშვის გადაყვანას“, „დიდი სურვილი არ მექნებოდა“, „გავაპროტესტებდი, შესაძლოა ჩემი შვილი აღმოჩნდეს რისკის ქვეშ“, „შვეცდებოდი ყველანაირად ხელი შემეშალა“, „მეწყინებოდა“ და სხვ.

დათანხმება – 9.1% (აღინიშნა 11-ჯერ), „მშვიდად შევხვდებოდი მის გადმოსვლას, რადგან ისიც ჩვეულებრივი ბავშვია“, „კარგ ბავშვებთან ისიც კარგი ადამიანი გაიზრდება“ და სხვ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე გამოითქვა **სხვა კომენტარები** (15.7%, 19 პასუხი), „უბრალოდ დავაფიქსირებდი ჩემს აზრს, რომ

სასურველი არ არის“, „შვილს წინ მაგალითი ეყოლება, რომ გაავლოს ზღვარი ცუდს და კარგს შორის, უბრალოდ ავუხსნი, რომ მასთან მეგობრობით ბევრს ვერ მოიგებს“, „შეიძლება ჩემი შვილი სხვა კლასში ან სკოლაში გადამეყვანა“, „ვადროვებდი და მოზარდს მივცემდი გამოსაცდელ ვადას“, „დროს მივცემდი გამოსასწორებლად“.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ კითხვაზე მშობლებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, მიღებული პასუხების პროცენტების ჯამი 100%-ზე მეტია. შედეგები წარმოდგენილია N12 ცხრილის სახით.



შემდეგი კითხვა ეხება პედაგოგებს, კერძოდ, **„თუ თქვენს კლასში სასწავლებლად გადმოყავთ ანტისოციალური ქცევების მქონე მოსწავლე, რას მოიმოქმედებდით? აქვს თუ არა ამ შემთხვევაში მნიშვნელობა თქვენთვის ბავშვის ქცევის გამოვლინებებს, ასაკს და სხვა ფაქტორებს?“** აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი ორ ნაწილად დაიყო, პირველი ნაწილი ეხება მოქმედებას, კერძოდ რას გააკეთებდნენ პედაგოგები აღნიშნულ შემთხვევაში, ხოლო მეორე ნაწილი ეხება ბავშვთან დაკავშირებულ ფაქტორებს აქვს თუ არა არსებითი მნიშვნელობა.

აღნიშნული კითხვის პირველ ნაწილზე სულ აღინიშნა 171 მოქმედება, თუ რას გააკეთებდნენ პედაგოგები იმ შემთხვევაში, თუ მათთან კლასში გადაიყვანენ ანტისოციალური ქცევების მქონე მოსწავლეებს. მიღებული

შედეგების მიხედვით, პედაგოგთა **30.5% დაიწყებს პრობლემის შესწავლას**, **27.1% გააგრძელებს ბავშვებთან მუშაობას**, ხოლო **20.3% ეცდება სპეციალისტების ჩართვას** ბავშვთან მუშაობაში.

უფრო კონკრეტულად, პედაგოგები ამ კითხვაზე პასუხებს ასაბუთებდნენ კომენტარების სახით, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი:

პრობლემის, ქცევის შესწავლა – 30.5% (დასახელდა 36-ჯერ), „გავეცნობი მის პრობლემებს, ვეცდები დავეხმარო“, „ვეცდები შევისწავლო ბავშვის ბუნება, აღმოვაჩინო მასში რაიმე ნიჭი და ვუბიძგო ამ მხრივ განვითარდეს“, „ყველა ბავშვის ქცევა ინდივიდუალურად არის შესასწავლი და იქიდან გამომდინარე უნდა დაიგეგმოს რა უნდა გაკეთდეს“, „შევისწავლი მის დახასიათებას და მის სოციალურ მდგომარეობას“, „ხშირად მიზეზების გარკვევა და მისი აღმოფხვრა პრობლემას მთლიანად აგვარებს“ და სხვ.

მუშაობის გაგრძელება – 27.1% (დასახელდა 32-ჯერ), „მქონია მსგავსი შემთხვევები, მართალია აკადემიურად არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ სკოლაში ყოფნა უნდოდათ“, „მივიღებთ და შევძლებთ მისთვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობას, რომ დაემორჩილოს მას“, „შევიმუშავებ ინდ. გეგმას, გავითვალისწინებ მის შესაძლებლობებს..“, „ჯგუფური მუშაობისას მეტ საპასუხისმგებლო ფუნქციას დავაკისრებ“, „მივიღებდი როგორც რიგით მოსწავლეს და ინტენსიურად ვიმუშავებდი მასთან“, „მივიღებდი ისე, როგორც ნებისმიერ სხვა მოსწავლეს“, „არსებობს რისკი, რომ მისი გავლენის ქვეშ ბევრი სხვაც მოექცეს, მაგრამ შესაძლოა მასზე მოახდინონ სხვებმა სასიკეთო გავლენა“, „შევეცდები როგორმე გამოვასწორო, თუ ხელს შემიწყობს მშობელი და ბავშვი“ და სხვ.

სპეციალისტის ჩარევა – 20.3% (დასახელდა 24-ჯერ), „მასწავლებლებს გავაცნობ მის მდგომარეობას, ოღონდ ამას ინდივიდუალურ შეხვედრებზე გავაკეთებ“, „დამჭირდება ადმინისტრაციისა და ფსიქოლოგის რჩევები“, „შევეცდები დირექციას ავუხსნა, თუ რა საფრთხეს უქმნის ამით სხვა ბავშვებს“, „მივმართავდი სოციალურ მუშაკს“, „განსაკუთრებულად ჩავრევდი ფსიქოლოგს, სულიერ მოძღვარს“, „საჭიროა სათანადო მუშაობა ადრეულ

ასაკშივე“, „საჭიროა რეკომენდატორებთან შეხვედრა, საუბარი, სამართალ-დამცველებთან ურთიერთთანამშრომლობა.. სხვა შემთხვევაში სკოლა უძლურია, პედაგოგი კი დაუცველი..“ და სხვ.

ბავშვზე ზრუნვა – 19.5% (დასახელდა 23-ჯერ), „შევეცდები მეგობრულ ურთიერთობას, გავეცნობი მის პიროვნებას, გავესაუბრები, გავიგებ რა მოსწონს, რა არ მოსწონს და ამის მიხედვით მივიღებ ზომებს“, „გავესაუბრე-ბი, შევეცდები ნდობის მოპოვებას, გავარკვევ მის მისწრაფებებს, ინტერე-სებს, ვურჩევ დაკავდეს სპორტით“, „ვიზრუნებდი მისთვის შემექმნა თბი-ლი, მყუდრო, ზრუნვით სავსე გარემო“, „შევეცდები ავუხსნა, თუ როგორ უნდა მოიქცეს კლასში, ვესაუბრები თუ რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოიტანოს მისმა არჩეულმა ცხოვრების გზამ“ და სხვ.

ოჯახთან ურთიერთობა – 12.7% (დასახელდა 15-ჯერ), „შევეცდები ვიკონტაქტო ბავშვის ოჯახთან, მშობელია პასუხისმგებელი მისი შვილის განვითარებაზე“, „ვეცდები ურთიერთობა დავამყარო მის ოჯახთან, სისტე-მატიურად შევატყობინო ინფორმაცია არა მარტო დარღვევებზე, არამედ მიღწევებზეც“ და სხვ.

მეტი ყურადღების მიქცევა – 6.8% (დასახელდა 8-ჯერ), „გავამახვი-ლებდი ყურადღებას მის ქცევაზე“, „საჭიროა შევისწავლოთ, თუ რა იწვევს ამა თუ იმ ნეგატიურ ქცევებს ბავშვებში“ და სხვ.

კლასის მომზადება – 6.8% (დასახელდა 8-ჯერ), „შევეცდები კლასი შევამზადო, რადგან მათი თანადგომა მჭირდება მეც და ახალმოსულსაც“ და სხვ.

გაპროტესტება – 4.2% (დასახელდა 5-ჯერ), „მაინც წინააღმდეგი ვარ“, „ჩემი ნება რომ იყოს არ მივიღებდი და კარგი იქნებოდა ასეთი ქცევის ბავშვი განსაკუთრებულ სკოლაში სწავლობდეს“, „არ მივიღებდი“, „რა თქმა უნდა სასურველი არ არის, მაგრამ..“, „არ ვიცი სწორად ვფიქრობ თუ არა, მაგრამ ამ ბავშვებისთვის უნდა იყოს სპეც. სკოლა, შეიძლება სწავლით არ სწავლობდ-ნენ, მაგრამ ასწავლონ რამე სპეციალობა, რომ მათ შეძლონ ოჯახის და თავის რჩენა“.

აღნიშნულ კითხვაზე უფრო ნაკლები პროცენტული მაჩვენებლებით აღინიშნა (15.3%) შემდეგი კომენტარები: „სამწუხაროდ მე არავინ მეკითხება“, „მოსწავლეს ჩავრთავ სასკოლო აქტივობებში, ვეცდები გავამახვილო ყურადღება ზიანზე, რომელიც მოაქვს მის მავნე ჩვევებს“, „უფრო შევიკავებ თავს“, „გავესაუბრებოდი და მივცემდი შანსს კლასში გარკვეული ვადით ჩარიცხვისა“, „ეს არის კლასის და მშობლების გადასაწყვეტი“.

აღნიშნულ კითხვაზე პედაგოგებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, რის გამოც, მიღებული პასუხების პროცენტების ჯამი 100%-ზე მეტია. შედეგები წარმოდგენილია N13 ცხრილის სახით.



აღნიშნული კითხვის **მეორე ნაწილი** ეხება ბავშვთან დაკავშირებულ ფაქტორებს, კერძოდ, აქვს თუ არა მათ (სხვადასხვა ფაქტორებს) არსებითი მნიშვნელობა მოსწავლის კლასში მიღების დროს. ამ ნაწილზე 71-მა პედაგოგმა დააფიქსირა თავისი აზრი, კერძოდ პედაგოგების **84.5%** ფიქრობს, რომ **აქვს მნიშვნელობა** მახასიათებლებს („ასაკი, ოჯახური გარემო, ქცევა სათანადოდ უნდა გაანალიზდეს“, „ზოგჯერ ხდება ბავშვის ცუდი ქცევის ასაკთან დაკავშირება“, „თუ ბავშვი პატარა ასაკისაა, შეიძლება იმედი ვიქონიო, რომ გამოვასწორო, მაგრამ თუ ჩამოყალიბებული აქვს ქცევები, რთულია მისი შეცვლა“, „ბავშვის შინაგან კულტურას, ოჯახურ მდგომარეობას, სოციალურ გარემოს“), პედაგოგების **14.1%** ფიქრობს, რომ ამ ფაქტორებს **არ აქვს არსებითი მნიშვნელობა**, ხოლო პედაგოგების **1.4%** ფიქრობს, რომ

ნაწილობრივ აქვს მნიშვნელობა („ზოგიერთი ქცევის კორექტირება შესაძლებელია, ზოგიერთის კი შეუძლებელი“) მოცემულ ფაქტორებს.

შემდეგი შეკითხვა, რომელიც პედაგოგებს და მშობლებს დავუსვით, ეხება ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებისთვის ცალკე სკოლების არსებობას (**„უნდა არსებობდეს თუ არა სპეციალური სკოლები ანტისოციალური ქცევების მქონე მოსწავლეებისთვის?“**). აღნიშნულ კითხვას პასუხი გასცა 134-მა პედაგოგმა და 131-მა მშობელმა. მიღებული მონაცემების მიხედვით, პედაგოგების 50% და მშობლების 49.6% თვლის, რომ ანტისოციალური ქცევის მოსწავლეებისთვის უნდა არსებობდეს სპეციალური სკოლები. პედაგოგების 47% და მშობლების 41.2% თვლის, რომ ასეთი სკოლები არ უნდა არსებობდეს. პედაგოგების 0.7%-ს და მშობლების 1.5%-ს ამ კითხვაზე გაუჭირდა პასუხის გაცემა, ხოლო პედაგოგების 2.2% და მშობლების 7.6% აღნიშნულ კითხვაზე თვლის, რომ ნაწილობრივ შესაძლებელია სპეციალური სკოლების არსებობა. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N14 ცხრილის სახით.



გარდა ამისა, პედაგოგები და მშობლები კითხვაზე პასუხის გაცემის დროს ასაბუთებდნენ მათ პოზიციას, კერძოდ:

დიახ – *პედაგოგები:* „რაც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ საჯარო სკოლები მზად არიან ასეთი მოსწავლეების მისაღებად, მაინც თავს მოვიტყუებთ -

დღეს ჩვენი სკოლების განვითარება ჯერ არ არის იმ დონის, რომ ასეთ მოსწავლეებთან იმუშაონ“, „სასურველია, თუ იარსებებს ასეთი პროგრამები მათთვის, შემუშავდება ცალკე პროგრამები საკვირაო წირვა-ლოცვებზე სავალდებულო დასწრებით..“, „რათა სხვა ბავშვებზე არ მოახდინონ ზეგავლენა“, „სპეც. სკოლა სათანადოდ არის აღჭურვილი, სწავლაც და დღის წესრიგიც შესაბამისად არის მათზე მორგებული“, „იქ სპეციალურად შედგენილი დღის წესრიგი და სასწავლო გეგმებია“, „ასეთი ბავშვები დაუსჯელნი რჩებიან, გადადიან კლასიდან კლასში და უმტკივნეულოდ იღებენ ატესტატს“, „აქ უნდა გაერთიანდნენ ის ბავშვები, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული აგრესია, სადიზმი გარშემომყოფთა მიმართ, მათთან უნდა იმუშაონ სხვადასხვა სპეციალისტებმა“, „მე მომხრე ვარ ინკლუზიური განათლების, თუმცა სპეც. სკოლაში ბევრი სასიკეთო პროგრამის განხორციელება შეიძლება, რაც ვერ ხერხდება საჯარო სკოლაში“, „ამ მოზარდებს სჭირდებათ მეტი სითბო, პოზიტივი და მაქსიმალურად მოტივირებული პედაგოგები“, „თუნდაც ფიზიკური შრომა ასწავლონ, თუნდაც რელიგია, სადაც აეხსნებათ დამატებით მათი ქცევის შესახებ“, „მოსწავლეებს მეტი ურთიერთობა ექნებათ ფსიქოლოგებთან, პედაგოგებს გავლილი ექნებათ ტრენინგები“, „ისინი ხელს უშლიან საგაკვეთილო პროცესს“, „გააჩნია რა კუთხით აქვს პრობლემა მოსწავლეს“, „მათ უნდა ჰქონდეთ განსხვავებული პროგრამა, სპორტული დატვირთვა და ა.შ.“, „ჩვეულებრივ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ისედაც ბევრ პრობლემას აწყდება, დაბალი მოსწრების მოსწავლეთა მაღალი პროცენტი აჩვენებს, რომ საჯარო სკოლა არ არის ამისთვის მზად“, „რომ დაცული იყოს სხვა ბავშვების უფლებები“, „როდესაც ანტისოციალური ქცევა ექცევა დანაშაულის ფარგლებში, მსგავს მოსწავლეებს შესაბამისი მიდგომა სჭირდებათ“, „უკიდურეს შემთხვევაში, მაგრამ სამწუხაროდ საჭიროა“, „საჯარო სკოლებში გვაქვს ჩვენი სამოქმედო პროგრამა, გეგმა, ვიცით კლასების მიხედვით მოსწავლეთა შესაძლებლობები, ქცევის ფორმები, მათი მართვა ადვილია. ანტისოციალურებთან სპეც. პროგრამა და მიდგომებია საჭირო“ და სხვ. ***მშობლები:*** „სპეციალისტების

განსაკუთრებული მუშაობაა საჭირო“, „მათ დახმარება და სხვანაირი აღზრდა სჭირდებათ“, „ასეთ სკოლებში უნდა იყოს სპეც. პროგრამები, სადაც იმუშავებენ ფსიქოლოგები და სასულიერო პირები“, „გარკვეულ დონემდე, რათა შემდგომ ბავშვებმა მოახერხონ ადაპტაცია საზოგადოებასთან“, „მათთან მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეთ მოძღვარს და ფსიქოლოგს“, „უნდა არსებობდეს და უტარდებოდეთ აღმზრდელობითი სამუშაოები შესაბამისი პედაგოგების მიერ“, „ეს უნდა იყოს სკოლა, დაფუძნებული წმინდა ქრისტიანულ იდეებზე“ და სხვ.

არა – პედაგოგები: „მათ თავი არ უნდა იგრძნონ საზოგადოებისგან გარიყულად“, „ასეთ სპეც. სკოლებში ვერ გამოსწორდებიან ბავშვები, ეს აისახება მათ მომავალზე“, „იზოლირებამ შესაძლოა უფრო მძიმე შედეგი მოიტანოს“, „მათი გამოსწორება ჩვეულებრივ სკოლაშიც შეიძლება“, „ვისგან აიღებენ ისინი მაგალითს?“, „მსგავსი სკოლები ბავშვის ქცევას ვერ შეცვლის, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს შეხება სხვა გარემოსთან“, „თუ რამე განსაკუთრებული შემთხვევაა, სახელმწიფომ მოაგვაროს“, „მომავალში უფრო მეტად გაუჭირდება მათ საზოგადოებასთან დაკავშირება“, „არ შეიძლება ბავშვების დახარისხება, მათ აქვთ მგრძნობიარე ფსიქიკა. არსებობენ კარგი და ცუდი მოსწავლეები, შეფასებაც ხდება განათლების დონის მიხედვით“, „დაიჩაგრებიან“, „ცალკე სკოლების გამო ისინი საზოგადოებას ვერ შეეგუებიან, შექმნიან თავის გარემოს და საბოლოოდ მაინც გაუჭირდებათ“, „ასეთი ბავშვები ერთად რომ შეიკრიბებიან, კარგზე არ იფიქრებენ და უფრო დახელოვნდებიან თავის საქმეში“, „ერთად ერთ სკოლაში მოქცეული ასეთი ბავშვები უფრო საშიშები არიან ერთმანეთისთვის“, „სასწავლო კურსთან ერთად უნდა გადიოდნენ სარეაბილიტაციო ღონისძიებებს“ და სხვ. ***მშობლები:*** „ასეთი დამოკიდებულება ბავშვების მიმართ დაუშვებელია“, „იზოლირებულად ყოფნა ასეთ ხალხზე უფრო უარყოფითად მოქმედებს“, „არც სწავლას მოინდომებენ, არც კარგის და ცუდის გარჩევას ისწავლიან“, „მათზე უნდა იმუშაონ გამოცდილმა ფსიქოლოგებმა და პედაგოგებმა, ეს კი ჩვეულებრივ სკოლებშიც არის შესაძლებელი“, „განცალკევება და ბავშვე-

ბისგან გარიყვა სასიკეთოდ არ იმოქმედებს მათზე“, „სპეციალური სკოლები მეტ აგრესიას გამოიწვევენ მათში“, „ამ სკოლების არსებობა მიუთითებს მათ გარიყვაზე საზოგადოებისგან“, „ასეთი სკოლები ბავშვებს უფრო გააღიზიანებთ და გააბოროტებთ“ და სხვ.

ნაწილობრივ – *პედაგოგები:* „მძიმე შემთხვევების დროს შესაძლებელია, მაგრამ მასიურად არ არის საჭირო“, „განსაკუთრებული გამონაკლისებისთვის უნდა არსებობდეს, რომ ამ ბავშვების კლასში ყოფნამ ცუდად არ იმოქმედოს სხვა მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე“. ***მშობლების კომენტარები:*** „მწეველს, წესების დამრღვევს არ სჭირდება სპეციალური სკოლა, მაგრამ აგრესორს და მოძალადეს ნამდვილად ესაჭიროება“, „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი უიმედო რეციდივისტია“ და სხვ.

შემდეგი კითხვა დავუსვით როგორც პედაგოგებს, ასევე მოსწავლეებს და მშობლებს, კერძოდ, **„უნდა სწავლობდნენ თუ არა ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეები ერთ კლასში ან სკოლაში?“.** აღნიშნულ კითხვას პასუხი გასცა 133-მა პედაგოგმა, 132-მა მშობელმა და 161-მა მოსწავლემ. მიღებული შედეგების მიხედვით, ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვების **ერთად სწავლას შესაძლებლად** მიიჩნევს **პედაგოგების 65.4%**, **მშობლების 59.8%** და **მოსწავლეების 55.9%**. ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეების **ერთად სწავლა მიუღებელია პედაგოგების 27.1%**-ის, **მშობლების 29.5%**-ის და **მოსწავლეების 37.9%**-ისთვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხის გაცემა გაუჭირდა პედაგოგთა 3.8%-ს, მშობელთა 2.3%-სა და მოსწავლეთა 0.6%-ს. ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეების ერთად სწავლას მეტ-ნაკლებად შესაძლებლად მიიჩნევს პედაგოგების 3.8%, მშობლების 8.3% და მოსწავლეების 5.6%. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N15 ცხრილის სახით.



გარდა ამისა, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები კითხვაზე პასუ-ხის გაცემის დროს ასაბუთებდნენ მათ პოზიციას, კერძოდ:

დიახ – *პედაგოგები:* „თუ სახელმწიფო მოიფიქრებს იმდენს, რომ სას-წავლო პროცესში უზრუნველყოფს ამ ორი განსაკუთრებულად განსხვავე-ბული კატეგორიის თანაბრად შეფასებისა და სწავლების რაიმე საშუალებას, მაშინ შეიძლება, მაგრამ..“, „თუ სხვა გამოსავალი არ არის“, „აუცილებელია პედაგოგების და ფსიქოლოგების განსხვავებული მუშაობა“, „ბავშვებს უნდა დავანახოთ დადებითი მაგალითები, ჩავრთოთ სხვადასხვა აქტივობებში“, „არ უნდა იყოს შესაძლებელი ამ ქცევის გამეორება და მიბაძვა სხვებისგან“, „ოჯახიც აქტიურად უნდა იყოს ჩართული“, „მოსწავლეებიც ეცდებიან მის დახმარებას“, „დადებითი მაგალითებით და წახალისებით შესაძლებელია ბავშვის ქცევის კორექტირება“, „პრობლემური ბავშვები უკეთესი ქცევის მქონე ბავშვებისგან სწავლობენ, იმედია“, „ეს ტერმინებიც არ მომწონს, „ჩვეულებრივი და ანტისოციალური“, „ბავშვის გარიყვა არ შეიძლება და თუ სწორად წარიმართება მასთან მუშაობა, ვფიქრობ, ასეთი ბავშვი შეძლებს ჯანსაღ წრეში ადაპტირებას“, „ანტისოციალური ქცევის მქონე არ ნიშნავს სისხლის სამართლის დამნაშავეს, აქედან გამომდინარე, არ მგონია გვქონ-დეს იმის უფლება, რომ მათი იზოლირება მოვახდინოთ საზოგადოებისგან“, „მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ განსხვავებული ქცევის ბავშვის მიღება“, „თუ არ არსებობს სპეც. სკოლა, მაშინ არ შეიძლება გარიყვა“, „მათი ცალკე

ჯგუფად გამოყოფა კიდევ უფრო დააშორებს ბავშვებს“, „სწავლობენ, რადგან სპეც. სკოლები არ არსებობს, ძირითადად ისინი ადრე ტოვებენ სკოლას“ და სხვ. ***მშობლები:*** „თუმცა საჭიროა პედაგოგების და ფსიქოლოგების განსაკუთრებული მუშაობა“, „ანტისოციალურად შემდეგ ყალიბდება, საზოგადოების ვალია იზრუნოს მათზე“, „თუ გავლენას არ იქონიებს სხვა ბავშვებზე“, „იმიტომ, რომ მათი ცალკე ერთად ყოფნა არ არის მართებული“, „მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, ღირს თუ არა სწავლის გაგრძელება ერთად“, „იქნებ ჯობდეს, რომ კარგი მიდგომით შევცვალოთ ადამიანი“, „ისინი ანტისოციალური ქცევის ბავშვებად არ იბადებიან, ისინი ასეთებად ოჯახის, ხალხის და საზოგადოების ცივად მოპყრობის გამო ყალიბდებიან“ და სხვ. **მოსწავლეები:** „ყველას სჭირდება განათლება, კარგ გარემოში რომ იქნებიან, შესაძლოა მათი ქცევა შეიცვალოს უკეთესობისკენ“, „ყოველთვის იყვნენ სკოლაში ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეები“, „მათი სპეციალურ სკოლაში გადაყვანა უფრო გამოყოფს საზოგადოებისგან და ასეთი გარიყული ბავშვები აუცილებლად გააკეთებენ რამე ცუდს“, „დასაშვებია, თუ იქნება ყურადღება სკოლის და სამინისტროს მხრიდან, სხვა შემთხვევაში ეს სკოლასაც აზარალებს და მოსწავლეების გარკვეულ ნაწილსაც“, „ყურადღება უნდა ექცეოდეთ მათ, რათა არ დაარღვიონ სხვისი უფლებები“, „სკოლა უნდა იყოს ადაპტირებული“, „თუ მათ გავრიყავთ, ისინი ჩაიდენენ უამრავ დანაშაულს“, „თუ გამოვყოფთ მათ საზოგადოებისგან, შესაძლოა უფრო გაბოროტდნენ“, „ამას ხელს სკოლის დირექტორი და მასწავლებლები უნდა უწყობდნენ, რაც დღევანდელ რეალობაში სამწუხაროდ არ ხდება“, „ისინი ხომ ბავშვები არიან და არა ცხოველები“, „თუ ცალკე ისწავლიან, გამოსწორების მცირე შანსი ექნებათ და თავს გარიყულად იგრძნობენ“, „ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვთა რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ჩვეულებრივი ბავშვების რაოდენობას, რათა მათ შეძლონ თავის სოციალურ გარემოში „გადათრევა“ და შეძლონ კარგი სოციალური გარემოს ჩამოყალიბება“, „უნდა მოხდეს პირობების შეცვლა და არა ბავშვების გარიყვა“ (გარდაბანი) და სხვ.

არა – პედაგოგები: „ბავშვები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან იძენენ მავნე ჩვევებს და შეიძლება ამით უფრო მეტი ბავშვი გახდეს ანტისოციალური ქცევის“, „ისინი უნდა სწავლობდნენ სპეციალურ სკოლებში, რომელიც მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეა გათვლილი“, „აგრესიული ქცევით შესაძლოა საფრთხე შეუქმნან სხვა მოსწავლეებს“, „ხშირად შლის საგაკვეთილო პროცესს, პედაგოგი ვირტუოზი უნდა იყოს, რომ საგაკვეთილო პროცესში ყველაფერი წარმატებით განვითარდეს“, „დღევანდელი საჯარო სკოლა არ არის ამისთვის მზად, რამდენიმე ტრენინგის გავლა ამ მიმართულებით მხოლოდ დახარჯული თანხებია“, „თუ ფსიქოლოგიური დახმარება ვერ უშველის, აუცილებელია კლასს და სკოლას მოაშორონ, რადგან არ გამოიწვიოს მოსწავლეთა აგრესია და ზიზღის ჩამოყალიბება მათ მიმართ“, „სწავლაში შეუშლიან ხელს და არ ექნებათ ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა, ამ შემთხვევაში მეტი და მეტი პრობლემა მოიჩენს თავს სკოლებში“ და სხვ. ***მშობლები:*** „სასურველი არ არის, თუმცა მათზე მეტი კონტროლია საჭირო და შემდეგ შეიძლება“, „მათ სხვანაირი, განსაკუთრებული სითბო და ყურადღება სჭირდებათ, ამიტომ ისინი სპეციალურად გამოყოფილი პედაგოგების ხელში უნდა იყვნენ, რომლებიც უშუალოდ გამოიცნობენ მათ ყველა მოძრაობასა თუ საქციელს“, „ხელს შეუშლიან ჩვეულებრივ ბავშვებს სწავლაში“, „სკოლაშიც არ მექნებოდა სურვილი“ და სხვ. **მოსწავლეები:** „ისინი ცუდ მაგალითს აძლევენ სხვა მოსწავლეებს“, „სხვებს უნდათ სწავლა, არ აცდიან მათი უაზრო საქციელის გამო და მეორე მხარე დაჩაგრული რჩება“, „ახლანდელი თაობა ადვილად გადადის სხვის ჭკუაზე და მათსავით იქცევიან, ამიტომ, ჯობს ცალკე იყვნენ“, „შესაძლოა უბრალო მოსწავლე გახდეს მათი მხრიდან ძალადობის ან ქურდობის მსხვერპლი“, „ხელს შეუშლიან მათ, ვისაც სწავლა უნდათ“, „ერთნაირი ტიპის ხალხი ერთად უნდა იყვნენ, რომ არ დააზიანონ სხვები“, „იზოლირება უნდა მოხდეს ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვების ჩვეულებრივი მოსწავლეებისგან, რადგან მოსწავლეების აგრესიამ შესაძლოა მათი ფსიქიკა დაამახინჯოს, დღევანდელ ბავშვებს განსხვავებული დამოკიდებუ-

ლება აქვთ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვების მიმართ, ისინი რიყავენ მათ“, „მათ შეიძლება გადაიბირონ კარგი ადამიანები“, „არამგონია გაკვეთილი სრულყოფილად ჩატარდეს, ამასთანავე, *სკოლის სახელზე იმოქმედებს*, თან არამგონია სკოლაში იარონ“, „საფრთხის ქვეშ იქნებიან ჩვეულებრივი ბავშვები“, „აგრესიული და ჩხუბის მოყვარული ხალხისთვის ცალკე სკოლა უნდა იყოს გამოყოფილი, რომ საზოგადოებას არ შეექმნას საფრთხე“, „უკეთესი იქნებოდა ერთმანეთისგან მოშორებით თუ იქნებიან, უფრო დაცული იქნება საზოგადოება“, „გაუჭირდებათ სწავლა ჩვეულებრივ ბავშვებს და ვერ მიიღებენ სათანადო ცოდნას“, „მათგან კარგს რას ვისწავლი“, „შეიძლება ჩვეულებრივ მოსწავლეს დაუშაოს, ან იქურდოს“, „შეიძლება ჩვეულებრივ ბავშვებს ძალით მიაღებინონ ალკოჰოლი, სიგარეტი, პლანი და სხვ.“, „ჩვენი და მათი ცხოვრება ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება“ და სხვ.

ნაწილობრივ – *პედაგოგები:* „შეიძლება, სანამ სპეც. სკოლები გაიხსნება“, „უნდა გამოვიკვლიოთ მოსწავლის ქცევა და უნდა გაკეთდეს დასკვნა, ისწავლოს თუ არა ჩვეულებრივ ბავშვებთან ერთად კლასში“, „რამდენიმე ერთად არა, რადგან მათი ქცევა განმტკიცდება“, „გააჩნია ქცევის სიმძიმეს, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია და დიდი სიფრთხილით უნდა გადაწყდეს“ და სხვ. ***მშობლები:*** „შესაძლებელია, თუ შეიძლება მათი მართვა“, „გასათვალისწინებელია ბავშვის ქცევების სიმძიმე“, „თუ ეს უარყოფითად არ იმოქმედებს ბავშვების სულიერ განვითარებასა და აკადემიურ მოსწრებაზე“, „საბოლოოდ მშობელმა და პედაგოგმა უნდა გადაწყვიტონ, კონკრეტულ მაგალითზე“, „უკეთესი იქნება, თუ მოხდება კლასიფიცირება, მაგრამ ეს რთულია“ და სხვ. **მოსწავლეები:** „თუ მოიქცევიან ისე, რომ სწავლაში ხელს არ შეუშლიან სხვას, მაშინ შეიძლება“, „მათთვის განკუთვნილ დაწესებულებაშიც უნდა დადიოდნენ“, „გააჩნია რა დოზით არღვევენ წესებს“, „თუ ისინი ინტეგრირებას ვერ შეძლებენ, ისინი უნდა გაირიცხონ“, „კი, მაგრამ მათ ცალკე უნდა უტარდებოდეთ საუბრები“ და სხვ.

შემდეგი კითხვა ეხება პედაგოგებს და მშობლებს, კერძოდ, **ფიქრობენ თუ არა ისინი, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლის ახალ სასწავლო გარემოში (ახალ კლასში/სკოლაში) გადაყვანამდე პედაგოგების, მშობლების და მოსწავლეების ინფორმირებაა საჭირო.** აღნიშნულ კითხვას 131-მა პედაგოგმა და 130-მა მშობელმა გასცა პასუხი, აქედან **პედაგოგების 93.9%** და **მშობლების 92.3%** ფიქრობენ, რომ ინფორმირება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით **მნიშვნელოვანია**, ხოლო **პედაგოგების 6.1%** და **მშობლების 7.7%** ფიქრობს, რომ აღნიშნულ საკითხზე **არ არის საჭირო** პედაგოგების, მშობლების და მოსწავლეების ინფორმირება. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N16 ცხრილის სახით.



გარდა ამისა, პედაგოგები და მშობლები კითხვაზე პასუხის გაცემის დროს ასაბუთებდნენ მათ პოზიციას, კერძოდ:

დიახ – *პედაგოგები:* „მზად უნდა დავხვდეთ ბავშვს, რომ მოსვლისთანავე არ გავუცრუოთ იმედი, არ მივმართოთ უტაქტოდ, დავახვედროთ თბილი გარემო“, „სკოლამ უნდა იცოდეს როგორ მოსწავლეს იღებს, რათა სათანადო მუშაობა დაგეგმოს“, „საჭიროა, რადგან შესაძლოა მოხდეს გაუგებრობა, უსიამოვნება, წინააღმდეგობა“, „ინფორმირება უნდა იყოს ტაქტიანი და არა დამაფრთხობელი“, „ინფორმირება საჭიროა, მაგრამ ეს ბავშვისთვის საზიანოა, რადგან მას სხვაგვარად შეხედავენ“ და სხვ. ***მშობლები:*** „რათა მოსწავლე არ მოექცეს მისი გავლენის ქვეშ“, „პრევენციისთვის საჭიროა“, „თადარიგი რომ დავიჭიროთ წინასწარ“, „მშობლებთან შეთანხმების საფუ-

ძველზე უნდა მიიღონ ასეთი ბავშვი“, „ყველას სჭირდება შემზადება, ძალა, ნებისყოფა“, „ინფორმირება არ უნდა იყოს შემაშინებელი, დამთრგუნველი, დამამცირებელი“, „საჭიროა, რომ ყურადღების ქვეშ გვყავდეს ჩვენი შვილები და ვაკონტროლოთ ისინი“, „საჭიროა, თუ გაითვალისწინებენ პედაგოგების და მშობლების აზრს, სხვა შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს“ და სხვ.

არა – პედაგოგები: „სამუშაო პროცესში უნდა შევაფასოთ ერთმანეთი და არა წინასწარ, არ მინდა ფსევდო წარმოდგენა გვქონდეს“, „არ არის საჭირო მოსწავლეების და მშობლების ინფორმირება, რომ არ შეიზღუდოს ბავშვი“, „მოსწავლეების ინფორმირება არ არის საჭირო, არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ მათი თანაკლასელი მათგან განსხვავდება“, „მშობლებს და მოსწავლეებს თუ გავაგებინებთ, ამან შესაძლოა უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვიოს“, „არ მგონია გარდატეხის ასაკში ვინმეს ჰქონდეს სურვილი სხვისი ზეგავლენისა და „ძალადობის“ ქვეშ მოექცეს“, „მოსწავლეთა მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაამწვავებს პრობლემას“, „მოსწავლეები შეშინდებიან, მოერიდებიან“ და სხვ. ***მშობლები:*** „არ ვთვლი, რომ საჭიროა ამის აფიშირება“, „ანტისოციალური ქცევა არ არის გადამდები, უნდა შევძლოთ და ერთად აღმოვფხვრათ“, „პედაგოგიც და მოსწავლეებიც ცუდი განწყობით დახვდებიან“ და სხვ.

გარდა ამისა, პედაგოგების და მშობლების მიერ შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს ხდებოდა იმის დაფიქსირება, თუ კონკრეტულად ვისი ინფორმირება არის საჭირო ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდის ახალ სასწავლო გარემოში გადაყვანის დროს. აღნიშნული პასუხები დააფიქსირა 78-მა პედაგოგმა და 77-მა მშობელმა. მიღებული მონაცემების მიხედვით, როგორც პედაგოგები (51.3%), ასევე მშობლები (49.4%) აღნიშნავენ, რომ ასეთ შემთხვევაში ყველაზე აუცილებელი და საჭიროა **პედაგოგის ინფორმირება** (***პედაგოგები:*** „აუცილებელია მასწავლებლის ინფორმირება, რომ მან შეუმჩნევლად აკონტროლოს და კორექტირება გაუკეთოს ბავშვის ქცევას“, „სწორად დაგეგმოს სასწავლო აქტივობები და განსაზღვროს ქცევის მართვის სტრატეგიები“. ***მშობლები:*** „პედაგოგების საჭიროა, თუმცა სხვების არა, შესაძ-

ლოა ბავშვს სურდეს ახალ გარემოში ახალი და გამოსწორებული ცხოვრების წესით ცხოვრება, მაგრამ ამის საშუალებას მას წარსული არ აძლევდეს“, „მხოლოდ პედაგოგის ინფორმირებას მოვითხოვდი დირექტორთან ერთად“).

ამასთანავე, პედაგოგების 24.4% და მშობლების 32.5% აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია **მშობლის ინფორმირება** („ზოგიერთი მშობელი არ არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, არ ინტერესდება მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, ამიტომ მათთვის ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია“, „მშობლები ყოველთვის ვაფარებთ ხელს ჩვენს შვილებს, ვუკრძალავთ ზოგიერთ ბავშვთან თამაშს, ამ დროს კი ვუშვებთ ძალიან დიდ შეცდომას იმ ბავშვების მიმართ, ჩვენ უნდა ავუხსნათ და ვასწავლოთ მათ ურთიერთობები“).

პედაგოგების 24.4% და **მშობლების 18.2%** თვლიან, რომ საჭიროა მოსწავლეების ინფორმირება („მოსწავლეს აქვს უფლება იყოს ჩართული ყველა იმ საკითხის გადაწყვეტაში, რაც მას ეხება“). თუმცა, ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევაში მონაწილე პირების ნაწილი თვლის, რომ მოსწავლეების და მშობლების ინფორმირება არ არის საჭირო („ბავშვების და მშობლების ნაკლებად, იმიტომ, რომ სხვა თვალით დაუწყებენ ყურებას“, „ბავშვების ინფორმირება არ არის საჭირო“ და სხვ).

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N17 ცხრილის სახით.



შემდეგი კითხვა ეხება პედაგოგებს, მშობლებს და მოსწავლეებს, კერძოდ, **რომ შეეძლოთ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლის დახმარება, რას გააკეთებდნენ მისთვის.** აღნიშნულ კითხვას პასუხი გასცა 121-მა

პედაგოგმა, 121-მა მშობელმა და 157-მა მოსწავლემ. სულ დაფიქსირდა 552 კომენტარი. გამოკითხული პირების მიერ ანტისოციალური ქცევის მოზარდის მიმართ ყველაზე გამოხატული დახმარების ფორმა არის რჩევები, **ზრუნვა (58%)**, შემდეგ **სპეციალისტების დახმარება (13.3%)** და **პრობლემის შესწავლა/გადაჭრა (5.5%)**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილე პირების **11% დახმარების მიზნით გააკეთებდა ყველაფერს,** საჭიროებიდან გამომდინარე, **3.5% თვლის,** რომ **არ იცის რას გააკეთებდა**, ხოლო **2.3% - არაფერს.** აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევაში მონაწილე პირებს მოცემულ კითხვაზე შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, რის გამოც მიღებული პასუხების პროცენტული მაჩვენებლის ჯამი 100%-ზე მეტია.

რჩევები, ზრუნვა – 58% (აღინიშნა 232-ჯერ), ***პედაგოგები:*** „ვეცდები მათი ნდობის მოპოვებას, მათი შინაგანი თვისებების კვლევას, ყოველთვის არ გავამახვილებ ყურადღებას მათ უარყოფით ქცევებზე“, „მაქსიმალურად ვეცდები ვასწავლო ცუდის და კარგის გარჩევა“, „მოვუსმენდი, ვაგრძნობინებდი, რომ პატივს ვცემ და სულერთი არ არის ჩემთვის მისი გულისტკივილი, ავუმაღლებდი საკუთარი თავის რწმენას“, „დავმოძღვრავდი და ხშირად გავაკონტროლებდი“, „ასეთი ბავშვი აუცილებლად უნდა უყურებდეს ცოცხალ მაგალითს სხვადასხვა სიტუაციაში“, „ვიმეგობრებდი, დავიხმარდი ეკლესიას და მოძღვარს“ და სხვ. ***მშობლები:*** „შევეცდებოდი ამეხსნა, დაველაპარაკებოდი, რომ გამოსწორებულიყო“, „ვეცდებოდი ისე დავხმარებოდი, როგორც საკუთარ შვილს, გამომეჩინა სითბო, ყურადღება და მზრუნველობა“, „ვეცდებოდი შემეცვლევინებინა აზრი“, „მათ ხშირად არ მოსწონთ დარიგებები სხვა მშობლებისგან“, „ვეცდებოდი ბევრი საუბრით, მაგალითებით და თანადგომით შემეცვალა მათი ცხოვრების წესი“, „ჭკუას დავარიგებდი“, „ლმობიერებით და თბილი დამოკიდებულებით შესაძლოა ადვილად გადმოვიდეს შენსკენ“, „გავიყვანდი იმ პირთა წრიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ მასზე“ და სხვ. ***მოსწავლეები:*** „დაველაპარაკებოდი, ყველაფერს აქვს მიზეზი, რის გამოც ასე იქცევა და შევეცდებოდი მის დახმარებას“, „რჩევებს მივცემდი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს,

რომ საზოგადოება არ გააღიზიანოს“, „დაველაპარაკებოდი, ყველანაირად გვერდში დავუდგებოდი“, „ავუხსნიდი, რომ წესიერი ცხოვრება და სწავლა უფრო საინტერესოა, ვიდრე ის, რასაც ისინი აკეთებენ“, „რჩევებს მივცემდი, თუ როგორ გამოეხატა თავისი რეაქცია დადებითად“, „დავანახებდი მათი ქცევის უარყოფით მხარეებს და შედეგებს“, „ასეთი ქცევით ისინი მომავალს ინადგურებენ, ვეცდები ავუხსნა, რომ ასე არ მოიქცეს“, „შევეცდებოდი მესწავლებინა, თუ როგორ გახდეს უკეთესი“ და სხვ.

სპეციალისტების დახმარება – 13.3% (აღინიშნა 53-ჯერ), ***პედაგოგები:*** „მოვიწვევდი სპეციალისტებს, მიზეზებიდან გამომდინარე მათ უნდა გაეწიოს დახმარება, თუ სამკურნალოა, უნდა უმკურნალონ უფასოდ, გაუწიონ უფასო ფსიქოლოგიური მომსახურება...“, „ფსიქოლოგთან დავუნიშნავდი სეანსებს“, „შევახვედრებ ფსიქოლოგს, ექიმს, პროკურატურის თანამშრომელს, რომ ყველამ ერთად ავუხსნათ, თუ რა შედეგი შეიძლება მოყვეს მის ქცევას“ და სხვ. ***მშობლები:*** „უმიზეზოდ არაფერი ხდება, ასეთ ბავშვებს მეტი მზრუნველობა, ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებათ“, „მათთან მიმართებაში საჭიროა განსაკუთრებული მიდგომა, გაძლიერებული ყურადღება და ყოველდღიური დაკვირვება“და სხვ. ***მოსწავლეები:*** „გავუწევდი ფსიქოლოგიურ დახმარებას“ და სხვ.

პრობლემების შესწავლა/გადაჭრა – 5.5% (აღინიშნა 22-ჯერ), ***პედაგოგები:*** „შევისწავლიდი ბავშვის სუსტ და ძლიერ მხარეებს და ინტერესებს“, „დავეხმარებოდი იმ კონკრეტული მიზეზის აღმოფხვრაში, რაც განაპირობებს მის ქცევის პრობლემებს“, „გამოვიკვლევდი მის გარემოს, შინაგან ბუნებას, შევეცდებოდი დამედგინა მისი ასეთი დამოკიდებულებების მიზეზები“ და სხვ.

პრევენციული ღონისძიებები - 4.8% (აღინიშნა 19-ჯერ), ***მშობლები:*** „მონაწილეობას მივიღებდი ისეთ ღონისძიებებში, სადაც განიხილებოდა და დაისახებოდა შესაბამისი სტრატეგიული ამოცანები მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის აღმოსაფხვრელად“. ***მოსწავლეები:*** „ჩავრთავდი აქტივობებში“, „მოვარიდებდი ქუჩის საზოგადოებას“, „ჩავუტარებდი ტრენინგებს“ და სხვ.

სოციალური გარემოს გაუმჯობესება – 4.8% (აღინიშნა 19-ჯერ), ***პედაგოგები:*** „თუ აკლია ოჯახური სითბო, შევეცდები შევუქმნა თბილი გარემო“, „სკოლაში შევქმნიდი კარგ გარემოს, ხელს შევუწყობდი ბავშვის ინტეგრაციას დანარჩენებთან“, „რომ შემეძლოს, მასთან ერთად ვიმოგზაურებდი“. ***მშობლები:*** „ვცდილობ, რომ ვაჩვენო ოჯახური სითბო, რაც მას არ გააჩნია და ვგრძნობ, რომ იმედის თვალით მიყურებს, არ მინდა ეს იმედი გაუქრეს“. ***მოსწავლეები:*** „მოვაშორებდი მის არსებულ გარემოს, რადგან სწორედ ამ გარემოს და მისი გარშემომყოფების ბრალია ბავშვის არასწორი ცხოვრება“, „შევუცვლიდი გარემოს და დავაშორებდი ანტისოციალური ქცევის სხვა პირებს“ და სხვ.

საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება - 4.5% (აღინიშნა 18-ჯერ), „შევუქმნიდი უკეთეს სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს“, „ვიზრუნებდი ოჯახური გარემოს გაუმჯობესებაზე“, „შევუქმნიდი კარგ პირობებს, რომ თავი ვინმეზე ნაკლები არ ეგონოთ“ და სხვ.

ფინანსური დახმარება – 4.3% (აღინიშნა 17-ჯერ), „ფინანსური უზრუნველყოფა“, „ბევრი მოზარდი სიღარიბის გამო ბოროტდება, ამიტომ ვეცდები ფულით დავეხმარო“, „შეძლებისდაგვარად დავეხმარებოდი მატერიალურად“ და სხვ.

სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსება – 4.3% (აღინიშნა 17-ჯერ) ***პედაგოგები:*** „შევქმნიდი სპეციალურ გარემოს, სპეციალურ სკოლას, სადაც იქნებოდა ერთი ჩვეულებრივი, არაფრით განსხვავებული ბავშვი (მისი მსგავსი სხვა ბავშვების გარემოცვაში)“. ***მოსწავლეები:*** „მათ გამოსასწორებლად სადღეღამისო სკოლას გავხსნიდი და იქ ვამყოფებდი, სანამ არ გამოსწორდებოდნენ“, „სპეციალურ დაწესებულებებში დაეხმარებიან მათ, თუ როგორ გაართვან თავი ზეწოლას“, *„მივცემდი ისეთ წამლებს, რომლებიც თავს დაანებებინებდა ქცევას“* და სხვ.

დამეგობრება – 3.5% (აღინიშნა 14-ჯერ) ***მოსწავლეები:*** „ვეცდები დავიმეგობრო, რადგან მეგობრული გარემო მას შეცვლის“ და სხვ.

ეკლესია, რელიგია – 3% (აღინიშნა 12-ჯერ), ***პედაგოგები:*** „მივიყვანდი მოძღვართან“, „ვეცდები წავიყვანო ტაძარში, შევახვედრო მოძღვარს“. ***მშობ-ლები:*** „საუკეთესოდ მიმაჩნია რელიგიური განათლება, სწავლება, ბერებთან ურთიერთობა“, „მოძღვართან მივიყვანდი, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ბავშვების დახმარება და გამოსწორება“. ***მოსწავლეები:*** „კარგი იქნებოდა მამაოსთან საუბარი“ და სხვ.

მშობლებთან საუბარი – 3% (აღინიშნა 12-ჯერ), „საჭიროა მშობლებთან მეტი საუბარი და ჩართულობა“, „მშობლებს მივმართავდი, რომ ზომები მიეღოთ“ და სხვ.

სასწავლო პროცესში ჩართვა – 2.5% (აღინიშნა 10-ჯერ) ***პედაგოგები:*** „აქტიურად უნდა ჩავრთოთ სასწავლო პროცესში“, „გავაცნობდი მოწესრიგე-ბულ, ბეჯით ბავშვებს, რათა კონტაქტში იყოს მათთან“, „ყველა ბავშვს აქვს ინტერესების სფერო“ და სხვ.

ქვემოთ მოცემულია ის საკითხები, რომლებსაც შედარებით ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი აქვს (ჯამში 10%), თუმცა მათი აღწერაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, კერძოდ: **სამუშაო ჯგუფები, კლუბი, წრეები, სპორტი –** „შევეცდებოდი შემექმნა გუნდი იმ ადამიანებისგან, ვისაც სურს მათი დახმარება“, „შევქმნიდი ერთ დიდ ჯგუფს, რომელიც გამოასწორებდა მათ“, „შევქმნიდით კლუბს და ვისაუბრებდით პრობლემებზე“; **დასაქმება** - „გამოსწორების შემდეგ მათ დავასაქმებდი“, „მივცემდი ყველას ფიზიკურ სამუშაოს“; **სპეც. პროგრამები –** „ალბათ რაიმე პროგრამას შევიმუშავებდი“, „ჩამოვაყალიბებდი უფასო წრეებს“; **ექსკურსიები, ღონისძიებები –** „მოსწავ-ლეებთან ხშირად გასვლით ღონისძიებებში და ექსკურსიებში მონაწილე-ობა“, „თეატრები, მუზეუმები“, „წავიყვანდი ფილმების საყურებლად, სპორ-ტულ ღონისძიებებზე“.

სხვა – „საჭიროა სასჯელის შემსუბუქება და ხალხთან მეტი კონტაქტი“, „სკოლაში მასწავლებლების მხრიდან ასეთი ბავშვების მიმართ ყოველთვის უარყოფითი დამოკიდებულებაა“, „თუ მას გენეტიკაში და სულში აქვს (პრობლემა), მე ამ შემთხვევაში უძლური ვარ“, „ერთია სურვილი, მეორე -

საშუალება და რესურსი“, *„დედას ყველაზე მეტად **ავადმყოფი** შვილი უყვარს, ეს ავადმყოფობაა“,* „თუ მოინდომებდა გამოსწორებას, უნდა ესწავლა, თუმცა, ჩემი აზრით, მაინც ყველას ციხეში გავუშვებდი“, „მოვკლავდი და ახალს გავაჩენდი“ (რუსთავი), „მასთან ერთად დავარღვევდი წესებს, ვიქურდებდი, დავლევდი, ვიჩხუბებდი და თუ მას ჩემზე გული შესტკივა ან მე მისთვის რამეს წარმოვადგენ, დარწმუნებული ვარ ის ჩემს შეჩერებას შეეცდება, შესაბამისად, მე მას დავანახებ მის ნამდვილ სახეს და ისიც შეიცვლება ჩემს გამო“ (გარდაბანი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფის მონაცემების ანალიზის საფუძველზე, როგორც პედაგოგებთან, ასევე მშობლებთან და მოსწავლეებთან დახმარების საკითხში სიხშირით პირველ ადგილზე არის **რჩევები და ზრუნვა,** თუმცა მეორე და მესამე ადგილი განსხვავებულია სამივე ჯგუფში. პედაგოგებთან რჩევების და ზრუნვის შემდეგ მოდის **პრობლემების შესწავლის** საკითხი, ხოლო შემდეგ **სპეციალისტების დახმარება და გარემოს გაუმჯობესება** თანაბრად ინაწილებენ პოზიციებს. რაც შეეხება მშობლებს, აქ მეორე ადგილზე **– სპეციალისტების დახმარება,** ხოლო მესამეზე **ეკლესია და რელიგიური** ფაქტორია მნიშვნელოვანი. მოსწავლეთა მონაცემების მიხედვით, მეორე ადგილზე **სპეციალისტების დახმარება,** ხოლო მესამეზე - **პრევენციული ღონისძიებების** განხორციელების აუცილებლობა ფიქსირდება.

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N18 ცხრილის სახით.



შემდეგი შეკითხვა დავუსვით პედაგოგებს, კერძოდ, **უნდა მოიცავდეს თუ არა ინკლუზიური განათლების პროგრამები ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეების სწავლებას**. აღნიშნულ კითხვას 130-მა პედაგოგმა გასცა პასუხი. კვლევის შედეგების მიხედვით, პედაგოგების **60.8%** ფიქრობს, რომ ინკლუზიური განათლების პროგრამები **უნდა მოიცავდეს** ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეების სწავლებას, **33.1%** ფიქრობს, რომ აღნიშნული მიმართულება **არ უნდა მოიცავდეს** ანტისოციალური ქცევის მოსწავლეების სწავლებას, ხოლო **6.2% ფიქრობს,** რომ **ნაწილობრივ**, შესაძლებელია მოიცავდეს პროგრამები ანტისოციალური ქცევის მოსწავლეების სწავლებას.

გარდა ამისა, პედაგოგები კომენტარების სახით ცდილობდნენ მათი პასუხების დასაბუთებას, კერძოდ:

უნდა მოიცავდეს – „ზოგიერთ მათგანს აქვს განსაკუთრებული ნიჭი ამა თუ იმ საგნის მიმართ“, „რათა მათ შეძლონ ინტეგრირება“, „ასეთი მოსწავლეები ხშირად ჩამორჩებიან სწავლის დონით“, „მათთვის უნდა არსებობდეს სპეც. პროგრამები“, „ისინი ვერ დაძლევენ მათი ასაკისთვის განკუთვნილ პროგრამებს“, „ეს პროგრამები ითვალისწინებს ყველა ტიპის ბავშვის ჩართვას“, „ეს საშუალებას მისცემს პედაგოგს, მომზადებული დახვდეს მოსწავლეს“, „კარგი იქნება, თუ ფსიქოლოგს ექნება მათთან ურთიერთობის საშუალება“ და სხვ.

არ უნდა მოიცავდეს – „ასეთ მოსწავლეებს სჭირდებათ იურისტის და ფსიქოლოგის კონსულტაციები“, „სასურველია ცალკე პროგრამები იყოს“, „ასეთ მოსწავლეებს პროგრამების გამარტივება და მორგება კი არ სჭირდებათ, არამედ თანადგომა და დახმარება“, „ის სხვაა და ეს სხვა, ინკლუზიური განათლების მოსწავლეები არიან ჯანმრთელობით სუსტნი და ანტისოციალურები კი ქცევით“, „პროგრამები გარკვეულ კატეგორიაზეა გათვლილი, ეს უფრო უარყოფით გავლენას მოახდენს მათზე“, „ასეთი ბავშვები უნდა იყვნენ სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ“, „მათ უნდა ვასწავლოთ ქრისტეს მოძღვრება, „ათი მცნება“ გავააზრებინოთ და დავდგეთ მათ გვერდით“, „ეს ბავშვები ერთმანეთისგან განსხვავდებიან“, „მათ

სწავლების სხვა თემები და მეთოდიკა ესაჭიროებათ“, „არ მიმაჩნია სწორად, რომ ეს კომპონენტიც დაემატოს“ და სხვ.

ნაწილობრივ – „თუ ამის აუცილებლობაა, შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევებში“, „პროგრამაში ჩართული ბევრი მოსწავლე წესიერი, კულ-ტურული ოჯახიდანაა, ხოლო მათ სხვანაირი დახმარება სჭირდებათ“, „თუ ამ ბავშვს აქვს მინიჭებული შშმ პირის სტატუსი, მაშინ შესაძლებელია“, „თუ მას აქვს აკადემიური ან პროგრამული ჩამორჩენა“ და სხვ.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია N19 დიაგრამის სახით.



შემდეგი კითხვა დავუსვით პედაგოგებს, კერძოდ, მათი აზრით, **სკო-ლის პირობებში რა ფაქტორები უშლის ხელს ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.** აღნიშნულ კითხვას 132-მა პედაგოგმა გასცა პასუხი და გამომდინარე იქიდან, რომ მათ შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, მიღებული მონაცემების პროცენტების ჯამი 100%-ზე მეტია. შედეგების მიხედვით, **პედაგოგების 61.4%** ფიქრობს, რომ ანტისოციალური ქცევის მოსწავლეებისთვის სპეციალური პროგრამების განხორციელებას უშლის ხელს **შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების/სპეციალისტების სიმცი-რე. პედაგოგთა 53.8%** თვლის, რომ ამ მხრივ ხელის შემშლელი ფაქტორია **შესაბამისი პროგრამების სიმცირე. პედაგოგების 53%** თვლის, რომ აღნიშნულ საკითხზე მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს **საზოგა-**

დოების დამოკიდებულება. პედაგოგების 39.4% თვლის, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია **დაბალი ანაზღაურება. პედაგოგების 37.9%-ს** მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის მოუგვარებლობას ხელს უწყობს **არასათანადოდ მოწყობილი სასკოლო გარემო.** ამასთანავე, პედაგოგებს შეეძლოთ დამატებით დაეწერათ „სხვა“ პასუხი, რაც არ იყო არსებულ ჩამონათვალში და მათი აზრით ხელს უშლის ანტისოციალური ქცევის მოსწავლეებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. აღნიშნული ნაწილი პედაგოგების 4.5%-მა გამოიყენა, კერძოდ: „ასეთ ბავშვებთან მინიმალურ ხელფასზე ნერვების წყვეტაზე, მაზოხისტი უნდა იყო რომ იმუშაო, თქვენ არ იცით ეს რა ნერვებს იწირავს!“, „ოჯახი სათანადოდ არ თანამშრომლობს სკოლასთან“, „მრავალრიცხოვანია კლასები“, „მათთვის განსხვავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა იწერებოდეს“, „სკოლის დანიშნულებაა სიღრმისეული ცოდნის მიღება“, „პედაგოგების სურვილის არ არსებობა, გულგრილობა“.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია N20 ცხრილის სახით.



შემდეგი ნაწილი ეხება საზოგადოების ინფორმირებას, კერძოდ, **იმისთვის, რომ მოქალაქეებმა უკეთ გაიაზრონ ანტისოციალური ქცევის პრევენციის აუცილებლობა, არის თუ არა საჭირო საზოგადოების უფრო მეტად ინფორმირება ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.** აღნიშნულ

კითხვას 130-მა პედაგოგმა და 125-მა მშობელმა გასცა პასუხი. მიღებული შედეგების მიხედვით, **პედაგოგების 98.5%** და **მშობლების 97.6%** ფიქრობენ, რომ საჭიროა საზოგადოების ინფორმირება, ხოლო **პედაგოგების 1.5%** და **მშობლების 2.4%** ფიქრობენ, რომ არ არის საჭირო აღნიშნულ საკითხზე საზოგადოების ინფორმირება.

აღნიშნულ საკითხზე პედაგოგების და მშობლების მიერ გამოითქვა შემდეგი მოსაზრებები, კერძოდ:

საჭიროა ინფორმირება – „ეს ბავშვები არ უნდა წარმოვაჩინოთ რეციდივისტებად, უნდა გვახსოვდეს, რომ ესენი არიან ბავშვები“, „მეტი ინფორმაცია უნდა იყოს სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში, სადაც მოხდება კვალიფიციური პირების მიერ მშობელთა ინფორმირება“, „მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ რა ღონისძიებები ტარდება პრევენციისთვის, რომ მონაწილეობა მიიღონ“, „რათა სწორად შეფასდეს ის მოსალოდნელი შედეგები, რაც მოყვება ანტისოციალურ ქცევას“, „საზოგადოებას ასეთების მიმართ ცუდი დამოკიდებულება აქვს, ადვილად უკეთებენ იგნორს“, „მოზარდები უნდა იყვნენ ინფორმირებულები, რა მოყვება მათ დანაშაულს“, „მთავრობამ ციხიდან გამოსულს ხელი უნდა შეუწყოს“, „ამის საშუალება ტრენინგ-სემინარებია“, „ეს პრობლემა შესაძლოა ყველას შეგვეხოს“, „რაც უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება პრობლემასთან ბრძოლაში, მით უფრო უკეთესი შედეგები გვექნება“, „უნდა ჩაერთოს ეკლესია, სახელმწიფო და საზოგადოება“, „ზოგი ვერ ხვდება რა სერიოზული ზიანი შეიძლება მოყვეს ასეთ ქცევას“, „საჭიროა, იმიტომ, რომ მოქალაქეებს ასეთი ბავშვების მიმართ აგრესია და უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ“, „თუ თავის დროზე არ იქნება დახმარება აღმოჩენილი, წლების შემდეგ ის ისევ საზოგადოებას დაუბრუნდება უარყოფითად“.

არ არის საჭირო ინფორმირება – „პრობლემა მოგვარებულია მედიის მიერ, მხოლოდ ანტისოციალური ქცევის დემონსტრირებას ახდენენ, რამდენად პრევენციულია ეს, უკვე სხვა საკითხია“, „მეტ-ნაკლებად კარგად ვართ ინფორმირებულები რა გახრწნილებაც ხდება ჩვენს ირგვლივ, მაგრამ

თუ მაინც გინდათ უფრო მეტი სანერვიულო მისცეთ ხალხს, გახადეთ ინფორმირებულები“, „არსებობენ სხვადასხვა ფსიქიკის ადამიანები, შესაძლოა ზოგმა მიბაძოს“.

შემდეგი კითხვა ეხება **მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენ-ციის საკითხებში საზოგადოების დამოკიდებულებებს და მათი ჩართუ-ლობას.** აღნიშნულ კითხვას 135-მა პედაგოგმა და 134-მა მშობელმა გასცა პასუხი. შედეგების მიხედვით, **პედაგოგების 97.8%** და **მშობლების 97.8%** თვლის, რომ მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენციისთვის საზოგა-დოების დამოკიდებულებები და მათი ჩართულობა **ძალიან მნიშვნელო-ვანია. პედაგოგების 2.2%** და **მშობლების 2.2%** თვლის, რომ პრევენციის პროცესში საზოგადოების დამოკიდებულებები და ჩართულობა **ნაკლებად არის მნიშვნელოვანი.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც პედაგოგებმა და არც მშობლებმა აღნიშნულ კითხვაზე არ მონიშნეს პასუხი **„არ არის მნიშვნელოვანი“,** რაც ასევე უსვამს ხაზს საკითხის აქტუალურობას და მნიშვნელოვნებას.

შემდეგი შეკითხვა ეხება პედაგოგების, მშობლების და მოსწავლეების **ინფორმირებულობას არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრა-ტეგიის შესახებ.** აღნიშნულ კითხვას 131-მა პედაგოგმა, 134-მა მშობელმა და 161-მა მოსწავლემ გასცა პასუხი. კვლევის მონაცემების მიხედვით, **პედაგოგ-თა 19.8%-ს**, **მშობელთა 17.2%-ს** და **მოსწავლეთა 55.9%-ს აქვს ინფორმაცია** არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესახებ. ამას-თანავე, **პედაგოგების 80.2%-ს**, **მშობლების 82.8%-ს** და **მოსწავლეების 46%-ს არ აქვს ინფორმაცია** აღნიშნული სტრატეგიის შესახებ. ამ საკითხთან დაკავ-შირებით პედაგოგებს და მშობლებს, რომლებმაც დადებითად უპასუხეს კითხვას, ასევე ვთხოვეთ, რომ დაესაბუთებინათ მათი პასუხი, თუ რა ინ-ფორმაცია ქონდათ აღნიშნულ თემაზე, რაზეც მხოლოდ **პედაგოგებმა** დააფიქსირეს მათი აზრი – „ჩართული ვარ პროგრამაში – „სამოქალაქო კულტურა“ და დღესაც ვთანამშრომლობ“, „2012 წლის 22 მარტის ბრძანებუ-ლება“, „პოლიციელებთან ერთად ჩატარებული გაკვეთილები სამოქალაქო

განათლებაში“, „არსებობს სამტრედიის სპეც. სკოლა, სარეაბილიტაციო ცენტრები“, „საპატრიარქოს არხზე ხშირად საუბრობენ მოძღვრები და ფსიქოლოგები“, „გავიარე ტრენინგი“, „არასრულწლოვანთა კოდექსი“.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია N21 ცხრილის სახით.



შემდეგი შეკითხვა ეხება **მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენ-ციის ღონისძიებებში საზოგადოების მონაწილეობას**. აღნიშნულ კითხვას 132-მა პედაგოგმა და 134-მა მშობელმა გასცა პასუხი. მონაცემთა ანალიზის შედეგად, მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ როგორც პედაგოგებთან, ასევე მშობლებთან მიუხედავად პროცენტული სხვაობისა, სრული თანხვედრაა პრიორიტეტების მინიჭების თვალსაზრისით, კერძოდ, მშობლების და პედაგოგების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია **ოჯახის** მონაწილეობა და ჩართულობა აღნიშნულ საკითხში, შემდეგ მოდის **სკოლა** და **საჯარო სექტორი** (მთავრობა, სამინისტროები, სსიპ-ები და სხვ). პედაგოგების და მშობლების აზრით, შედარებით ნაკლებად არის მნიშვნელოვანი **ადგილობ-რივი ხელისუფლება** (თვითმმართველობები, მუნიციპალიტეტები და სხვ.), **მედია საშუალებები** და **არასამთავრობო სექტორი** (არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვ.).

აღნიშნულ კითხვაზე პედაგოგების და მშობლების მიერ დამატებით დასახელდა ასევე შემდეგი პასუხები: ეკლესია (11-ჯერ), ფსიქოლოგი (5-

ჯერ), ცნობადი სახეები, მეგობრები, იურისტი, კლასელები, ნათესავები, მეზობლები. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N22 ცხრილის სახით.



შემდეგი კითხვა ეხება მოსწავლეების მიერ იმ **ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას, რომელიც დანაშაულის შემცირებას შეუწყობს ხელს**. აღნიშნულ კითხვას 161-მა მოსწავლემ გასცა პასუხი, აქედან **93.2%** თვლის, რომ **მიიღებდა იმ ღონისძიებებში მონაწილეობას**, რომელიც დანაშაულის შემცირებას შეუწყობდა ხელს, ხოლო **6.8%** თვლის, რომ ამ ტიპის ღონისძიებებში **არ მიიღებდა მონაწილეობას**.

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N23 დიაგრამის სახით.



შემდეგი კითხვა დავუსვით მოსწავლეებს, კერძოდ, რას **გააკეთებდნენ ისინი იმისთვის, რომ მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული შემცირდეს.** აღნიშნულ კითხვას 151-მა მოსწავლემ გასცა პასუხი. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ კითხვაზე რამდენიმე პასუხის დაფიქსირება, მიღებული მონაცემების პროცენტების ჯამი 100%-ზე მეტია. კვლევის შედეგების მიხედვით, მოსწავლეების პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ღონისძიებებში მონაწილეობა – 21.9% (აღინიშნა 33-ჯერ), მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მოზარდებში დანაშაულის შემცირების მიზნით მიიღებდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას, ჩაატარებდნენ ამ ტიპის ღონისძიებებს და ლექციებს: „მივიღებდი ღონისძიებებში მონაწილეობას“, „ამ არასრულწლოვნებზე პასუხისმგებლობა ნაწილობრივ ჩვენც უნდა ავიღოთ“, „საჭიროა მეტი ლექციები სამართლის და კანონის შესახებ“ და სხვ.

გამკაცრება – 17.2% (აღინიშნა 26-ჯერ), მოსწავლეები ფიქრობენ, რომ დანაშაულის პრევენციის მიზნით, უნდა გამკაცრდეს პირობები, ჯარიმები, აკრძალვები და მოხდეს დამნაშავეების დასჯა: „დავაწესებდი ჯარიმებს, ქუჩებში დავაყენებდი პოლიციელებს და კამერებს, ძალიან მკაცრი ვიქნებოდი“, „დავსჯიდი, რომ მიხვდნენ დაშვებულ შეცდომებს და აღარასდროს გაიმეორონ“, „რაიმე სასჯელს მივუსჯიდი, რომ აღარ ჩაიდინონ იგივე შეცდომა“, „დავიჭერდი და გავავრცელებდი სოც. ქსელით, ამას ბავშვებიც ნახავენ და ამით დანაშაული შემცირდება“, „გავამკაცრებდი სიგარეტის, ალკოჰოლის და ნარკოტიკის გაყიდვის ფაქტებზე სასჯელს“, „ბავშვთა მიერ ჩადენილ პირველივე დანაშაულზე რეაგირების მოხდენის შემთხვევაში შიში დაისადგურებს მოზარდებში და დანაშაული შემცირდება“ და სხვ.

დამეგობრება – 16.6% (დასახელდა 25-ჯერ), მოსწავლეები ფიქრობენ, რომ დანაშაულის პრევენციას დამეგობრება შეუწყობს ხელს: „დაველაპარაკებოდი და მივანიშნებდი კარგი საქციელისკენ“, „სიამოვნებით დავეხმარებოდი მომავალში ასეთ ბავშვებს, რადგან ძალიან მეცოდებიან, ვისაც საკუთარი ცხოვრება აქვთ დანგრეული“, „წავიყვანდი ჩემთან სოფელში“, „მოვითხოვდი მის მიმართ გამოიჩინონ თანაგრძნობა“, „თუ ჩემი ნაცნობია, გვერ-

დში ამოვუდგებოდი“, „ვაღიარებინებდი დანაშაულს, თუ ეს მისი შეცდომაა“, „დავარწმუნებ, რომ ცხოვრება დანაშაულის გარეშე უფრო საინტერესოა“ და სხვ.

ორგანიზაციის შექმნა – 13.9% (დასახელდა 21-ჯერ), მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნიდნენ ორგანიზაციას, ჩაატარებენ ტრენინგებს, სწავლებებს, აქციებს და ბანაკებს: „შევქმნიდი არასამთავრობო ორგანიზაციას, სადაც ყველა მოზარდს შეეძლება გაწევრიანება“, „შევქმნიდი ჯგუფს და ვისაუბრებდით პრობლემებზე და მათ მოგვარებაზე“, „ჩამოვაყალიბებდი ორგანიზაციას, სადაც კონსულტაციას გაივლიდნენ ასეთი ბავშვები, მათი მშობლები“, „მოვაწყობდი ბანაკებს ეკლესიებთან ახლოს“, „იქნება წრეები, სადაც ბავშვები დაკავდებიან და ქუჩისთვის დრო არ ექნებათ“, „საჭიროა მათთვის საპასუხისმგებლო დავალებების მიცემა, რომ თავი საჭირო ადამიანებად იგრძნონ“, „მოხალისეებს ჩავრთავდი“ და სხვ.

ფსიქოლოგიური დახმარება – 9.3% (დასახელდა 14-ჯერ), მოსწავლეები თვლიან, რომ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ფსიქოლოგიური დახმარება: „ფსიქოლოგიური დახმარება უნდა არსებობდეს სკოლებში და ბაღებში“, „ფსიქოლოგიურ დახმარებას გავუწევდი“, „ისეთ დაწესებულებაში ვურჩევდი სიარულს, სადაც ფსიქოლოგები და სხვა სპეციალისტები დაეხმარებიან“ და სხვ.

სპეციალური დაწესებულება – 8.6% (დასახელდა 13-ჯერ), მოსწავლეები თვლიან, რომ დანაშაულის პრევენციისთვის უნდა შეიქმნას სპეციალური დაწესებულება, სკოლა, გამოსასწორებელი ცენტრი ან თავშესაფარი: „შევქმნიდი სპეციალურ დაწესებულებას, სადაც მოზარდებს თავიანთი ქცევის გაკონტროლებაში დაეხმარებოდნენ და სწორ გზაზე დააყენებდნენ“, „მე ასეთ ადამიანებს გამოსასწორებელ დაწესებულებაში წავიყვანდი“, „ავაშენებდი სპეციალურ შენობას, რათა ის მიჩვეოდა ოჯახურ პირობებს“, „მოვაშორებდი ქუჩას და მივიყვანდი თავშესაფარში, სადაც დავაკვირდებოდი პირადად მის საქციელს და აღზრდის პროცესს“ და სხვ.

ფინანსური დახმარება – 8.6% (დასახელდა 13-ჯერ), მოსწავლეები თვლიან, რომ ფინანსური დახმარებით შესაძლებელია პრობლემის მოგვარება: „ფულს მივცემდი“, „ფულს და სამუშაოს მივცემდი“, „უნდა მოწესრიგდეს (მათი) ფინანსური პრობლემები, რადგან სწორედ ამ პრობლემის გამო ხდებიან ბოროტმოქმედები“ და სხვ.

შედარებით ნაკლები, თუმცა მნიშვნელოვანი პროცენტული მაჩვენებელი აქვს შემდეგ საკითხებს:

• **ოჯახის ინფორმირება – 5.3%,** „პირველ რიგში მშობლები უნდა ჩააყენონ საქმის კურსში“, „მოვაწყობდი შეხვედრებს მშობლებთან“;

• **ციხეში გაშვება – 4%,** „მეორე და მესამე დანაშაულზე არასრულწლოვანთა ციხეში უნდა ჩასვან“, „ყველას გავუშვებდი ციხეში“, „როცა ადამიანი ჩადის დანაშაულს, არ არის საჭირო სასჯელის შემცირება, მან ის უნდა მიიღოს, რასაც იმსახურებს“;

• **კონფერენციების მოწყობა – 2.6%,** „ჩავატარებდი კონფერენციას, სადაც მოზარდები თანატოლებს გავუზიარებდით აზრებს“;

• **სწავლის გამკაცრება/გაუმჯობესება – 2.6%,** „გავაძლიერებდი სწავლების დონეს, ისე რომ მათ ნაკლები თავისუფალი დრო ექნებოდათ ანტისოციალური ქცევისთვის“, „დანაშაულის შემცირებას სჭირდება ბავშვების განათლება“, „სასწავლო პროცესს გავამკაცრებდი“;

• **სხვა ღონისძიებები – 10.6%,** „ციხე ვერ გამოასწორებს, მის კედლებში გამოკეტილს ცხოვრებისთვის სხვაგვარად შეხედვის უნარს აკარგვინებს, მით უმეტეს, რომ ადამიანი ამ დროიდან იწყებს ცხოვრების გემოს გაგებას“, „დანაშაული რომ შემცირდეს, ბავშვებს უნდა დავანახოთ, რა არის კარგი და რა ცუდი“, „შევუქმნიდი ალტერნატივას – როცა ადამიანს აქვს საშუალება სხვა ტიპის საქმიანობით დაკავდეს, მას არ გაუჩნდება სურვილი დაარღვიოს კანონი. საქართველოში ახალგაზრდებს უბრალოდ სხვა გამოსავალი არ აქვთ გარდა ბირჟაზე დგომისა“, „სკოლებში სპორტის წრეები უნდა იყოს უფასო“, „დაველოდები ამას სხვა თუ შეძლებს“, „ჩემი მათდამი დამოკიდებულება არის ცუდი“, „დანაშაულისკენ ადამიანს გასაჭირი უბიძგებს, როცა

ეს არ იქნება, დანაშაულიც შემცირდება“, „მეტი წიგნი უნდა წაიკითხოს“, „ალბათ ვცემდი და გავაგებინებდი, რომ არ შეიძლება ასე მოქცევა“ (თეთრიწყარო) და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეების მხოლოდ მცირე ნაწილმა (2%) დააფიქსირა, რომ დანაშაულის შესამცირებლად ყველაფერს გააკეთებს, ხოლო 9.3%-ის მიერ აღინიშნა, რომ მათ არ იციან აღნიშნულ კითხვაზე პასუხი.

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N24 ცხრილის სახით.



შემდეგი კითხვა ეხება ქვეყნის და საზოგადოების როლს, კერძოდ, **რა უნდა გაკეთდეს ქვეყნის და საზოგადოების მხრიდან იმისთვის, რომ მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული შემცირდეს.** აღნიშნულ კითხვას უპასუხა 131-მა პედაგოგმა და 122-მა მშობელმა. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევაში მონაწილე პირებს კითხვაზე რამდენიმე პასუხის დაფიქსირება შეეძლოთ, მიღებული მონაცემების პროცენტების ჯამი 100%-ზე მეტია. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, საერთო სურათი ასეთია, პედაგოგები და მშობლები თვლიან, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი,

რაც უნდა გაკეთდეს მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულის შესამცირებლად, ეს არის **დასაქმება** (26.1%), **მოზარდებისთვის ყურადღების მიქცევა** (20.9%), **სოციალური ფონის გაუმჯობესება** (19.4%), **სწავლის დონის გამკაცრება/გაუმჯობესება** (18.6%), **მოზარდის პირობების გაუმჯობესება** (12.6%) და **ოჯახის გაძლიერება** (12.6%), **სპორტი** (12.3%), **ალტერნატიული პორგრამები** (10.7%), **თავისუფალი დროის შევსება** (10.7%) და **სპეციალისტების დახმარება** (7.9%).

მიუხედავად აღნიშნული ზოგადი სურათისა, პედაგოგები თვლიან, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გაკეთდეს, ეს არის **სოციალური ფონის გაუმჯობესება**, შემდეგ **სწავლის დონის გამკაცრება/გაუმჯობესება** და **დასაქმება**, ხოლო მშობლები თვლიან, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი არის **დასაქმება,** შემდეგ **მოზარდისთვის მეტი ყურადღების მიქცევა, პირობების გაუმჯობესება** და **სპორტი.**

აღნიშნულ კითხვაზე, როგორც პედაგოგები, ასევე მშობლები აფიქსირებდნენ მათ კომენტარებს, კერძოდ:

დასაქმება (მათ შორის მოზარდებისაც) – **26.1%** (დასახელდა 66-ჯერ), ***პედაგოგები:*** „დავასაქმოთ და წახალისების მიზნით მივცეთ მცირედი ანაზღაურება“, „მოზარდი უნდა ჩაერთოს საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში“, „მიეცით სამუშაო ხალხს და შემცირდება მოზარდთა დანაშაულიც“, „მშობლებს ჰქონდეთ სამუშაო, რომ სამშობლოში დაბრუნდნენ“ და სხვ. ***მშობლები:*** „მატერიალური მდგომარეობა რომ მოწესრიგდეს, მორალურად გადაცდომის სურვილი აღარ გაუჩნდებათ“, „უნდა გამოსწორდეს ოჯახის სოციალური პირობები, რომ მშობლებს არ უწევდეთ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა და შვილების მიტოვება“, „უნდა დასაქმდნენ და დრო არ უნდა ჰქონდეთ ცუდი საქმისთვის“, „სხვადასხვა ხელობა შეასწავლონ და დაასაქმონ“ და სხვ.

მოზარდისთვის ყურადღების მიქცევა – 20.9% (დასახელდა 53-ჯერ), ***პედაგოგები:*** „მოზარდის სწორი აღზრდა ყველაზე მნიშვნელოვანია“, „საჭიროა ყველა უბანში იყოს რწმუნებული, რომ მეტი ყურადღება მიაქციოს

ბავშვებს“, „დამნაშავედ ბავშვი არ იბადება, მათ მხოლოდ ცუდებად ვაქცევთ – აღზრდაშია შეცდომა დაშვებული“, „უნდა შევუწყოთ ხელი ბავშვების უნარების განვითარებას და თვითრეალიზაციას“ და სხვ. ***მშობლები:*** „ქვეყანამ და საზოგადოებამ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ასეთი ბავშვების მიმართ“, „ხელი შეეწყოს ბავშვებში საზოგადოებისთვის სასარგებლო უნარების ჩამოყალიბებას“, „მეტად უნდა ვასწავლოთ ზრდილობა და პასუხისმგებლობა“ და სხვ.

სოციალური ფონის გაუმჯობესება – 19.4% (დასახელდა 49-ჯერ), ***პედაგოგები:*** „სოციალური ფონის გაუმჯობესება“, „ქვეყანაში, სადაც სოციალური პრობლემები უხვადაა, ყოველთვის დიდია მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული“ და სხვ.

სწავლის დონის გამკაცრება/გაუმჯობესება – 18.6% (დასახელდა 47-ჯერ), ***პედაგოგები:*** „პედაგოგებმა აქტიურად უნდა იმუშაონ ასეთი ტიპის ბავშვებთან“, „მოზარდისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს განათლება“, „საჭიროა მშობლების განათლება“, „განათლების დონემ უნდა მოიმატოს, ყველა პრობლემის თავი გაუნათლებლობაა“, „მოზარდისთვის სასწავლო პროცესი უნდა იყოს საინტერესო“, „უნდა გაჩნდეს პროფესიული სასწავლებლები“ და სხვ.

პირობების გაუმჯობესება – 12.6% (დასახელდა 32-ჯერ), ***პედაგოგები:*** „როცა ადამიანს არ აქვს ელემენტარული პირობები, აგრესიულიც იქნება და უარესსაც ჩაიდენს“, „მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ მოზარდთა სოციალური გარემოს გაუმჯობესებას“, „შეუქმნან უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო განვითარებისთვის“. ***მშობლები:*** „უნდა შეუქმნან ისეთი პირობები, რომ არ ჩაიდინონ დანაშაული“, „გააუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები“, „ცხოვრების პირობები თუ არ გაუმჯობესდა, დანაშაული უფრო მოიმატებს“ და სხვ.

ოჯახის გაძლიერება – 12.6% (დასახელდა 32-ჯერ), ***პედაგოგები:*** „უნდა შექმნან პირობები ოჯახების ფინანსური უზრუნველყოფისთვის“, „უნდა გაძლიერდეს ოჯახების ფინანსური მდგომარეობა“, „უნდა გაკონტროლდეს

ოჯახები, რომ ბავშვის სტაბილურობა და სიმშვიდე იყოს დაცული“, „ელემენტარული პირობები და უფლებები უნდა იყოს დაცული, გაძლიერ-დეს ოჯახის ინსტიტუტი“ და სხვ.

სპორტი – 12.3% (დასახელდა 31-ჯერ), „ჩატარდეს მეტი სპორტული ღონისძიება“, „მოზარდებმა იარონ სპორტულ წრეებზე უფასოდ“ და სხვ.

ალტერნატიული პროგრამები – 10.7% (დასახელდა 27-ჯერ), ***პედაგო-გები:*** „შეიმუშაონ სპეციალური პროგრამები, რომლებიც დაეხმარება სკო-ლაში მომუშავე სპეციალისტებს“, „ყველა ორგანიზაცია უნდა ჩაერთოს სა-თანადო პროგრამების განხორციელებაში“, „სასწავლო და სკოლის გარეთ აქტივობები“, „უნდა იყოს სხვადასხვა წრეები და ინტერესების მიხედვით, აუცილებლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი“, „აუცილებელია გაცვლითი პროექტები“ და სხვ.

თავისუფალი დროის შევსება – 10.7% (დასახელდა 27-ჯერ), ***პედაგო-გები:*** „მოზარდები უნდა იყვნენ ჩართულები სხვადასხვა საქმიანობაში და არ უნდა დარჩეთ თავისუფალი დრო გარდა სწავლისა“, „უნდა ვასწავლოთ თავისუფალი დროის გამოყენება“. ***მშობლები:*** „ბავშვის თავისუფალი დრო რაციონალურად უნდა იყოს შევსებული“, „თავისუფალი დრო უნდა გამოი-ყენონ სერიოზულ საქმეში, რომლის პირობებიც ჩვენს რაიონში არ არის (გარდაბანი)“ და სხვ.

სპეციალისტების დახმარება – 7.9% (დასახელდა 20-ჯერ), ***პედაგოგები:*** „მათთან იმუშაონ ფსიქოლოგებმა და სოციალურმა მუშაკებმა“, „აუცილებე-ლია ფსიქოლოგის კაბინეტის სრულად ამუშავება“, „საჭიროა მაღალი ხარისხის ფსიქოლოგიური დახმარება მშობლებისა და მოსწავლეებისთვის“, ***მშობლები:*** „სკოლებში იყვნენ კვალიფიციური ფსიქოლოგები“, „ყველა დაწესებულებაში უნდა დანიშნონ ფსიქოლოგები“, „სკოლის ფსიქოლოგმა ჩაატაროს აღმზრდელობითი გაკვეთილები და ურჩიოს მოზარდებს რა გამოადგებათ“ და სხვ.

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია N25 ცხრილის სახით.



აღნიშნულ კითხვაზე შედარებით ნაკლები, თუმცა მნიშვნელოვანი პროცენტული მაჩვენებლით დასახელდა შემდეგი საკითხები:

ხელოვნება/ცეკვები – 7.5% (დასახელდა 19-ჯერ).

რელიგია/მორალი – 6.7% (დასახელდა 17-ჯერ), ***პედაგოგები:*** „ღვთის მოშიში და მოსიყვარულე პიროვნებების ჩამოყალიბება“, „მნიშვნელოვანია ეკლესიის ჩართულობა“, „უნდა იყოს რელიგიის სავალდებულო სწავლება“. ***მშობლები:*** „რელიგიის გაძლიერება, მორალური ღირებულებების აგიტაცია“, „მომავალი თაობის სულიერების ამაღლება“, „მივაბაროთ მონასტერში ბერების მისახმარებლად და იცხოვრონ ცოტა ხნით ეკლესიური ცხოვრებით“, „სკოლაში ვასწავლოთ რელიგია, ღმერთის სიყვარული“, „მეტი ყურადღება უნდა მიექცეს რელიგიისა და საქართველოს ისტორიის შესწავლას“ და სხვ.

კანონი, უფლებები – 5.5% (დასახელდა 14-ჯერ), ***პედაგოგები:*** „კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა“, „ბავშვს არ უნდა ელახებოდეს უფლებები“, „მიიღონ უმკაცრესი კანონები, რათა შემცირდეს მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულები“, „უნდა შემუშავდეს კანონი მსუბუქი და მძიმე დანაშაულის შესახებ“, „რეალურად უნდა მუშაობდეს ქვეყანაში ყველა ის კანონი და კონვენცია, რაც ბავშვებს ეხება და რაზეც ქვეყანამ ხელი მოაწერა“ და სხვ.

პირობების გამკაცრება – 5.1% (დასახელდა 13-ჯერ), „საზოგადოებამ თუ შეამჩნია მსგავსი დანაშაულები, უნდა მიმართონ სპეციალურ სამსახურს და არ დადუმდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ეს მათ არ ეხებათ“, „უნდა გაამკაცროს სასჯელი, დააწესოს ჯარიმები“, „უნდა აიკრძალოს არასრულწლოვანთა ქორწინება“, „დანაშაული არ უნდა დაიმალოს“, „უარეს შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა“, „აიკრძალოს სათამაშო სამორინე-ტოტალიზატორები“ და სხვ.

ღონისძიებებში მონაწილეობა – 4.7% (დასახელდა 12-ჯერ), ***პედაგოგები:*** „მეტი ღონისძიება უნდა ჩატარდეს ანტისოციალური ქცევის პრევენციის მიზნით“, „ექსკურსიები, შოუები“, „მოზარდები უფრო მეტად უნდა ჩაერთონ სასკოლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში“, „ყველა ღონისძიება დაიგეგმოს მათი ინტერესების მიხედვით“, „სკოლებში უნდა ჩატარდეს იურისტთა საუბრები“, „მონაწილეობის მიღება სხვადასხვა აქტივობებში (ქალაქის მოწესრიგება, უმწეოთა დახმარება, საქველმოქმედო აქციები და სხვ.)“, „ცნობილი სახეების ჩარევა პრობლემების მოგვარებაში“ და სხვ.

მთავრობის დახმარება – 4.7% (დასახელდა 12-ჯერ), „უნდა ჩაერთოს მთავრობა“, „მთავრობამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, უნდა იყოს სწორი იდეოლოგია, გავიაზროთ, როგორი საზოგადოების აშენება გვინდა“, „მოზარდების დანაშაულთან მიმართებაში პოლიტიკა უნდა შეიცვალოს“ და სხვ.

სპეციალური დაწესებულება – 4% (დასახელდა 10-ჯერ), „სპეციალური სამსახური, რომელიც მათ გამოსწორებაზე იზრუნებს“, „უნდა არსებობდეს სპეციალური სკოლები“, „უნდა იფუნქციონიროს დღის ცენტრებმა“ და სხვ.

ორგანიზაციის შექმნა – 4% (დასახელდა 10-ჯერ), „ბანაკები მოზარდებისთვის“, „უნდა შეიქმნას ორგანიზაციები ახალგაზრდებისთვის, სადაც უფასოდ ისწავლიან და განვითარდებიან“, „გააკეთეთ ორგანიზაცია და ასწავლეთ ბავშვებს უფასოდ ცეკვა, სიმღერა, ხელსაქმე“, „შექმნან ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები“ და სხვ.

სხვა ღონისძიებები – ჯამში 26.1%:

• **მედიის კონტროლი** – „ქვეყანაში უნდა იყოს მეტი პოზიტიური ინ-ფორმაცია“, „შეწყდეს გარყვნილების პროპაგანდა, იაფფასიანი ფილმების ჩვენება“, „მედიამ ნაკლებად გააშუქოს ნეგატიური გადაცემები და ინფორ-მაცია“;

• **ინფორმირება** – „უნდა იყოს მომზადებული საზოგადოება, რომ ესეთი ბავშვები საშიშები არ არიან და მათ უნდა გავუწოდოთ ხელი“, „მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მათ დანაშაულის შესახებ“;

• **ფინანსური დახმარება** – „ერთჯერადი დახმარებები მისცენ“, „უნდა უზრუნველყონ ოჯახები მატერიალურად“;

• **კვებით უზრუნველყოფა** – „მნიშვნელოვანია, რომ ამ საუკუნეში ბავშ-ვებს არ ენატრებოდეთ საკვები და ტკბილეული“;

• **დამოკიდებულებების შეცვლა** – „უნდა შეიცვალოს დამოკიდებუ-ლებები მოზარდების მიმართ“, „მომავალი თაობა ქვეყნის ხერხემალია, უხერხემლო ქვეყანა განწირულია“, „საზოგადოება არ უნდა იყოს გულგრილ და ზერელე დამოკიდებულებაში ამ საკითხების მიმართ“;

• **ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა** – „შემეცნებითი ხასიათის არხი მოზარდებისთვის“, „უნდა იყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის ერთიანი პროპაგანდა“;

• „წყალი სათავეშია ამღვრეული, რომელიც სწრაფად ჩაედინება ზღვა-ში. თქვენ ითხოვთ ზღვის გაწმენდას, მაშინ, როცა მდინარის სათავის გაწ-მენდა უფრო ადვილია“.

3.3. მონაცემთა ანალიზი

კვლევის შედეგად მიღებული რაოდენობრივი მონაცემები, კვლევის პროცედურების მიხედვით, გაანალიზდა და დამუშავებულ იქნა მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების პროგრამა SPSS-ში. ცვლადების ერთმანეთთან შედარებისას ძირითადად გამოყენებულ იქნა შემდეგი სტატისტიკური კრიტერიუმები: Phi კრიტერიუმი, კრამერის V კრიტერიუმი, ასევე პირსონის და სპირმენის კორელაციის კოეფიციენტები. მნიშვნელოვნების დონედ არჩეული იყო 0.05. ცვლადებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი

კავშირის დადგენის დროს, უმეტეს შემთხვევაში, ყველა მოცემულ კრიტერიუმს მსგავსი შედეგი ჰქონდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებისას, შედარებულ იქნა მხოლოდ „დიახ“ და „არა“ პასუხები, ხოლო „ნაწილობრივ“ და „არ ვიცი“ პასუხები ამ შემთხვევაში არ იქნა გაანალიზებული.

კვლევის შედეგების მიხედვით, პედაგოგების და მშობლების უდიდესი ნაწილი, კერძოდ 97.8%, აღნიშნავს, რომ მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენციისთვის საზოგადოების დამოკიდებულებები და მათი ჩართულობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. აღნიშნული მაჩვენებელი ხაზს უსვამს შემდეგ გარემოებას, რომ როგორც მშობლებს, ასევე პედაგოგებს, უმეტესწილად გაცნობიერებული აქვთ, რომ როგორც საზოგადოების ნაწილს, მათაც მიუძღვით მნიშვნელოვანი წვლილი ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდთა საზოგადოებასთან ინტეგრაციის საქმეში.

მოსწავლეთა კითხვარის რაოდენობრივი ნაწილის ანალიზის შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი (Phi – 0.016) დაფიქსირდა ერთად სწავლასა (შენი აზრით, უნდა სწავლობდნენ თუ არა ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეები ერთ კლასში ან სკოლაში?) და მეგობრობას (იმეგობრებდი თუ არა ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლესთან, თუ ის შენს კლასში ან სკოლაში ისწავლის?) შორის, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეთა ჯგუფიდან, ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებთან მეგობრობისთვის უფრო მეტი მოსწავლე გამოხატავს მზაობას (76%), ვიდრე ერთად სწავლისთვის (61%), (იხ. ცხრილი N26).

ცხრილი N26

მოსწავლეები		მეგობრობა		სულ
		კი	არა	
ერთ კლასში ან სკოლაში სწავლა	კი	55%	6%	61%
	არა	20%	18%	39%
სულ		76%	24%	100%

რაც შეეხება დემოგრაფიული მონაცემებს, მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარის შედეგების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულ ნაწილში არსებითი განსხვავებები არ ფიქსირდება, თუმცა პედაგოგების მონაცემები გვაძლევს გარკვეული ინტერპრეტაციის საშუალებას, კერძოდ, პედაგოგთა ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეთა ცნობადობა, რაც ლოგიკურიც არის და, ამასთანავე, თავად პედაგოგთა გამოცდილებასთანაც არის კავშირში, თუმცა, მიუხედავად ამისა, პედაგოგთა ახალგაზრდა თაობა უფრო გამოხატავს მზად ყოფნას ანტისოციალური ქცევის მოსწავლეებთან მუშაობისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პედაგოგების ახალგაზრდა თაობისთვის უფრო მეტად არის მისაღები ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეთა სხვა ბავშვებთან ერთად სწავლა.

პედაგოგების შედეგების მიხედვით, ანტისოციალური ქცევის მქონე და ჩვეულებრივი მოსწავლეების ერთად სწავლასა (უნდა სწავლობდნენ თუ არა ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვები ერთ კლასში და სკოლაში?) და მათი სწავლებისთვის პედაგოგების მზად ყოფნას (ხართ თუ არა მზად იმისათვის, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვმა ისწავლოს თქვენს კლასში?) შორის გამოიკვეთა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი (Phi - 0.448). ერთის მხრივ, თუ მზაობა გვაქვს, მოსწავლეების ერთად სწავლასაც ვუჭერთ მხარს (60%) და პირიქით, თუ არ გვაქვს მზაობა, მაშინ ერთად სწავლას ნაკლებად ვუჭერთ მხარს (19%), (იხ. ცხრილი N27).

ცხრილი N27

პედაგოგები		მზაობა		სულ
		კი	არა	
ერთ კლასში ან სკოლაში სწავლა	კი	60%	10%	70%
	არა	11%	19%	30%
სულ		71%	29%	100%

პედაგოგების მონაცემების მიხედვით, ანტისოციალური ქცევის მოსწავლის ცნობადობასა (გქონიათ თუ არა შეხება (იცნობთ თუ არა) ანტისოციალური ქცევის მოსწავლესთან?) და მათ კლასში სწავლებისთვის მზაობას (ხართ თუ არა მზად იმისათვის, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვმა ისწავლოს თქვენს კლასში?) შორის კავშირი არ დადგინდა. შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად იმისა, იცნობენ თუ არა პედაგოგები ანტისოციალური ქცევის მოსწავლეებს, ის, რომ მათ ასწავლონ, ამისთვის მზად ყოფნას მაინც გამოხატავენ (ცნობა - 72%, მზაობა – 73%). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გულწრფელობის პრობლემას, რადგან პედაგოგები ნაკლებად აღიარებენ დაბალი მზაობის საკითხს (იხ. ცხრილი N28).

ცხრილი N28

პედაგოგები		მზაობა		სულ
		კი	არა	
ცნობა	კი	53%	19%	72%
	არა	20%	8%	28%
სულ		73%	27%	100%

შემდეგ საკითხზე, პედაგოგების ჯგუფში დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კავშირი (Phi – -0.342), კერძოდ, იმ პედაგოგებს, რომლებსაც აქვთ მზაობა იმისთვის, რომ ასწავლონ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებს (ხართ თუ არა მზად იმისათვის, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვმა ისწავლოს თქვენს კლასში?), სპეციალური სკოლების არსებობას (უნდა არსებობდეს თუ არა სპეციალური სკოლები ანტისოციალური ქცევების მქონე ბავშვებისთვის?) ნაკლებად უჭერენ მხარს (42%), ხოლო იმ მასწავლებლებს, რომლებიც ამბობენ, რომ არ არიან მზად ასწავლონ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებს, მათი დიდი ნაწილი მხარს უჭერს სპეციალური სკოლების არსებობის იდეას (23%) (იხ. ცხრილი N29).

ცხრილი N29

		მზაობა		
პედაგოგები		კი	არა	სულ
სპეც. სკოლები	კი	29%	23%	52%
	არა	42%	6%	48%
სულ		70%	30%	100%

პედაგოგების მონაცემების მიხედვით, ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კავშირი გამოიკვეთა ანტისოციალური ქცევის მქონე და ჩვეულებრივი მოსწავლეების ერთად სწავლასა (უნდა სწავლობდნენ თუ არა ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვები ერთ კლასში და სკოლაში?) და სპეციალური სკოლების არსებობას (უნდა არსებობდეს თუ არა სპეციალური სკოლები ანტისოციალური ქცევების მქონე ბავშვებისთვის?) შორის. შედეგების მიხედვით, პედაგოგები მოსწავლეების ერთად სწავლებას თუ მხარს უჭერენ (70%), სპეციალური სკოლების არსებობაზე უარს აცხადებენ (51%) და პირიქით, თუმცა მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ერთი გარემოება, პედაგოგების 20% მხარს უჭერს, როგორც მოსწავლეების ერთად სწავლების საკითხს, ასევე სპეციალური სკოლების არსებობას, რაც ერთის მხრივ არალოგიკურია, ხოლო მეორეს მხრივ მიმღებლობის და დამოკიდებულებების პრობლემას უსვამს ხაზს (იხ. ცხრილი N30).

ცხრილი N30

		სპეც. სკოლები		
პედაგოგები		კი	არა	სულ
ერთ კლასში ან სკოლაში სწავლა	კი	20%	50%	70%
	არა	29%	2%	30%
სულ		49%	51%	100%

მშობლების მონაცემების მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი გამოიკვეთა შვილების ანტოსოციალური ქცევის მქონე ბავშვებთან ერთად სწავლისადმი მშობლების მზაობასა (ხართ თუ არა მზად იმისთვის,

რომ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვმა ისწავლოს თქვენს შვილთან ერთად?) და შვილების ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვებთან მეგობრობას (მისცემდით თუ არა თქვენს შვილს უფლებას ემეგობრა ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვთან/მოსწავლესთან, თუ ის მის კლასში ან სკოლაში ისწავლის?) შორის (Phi – 0.556). მშობლების მხოლოდ 41% არის მზად იმისთვის, რომ მათ შვილებთან ერთად ისწავლონ და თან იმეგობრონ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებმა. ამასთანავე, მშობლები ერთად სწავლისთვის უფრო მეტად არიან მზად (61%), ხოლო მეგობრობისთვის ნაკლებად არიან მზად (46%) (იხ. ცხრილი N31).

ცხრილი N31

მშობლები		მეგობრობა		სულ
		კი	არა	
ერთად სწავლისადმი მზაობა	კი	41%	20%	61%
	არა	4%	35%	39%
სულ		46%	54%	100%

მშობლების მონაცემების მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი დაფიქსირდა ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების ცნობადობისა (გქონიათ თუ არა შეხება (იცნობთ თუ არა) ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვთან?) და შვილის ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლესთან ერთად სწავლებისადმი მზაობის (ხართ თუ არა მზად იმისთვის, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვმა ისწავლოს თქვენს შვილთან ერთად?) საკითხს შორის (Chi-square – 0.046). მიღებული მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს შეხება აქვთ ან იცნობენ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებს, ისინი უფრო მეტად გამოხატავენ მზად ყოფნას, რომ მათმა შვილებმა ისწავლონ აღნიშნულ მოსწავლეებთან ერთად (62%), (იხ. ცხრილი N32).

ცხრილი N32

		ცნობადობა		
მშობლები		კი	არა	სულ
ერთად სწავლისადმი მზაობა	კი	38%	24%	62%
	არა	16%	22%	38%
სულ		54%	46%	100%

მშობლების მონაცემების მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი დაფიქსირდა (Cramer's V - 0.431) ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებთან ერთად შვილების სწავლის საკითხსა (ხართ თუ არა მზად იმისთვის, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვმა ისწავლოს თქვენს შვილთან ერთად?) და ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალური სკოლების არსებობას (უნდა არსებობდეს თუ არა სპეციალური სკოლები ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვებისთვის?) შორის. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 21% მშობლებისა, რომლებიც თვლიან, რომ ერთად სწავლისადმი აქვთ მზაობა, ისინი ასევე მიიჩნევენ, რომ უნდა არსებობდეს სპეციალური სკოლები ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებისთვის (იხ. ცხრილი N33).

ცხრილი N33

		სპეც. სკოლები		
მშობლები		კი	არა	სულ
ერთად სწავლისადმი მზაობა	კი	21%	37%	58%
	არა	33%	9%	42%
სულ		54%	46%	100%

მშობლების მონაცემების მიხედვით, ის მშობლები, რომლებიც არ იცნობენ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებს (გქონიათ თუ არა შეხება (იცნობთ თუ არა) ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვთან?), მათთვის სპეციალური სკოლების არსებობას (უნდა არსებობდეს თუ არა

სპეციალური სკოლები ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვებისთვის?) უჭერენ მხარს (31%), ხოლო ისინი, ვინც იცნობენ, არ უჭერენ მხარს სპეციალური სკოლების არსებობას (28%). აღნიშნულ ცვლადებს შორის დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი (Cramer's V – 0.046), (იხ. ცხრილი N34).

ცხრილი N34

მშობლები		სპეც. სკოლები		სულ
		კი	არა	
ცნობადობა	კი	24%	28%	52%
	არა	31%	17%	48%
სულ		55%	45%	100%

მშობლების მონაცემების მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი გამოჩნდა ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეების ცნობადობის (გქონიათ თუ არა შეხება (იცნობთ თუ არა) ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვთან?) და მათთან ერთად ერთ კლასში ან სკოლაში სწავლის (უნდა სწავლობდნენ თუ არა ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვები ერთ კლასში და სკოლაში?) საკითხს შორის (Phi – 0.258). იმ შემთხვევაში, თუ ცნობადობა მაღალია, ანუ მშობლები იცნობენ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებს, მაშინ ისინი თანახმა არიან, რომ ამ მოსწავლეებმა მათ შვილებთან ერთად ისწავლონ ერთ კლასში ან სკოლაში (41%), ხოლო თუ ნაკლებად იცნობენ, მაშინ ნაკლებად ვლინდება ერთად სწავლის სურვილი (22%), (იხ. ცხრილი N35).

ცხრილი N35

მშობლები		ცნობადობა		სულ
		კი	არა	
ერთ კლასში ან სკოლაში სწავლა	კი	41%	26%	67%
	არა	11%	22%	33%
სულ		52%	48%	100%

მშობლების მონაცემების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ დადგინდა, უნდა აღინიშნოს, რომ მშობლების 63% ანტისოციალური ქცევის მოსწავლეების ჩვეულებრივ მოსწავლეებთან ერთად ერთ კლასში ან სკოლაში სწავლას უჭერს მხარს (უნდა სწავლობდნენ თუ არა ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვები ერთ კლასში და სკოლაში?), ხოლო მშობლების 54% - ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალური სკოლების არსებობას (უნდა არსებობდეს თუ არა სპეციალური სკოლები ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვებისთვის?). ამ შემთხვევაში საინტერესოა შემდეგი ფაქტი, მშობლების 18% ერთ კლასში ან სკოლაში მოსწავლეების სწავლებასთან ერთად სპეციალური სკოლების არსებობასაც უჭერს მხარს, რაც ასევე უსვამს ხაზს მიმღებლობის და დამოკიდებულებების საკითხს (იხ. ცხრილი N36).

ცხრილი N36

მშობლები		სპეც. სკოლები		სულ
		კი	არა	
ერთ კლასში ან სკოლაში სწავლა	კი	18%	45%	63%
	არა	36%	1%	37%
სულ		54%	46%	100%

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებასთან ერთად გაანალიზდა თვისებრივი მონაცემებიც. მოცემულ ნაწილში გამოიყო ის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც გარკვეულ დამოკიდებულებას გამოხატავს ანტისოციალური ქცევის მოზარდებთან მიმართებაში.

მიღებული შედეგების მიხედვით, როგორც პედაგოგებთან და მშობლებთან, ასევე მოსწავლეთა ჯგუფთან გამოიკვეთა სოციალური დისტანციის საკითხი, კერძოდ, ფაქტორი „ისინი-ჩვენ“. კვლევაში მონაწილე პირებსა და ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებს შორის სოციალური

დისტანცია საკმაოდ მაღალია, რადგან მათი მოხსენიება, უმეტეს შემთხ-ვევაში, ხდება შემდეგი ტერმინებით: „ისინი“, „მათ“, „ასეთი მოსწავლე“, „ასეთი ბავშვი“, „სხვისი შვილი“, „ასეთები“, „მაგათნაირი“, „მსგავსი“ და სხვ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამოკიდებულება აღნიშნული ჯგუფის მიმართ არ არის დადებითი.

მიუხედავად იმისა, რომ მშობლები, პედაგოგები და მოსწავლეები ანტისოციალური ქცევის მოზარდების მიმღებლობას უსვამენ ხაზს, მათი პასუხების დასაბუთების ნაწილში იკვეთება შემდეგი მიმართება: „..იმ შემ-თხვევაში, თუ ... (პირობა)“, რაც მოიცავს ანტისოციალური ქცევის მოზარ-დების მიღების საკუთარი კრიტერიუმების არსებობას, რაც ძირითადად, ნაკლებად მოიცავს საკუთარი პიროვნული დამოკიდებულების ცვლილებას, აღნიშნული პირობა მოთხოვნის ხასიათისაა და პირდაპირ არის მიმარ-თული ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდის ქცევითი კომპონენტის ცვლილებაზე.

მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეები და მშობლები ანტისოციალური ქცევის მოზარდებთან მუშაობაში ძირითად პასუხისმგებლობას და როლს სკოლას (პედაგოგებს) აკისრებენ (მოსწავლე/მშობელი-სკოლა), ხოლო პედაგოგების მონაცემების მიხედვით კი ძირითადი პასუხისმგებლობის გადატანა ოჯახზე ხდება (სკოლა-ოჯახი).

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც პედაგოგებისა და მშობლების, ასევე მოსწავლეების ჯგუფში ანტისოციალური ქცევის მოზარდებთან მიმართე-ბაში გამოიკვეთა შემდეგი დამოკიდებულებები: შიში, ზერელე ტოლერან-ტობა, თანაგრძნობა, არაკეთილგანწყობა, ნეგატიური დამოკიდებულება. კვლევაში მონაწილე პირები, ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებს მოიხსენიებენ შემდეგი ტერმინებით: „ხისთავიანი“, „საშიში“, „გაფუჭებული ბავშვი (მათ ითრევს ჭაობში)“, „დაავადებული (ამ დაავადებებს მკურნა-ლობა სჭირდება)“, „მატყუარა“, „გაიძვერა“ და ა.შ.

პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების მიერ ანტისოციალური ქცევის მოზარდებთან მიმართებაში დაფიქსირებულ დამოკიდებულებებსა და დისტანცირების პრობლემას ასევე ხაზს უსვამს შემდეგი გარემოება, კერძოდ, სამივე ჯგუფის წარმომადგენლებს აქვთ ნეგატიური ზემოქმედების შიში, რაც განაპირობებს ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდის გარიყვის და „გვერდით გაწევის“ გამართლებას. ამასთანავე, მოზარდებთან მიმართებაში, ქცევით სტრატეგიად არჩეულია „განრიდების მოდელი“, რომელიც გულისხმობს განზე მდგომის პოზიციიდან არჩევას, კერძოდ, „სხვის“ ჩართულობას აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობის საკითხებში. მაგ: „სხვა თუ გააკეთებს..“, „სპეც. სკოლაში ბევრი სასიკეთო პროგრამის განხორციელება შეიძლება“ და ა.შ. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც „განრიდების მოდელი“ არ არის არჩეული, გვხვდება ქცევის ისეთი მოდელი, რომელიც გვერდში დგომას ისახავს მიზნად, მხოლოდ იმ პირობით, თუ მეორე მხარე (ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდი) გამოსწორდება და შეიცვლება უკეთესობისკენ და ამასთან ერთად, არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას კვლევაში მონაწილე პირებზე.

პედაგოგების დამოკიდებულებებს ანტისოციალური ქცევის მოზარდებთან მიმართებაში განსაკუთრებულად გამოხატავს შემდეგი კომენტარები, კერძოდ: „უმცროსი თაობა იზრდება უფროსების მაგალითზე“, „მოზარდი, რომელიც მოძალადეა და უწესო ოჯახში იზრდება, ვერ იქნება საზოგადოების ღირსეული წევრი“, „მოზარდები შეპყრობილები არიან სურვილით – იყვნენ გამორჩეულები“, „ამ დროს ძალიან ძნელია გააკონტროლო კლასში სიტუაცია“, „განათლების მიღების უფლება ყველას აქვს“, „შეიძლება შევძლო მათი გამოსწორება“, „შევეცდები მასზე და მის ოჯახზე ზეგავლენის მოხდენას“, „მე კი მზად ვარ, მაგრამ მეეჭვება.. რომ შევძლოთ მათი დახმარება“, „შეძლებისდაგვარად ვცდილობთ მათთან ნორმალურ კომუნიკაციას“, „სასურველია ასეთმა ბავშვმა არ ისწავლოს ჩემს კლასში“, „თუ სახელმწიფო იქნება მზად მორალურად დაგვიდგეს გვერდით..“, „ასეთი ბავშვები ხშირად მისაბაძები ხდებიან და საშიშროებას წარმოადგენენ სხვე-

ბისთვის.. არ ვარ დაცული იმისგან, რომ არ გავხდები ასეთი ადამიანის ზეგავლენის მსხვერპლი“, „სურვილი არ მაქვს“, „სამწუხაროდ სწავლობს“, „ვეცდები მის სწორ გზაზე დაყენებას“, „კლასის მდგომარეობას უარყოფითისკენ შეცვლის“, „ისინი ხელს უშლიან საგაკვეთილო პროცესს“, „თუ სხვა გამოსავალი არ არის..“, „თუ ფსიქოლოგიური დახმარება ვერ უშველის, აუცილებელია კლასს და სკოლას მოაშორონ“, „თუ სამკურნალოა, უნდა უმკურნალონ, გაუწიონ დახმარება“, „ასეთ ბავშვებთან მინიმალურ ხელფასზე ნერვების წყვეტაზე, მაზოხისტი უნდა იყო რომ იმუშაო“ და სხვ.

მშობლების დამოკიდებულებას ანტისოციალური ქცევის მოზარდებთან მიმართებაში განსაკუთრებით ხაზს უსვამს შემდეგი კომენტარები, კერძოდ: „არასწორი აღზრდა ოჯახებში“, „მთელი დღე ქუჩაში უწევთ ყოფნა და ცუდ მეგობრებთან ურთიერთობა“, „სურვილის გამო აკეთებენ“, „ეს სიამოვნებთ“, „არ უნდათ სწავლა და ცდილობენ ქუჩაში დაიმკვიდრონ თავი“, „მათ არ სურთ იყვნენ ისეთები, როგორებიც ნორმალური ბავშვები არიან“, „უსწავლელობა“, „თითქოს პედაგოგიც შეეგუა იმ აზრს, რომ თუ არ უნდა ბავშვს სწავლა, ნუ უნდა..“, „მისი ქცევა ანტიმოდელი იქნებოდა (ჩემი შვილისთვის)“, „რისკის ქვეშ იქნებოდა ჩემი შვილი“, „ასეთი ბავშვი სკოლაში არ უნდა დადიოდეს.. ცუდი ბავშვი ყოველთვის ცდილობს სხვა გააფუჭოს“, „შეიძლება დაზარალდეს ჩემი შვილი“, „არ მომწონს ასეთი ბავშვები“, „სხვის შვილს უფლებას არ მივცემ ჩემი შვილის ცხოვრება დაანგრიოს“, „უარყოფითი ქცევები უფრო გადამდებია, ვიდრე კარგი“, „თუ ჩემი შვილი მოახდენს მასზე ზეგავლენას“, „თუ ზეგავლენას არ მოახდენს ჩემს შვილზე“, „არ მივცემდი ეზოში ერთად ყოფნის საშუალებას“, „ფსიქოლოგიურად არ ვარ მზად“, „ალბათ სხვა ჯგუფში გადავიყვანდი“, „საერთოდ არ მინდა, რომ ჩემს შვილთან ერთად ისწავლოს“, „ასეთი ბავშვები ხომ ჩაგრავენ სუსტებს და ჭკვიანებს“, „ან ჭეშმარიტების გზა აირჩიოს, ან თავისი გზა მოძებნოს“, „შემეშინდება, ცუდი გავლენა არ მოახდინოს ჩემს შვილზე“, „შევეცდები მის გამოსწორებას“, „სასიამოვნო ნამდვილად არ იქნება“, „მოვითხოვდი ბავშვის გადაყვანას“, „ისინი ტელევიზიით ნახულობენ

ამგვარ სცენებს და ჰგონიათ, რომ ქურდობა და ჩხუბი კარგი ბიჭობაა და ისინიც მაგრები იქნებიან“, „თუ მას გენეტიკაში და სულში აქვს პრობლემა, მე ამ შემთხვევაში უძლური ვარ“, „დედას ყველაზე მეტად ავადმყოფი შვილი უყვარს, ეს ავადმყოფობაა“ და სხვ.

მოსწავლეების დამოკიდებულებას ანტისოციალური ქცევის მოზარდებთან მიმართებაში ხაზს უსვამს შემდეგი ტიპის კომენტარები, კერძოდ: „მსგავსი ბავშვები უპატრონოდ იზრდებიან“, „ბავშვები იმას აკეთებენ, რასაც ოჯახში ხედავენ“, „მათ საზოგადოება აიძულებს“, „მათზე ზემოქმედებას ახდენენ არასათანადო ქცევის ბავშვები“, „მეგობრები ერთმანეთს ყვებიან“, „მათ უხდებათ ქუჩაში მათხოვრობა, რომ საკმარისი საჭმელი ჰქონდეთ სახლში“, „ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ სკოლაში“, „ისინი უზრდელები, უნამუსოები და უცოდინრები არიან“, „შევეცდები მის შეცვლას“, „თუ კარგი ადამიანია კი“, „ვიმეგობრებ, მაგრამ ფრთხილად ვიქნები“, „ვეცდებოდი ჩემს მხარეს გადმომეყვანა“, „შესაძლოა მეც გავმხდარიყავი მათნაირი“, „ადამიანს მეგობრის მიხედვით საზღვრავენ“, „ცოტათი საშიში იქნება ასეთ ადამიანთან მეგობრობა“, „შეიძლება ჩემზე ცუდად იმოქმედოს“, „მოვერიდებოდი, რადგან მან შეიძლება მომაყენოს შეურაცხყოფა“, „ახლანდელი თაობა ადვილად გადადის სხვის ჭკუაზე“, „ერთნაირი ტიპის ხალხი ერთად უნდა იყვნენ“, „სკოლის სახელზე იმოქმედებს“, „მივცემდი ისეთ წამლებს, რომლებიც თავს დაანებებინებდა ქცევას“, „ვცემდი და გავაგებინებდი, რომ არ შეიძლება ასე მოქცევა“, „მოვკლავდი და ახალს გავაჩენდი“ და სხვ.

დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ქვემო ქართლის რეგიონში გამოკვეთილია ანტისოციალური ქცევის ძირითადი რისკფაქტორები – ინდივიდუალური ფაქტორები, ოჯახი, თანატოლები, სკოლა და საზოგადოება, ხოლო ანტისოციალური ქცევის მოზარდთა მიმღებლობა საგრძნობლად დაბალია. ამას ასევე უწყობს ხელს ისიც, რომ სახელმწიფოს სტრუქტურების მიერ, ამ ეტაპზე განხორციელებულ ღონისძიებებს მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენციის მიმართულებით, თითქმის არ გააჩნია ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორები, რაც მოზარდების მიმართ არსებული პრევენციული პოლიტიკის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა.

კვლევის შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ქვემო ქართლის რეგიონში არსებობს ნეგატიური დამოკიდებულებები ანტისოციალური ქცევის მოზარდების მიმართ, რაც ძირითადად ხელს შეუშლის სახელმწიფოს მიერ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები იძლევა მდიდარ თვისებრივ და რაოდენობრივ ინფორმაციას, თუმცა არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები. ერთის მხრივ, რაოდენობრივი მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიმღებლობა და დამოკიდებულება ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების მიმართ საკმაოდ ოპტიმისტურია, ხოლო თვისებრივი მონაცემები უფრო პესიმისტურ სურათს გვიხატავს. მშობლებს, ასევე პედაგოგების უმრავლესობას გაცნობიერებული აქვთ, რომ როგორც საზოგადოების ნაწილს, მათაც მიუძღვით მნიშვნელოვანი წვლილი ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდთა საზოგადოებასთან ინტეგრაციის საქმეში.

მოსწავლეებს აქვთ ყველაზე რაციონალური, ჯანსაღი და ადეკვატური დამოკიდებულება ანტისოციალური ქცევის მქონე თანატოლების მიმართ. კერძოდ, მათი უმეტესობა მზად არის იმეგობროს მათთან, რაც მიმღებლობის მაღალი დონის ინდიკატორია, ამასთანავე, ისინი აცნობიერებენ იმ

შესაძლო სირთულეებს, რომლებმაც შეიძლება თავი იჩინონ ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებთან ერთად სწავლის დროს, ამიტომ ერთობლივი სწავლის სურვილი შედარებით მცირეა.

ზემოთ აღნიშნულის საპირისპიროდ, მშობლები ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების და თავიანთი შვილების ერთად სწავლას უფრო მიესალმებიან, ვიდრე მათ მეგობრობას, რადგან თვლიან რომ მეგობრობას მათ შვილებზე ნეგატიური გავლენა ექნება. აღსანიშნავია, რომ მშობლების ნაწილი გამოთქვამს მზადყოფნას, რომ მათმა შვილებმა და ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებმა ერთად ისწავლონ და ნაკლებად მიიჩნევენ საჭიროდ სპეციალური სკოლების არსებობას ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებისთვის. ასევე, თუ მშობლებში ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვების ცნობადობა მაღალია, ისინი მხარს უჭერენ შვილებთან ერთად ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების სწავლის იდეას და ნაკლებად ემხრობიან სპეციალური სკოლების საჭიროებას, ხოლო თუ ცნობადობა დაბალია, მაშინ მათ არ სურთ ერთობლივი სწავლება და ემხრობიან სპეციალური სკოლების არსებობას.

ის პედაგოგები, რომლებსაც არ აქვთ მზაობა, რომ ასწავლონ ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებს, მათთვის სპეციალური სკოლების არსებობის იდეას უჭერენ მხარს და აღნიშნავენ, რომ ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვები ერთ კლასსა და ერთ სკოლაში არ უნდა სწავლობდნენ და პირიქით – მიმღებლობის მქონე მასწავლებლები ნაკლებად უჭერენ მხარს ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებისთვის სპეციალური სკოლების არსებობას და მიესალმებიან იმ იდეას, რომ ჩვეულებრივმა და ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვებმა ერთ კლასში ისწავლონ.

კვლევაში იკვეთება სოციალური დისტანციის საკითხი, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ დამოკიდებულება დადებითი არ არის. მიუხედავად ამისა, რესპონდენტების მიერ გამოთქმულ დამოკიდებულების გამომხატველ დებულებებში აღნიშნულია მზაობა შეხედულებების შეცვლის თაო-

ბაზე, თუკი შეიცვლება მოზარდის ანტისოციალური ქცევა. აღნიშნული პოზიცია ძალიან პასიურია, რადგან ცხადია, რომ ანტისოციალური ქცევა თავისთავად არ შეიცვლება სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან სათანადო მხარდაჭერის გარეშე.

მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან ვლინდება პასუხისმგებლობის არიდების პრობლემა. პასუხისმგებლობას, ანტისოციალური ქცევის კორექციაზე, მოსწავლეები და მშობლები სკოლას და პედაგოგებს აკისრებენ, ხოლო მასწავლებლები მშობლებს. მასწავლებლები და მშობლები გამოთქვამენ შიშს იმის თაობაზე, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდები ნეგატიურ პირად მაგალითს მისცემენ თანატოლებს, რომლებსაც მათი მიბაძვის გზით თვითონაც ანტისოციალური ტენდენციები ჩამოუყალიბდებათ. აღნიშნული სტრატეგიის გამოყენებით, ანტისოციალური ქცევის მოზარდებს საზოგადოება იზოლაციაში აქცევს, რითაც საზოგადოება ცდილობს დაცულად იგრძნოს თავი.

მონაცემების თვისებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ემოციური დამოკიდებულება ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების მიმართ ნეგატიურია, რაც გამოიხატება იმ უარყოფით იარლიყებში, რომლითაც მოზარდებს მოისხენიებენ მშობლები და პედაგოგები. ამასთანავე, იკვეთება ზერელე ტოლერანტობა ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების მიმართ, რაც ცალსახად ნეგატიური დამოკიდებულებაა, რომელიც გამოიხატება მოზარდის მიმართ მხოლოდ ფინანსური დახმარების გაწევაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების გამოცდილება, კერძოდ, იცნობენ თუ არა ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეს, გავლენას ახდენს ანტისოციალური ქცევის მოზარდის დახმარებაზე, ერთად სწავლის სურვილზე, მეგობრობაზე და ა.შ. ამასთანავე, კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები ცხადყოფს, რომ პედაგოგებს, მშობლებს და მოსწავლეებს ნეგატიური დამოკიდებულებები აქვთ ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების მიმართ, ხოლო მათ დამოკიდებულებებს, ძირითადად

განსაზღვრავენ სტერეოტიპები. კვლევის შედეგად, ასევე გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს და მშობლებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესახებ, ხოლო მოსწავლეებს აღნიშნულ საკითხზე შედარებით მეტი ინფორმაცია აქვთ. კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ინფორმირებულობა ხელს უწყობს ანტისოციალური ქცევის მოსწავ-ლეთა სწავლების მიმართ პედაგოგების მზაობას, ხოლო შვილის კლასში სწავლასთან დაკავშირებით მშობელთა მზაობას.

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიზეზი იმისა, რომ ერთის მხრივ რესპონდენტები ავლენენ მიმღებლობას ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების მიმართ და ამავდროულად გამოხატავენ აშკარა სოციალურ დისტანციას, არის ის თუ მიმღებლობის რომელ კომპონენტს ვგულისხმობთ. კოგნიტურ დონეზე, მშობლები და მასწავლებლები ფორ-მალურ კითხვებზე პასუხის გაცემისას გამოხატავენ მიმღებლობას, ხოლო მათი ნეგატიური დამოკიდებულება ვლინდება ემოციურ დონეზე, საკუთა-რი აზრის სიღრმისეულად გამოთქმის დროს, რაც კარგად ჩანს თვისებრივ მონაცემებში. ქცევით დონეზე ისინი ირჩევენ განრიდებას, პასიურობას და აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ხაზს უსვამენ გარე ფაქტორებს – სახელმწიფოს, სპეციალურ სკოლებსა და პროგრამებს. კვლევის ყველაზე ოპტიმისტური მიგნება არის ის, რომ მოსწავლეები, მშობლებისა და მასწავ-ლებლებისგან განსხვავებით, უფრო დადებით დამოკიდებულებას და მეტ მიმღებლობას გამოხატავენ ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების მიმართ ყველა კომპონენტში, რაც მომავალში პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას მნიშვნელოვნად გააადვილებს და უფრო ეფექტიანს გახდის ანტისოციალური ქცევის დაძლევას.

აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად და ანტისოციალური ქცევის დაძლევის მიმართულებით, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია საჯარო სტრუქტურების და სამოქალაქო სექტორის მიერ გათვალისწინებულ იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

- ✓ **ცნობიერების ამაღლება:**

- მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის იმის გაცნობიერება, რომ ნეგატიური დამოკიდებულება, აგრესია და სწორხაზოვანი კრიტიკა მხოლოდ ხელს უწყობს ანტისოციალური ქცევის განმტკიცებას. ასევე, პასუხისმგებლობა ანტისოციალური ქცევის პრევენციაზე ეკისრება თითოეულ მოქალაქეს და არა მხოლოდ პედაგოგებს ან ოჯახის წევრებს ან სახელმწიფოს წარმომადგენლებს;

- მნიშვნელოვანია განათლების სამინისტროს მიერ ყურადღება გამახვილდეს სკოლებში ადამიანის უფლებების და ტოლერანტობის შესახებ ცოდნის და ღირებულებების გადაცემის პროცესზე;

- დანაშაულის პრევენციის ცენტრის, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მიერ ხშირად გაიმართოს საინფორმაციო ტიპის შეხვედრები საზოგადოების წარმომადგენლებთან, რათა ერთის მხრივ, ხელი შეეწყოს მოსახლეობის ინფორმირებულობის პროცესს და ამასთანავე, მოხდეს არსებული მცდარი წარმოდგენების და სტერეოტიპების ცვლილება.

✓ **უფროსი მეგობარი** – მნიშვნელოვანია განათლების სამინისტროს მიერ მოხდეს წარჩინებული და წარმატებული მოსწავლეების ან სტუდენტების ჩართვა ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების მხარდაჭერის საქმეში;

✓ **სკოლის ფსიქოლოგები** – მნიშვნელოვანია სკოლის ფსიქოლოგის როლის გაძლიერება. დადებით როლს შეასრულებს ჯგუფური კონსულტირება ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებისთვის, სადაც მათ ექნებათ საშუალება გამოხატონ თავიანთი განცდები, გაიზიარონ სხვისი გამოცდილება და მიიღონ უკუკავშირი თერაპევტისგან, თუ როგორ მიმდინარობს მისი პროგრესი;

✓ **მულტიდისციპლინური გუნდი** – საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ გაზარდოს მულტიდისციპლინური გუნდის როლი და ფუნქციები სკოლებში, რათა პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და

მშობლებთან ჩატარდეს სპეციფიური მუშაობა ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების მიმღებლობის საკითხზე;

- ✓ **მედია-საშუალებები** – მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობამ აკრძალოს და გაამკაცროს სანქციები მედია-საშუალებების მიერ ძალადობის შემცველი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით დღის განმავლობაში, რათა შემცირდეს მოზარდების ხელმისაწვდომობა აღნიშნული შინაარსის მქონე პროდუქტებთან;
- ✓ **კოორდინაცია** – მნიშვნელოვანია დანაშაულის პრევენციის ცენტრის და სხვა სახელმწიფო უწყებების (მათ შორის სოციალური მომსახურების სააგენტოს), ასევე არასამთავრობო სექტორის მუშაობის კოორდინირებულობის გაზრდა და მათი მხარდაჭერა, რათა ხელი შეეწყოს პრობლემების დროულად იდენტიფიცირებას და მოგვარებაზე ზრუნვას.

ანტისოციალური ქცევის მიმართ პრევენციული ღონისძიებების განხორციელების დროს საზოგაოდების დამოკიდებულებების და იმ სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების ცოდნაა მნიშვნელოვანი, რომლებიც გავლენას ახდენს აღნიშნული ქცევის გამოვლენაზე. სახელმწიფო სტრუქტურებს, მათ ინფორმირებულობას და შემდგომი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი აქვს. მომავალ თაობაზე ზრუნვა ხომ თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გერგაული გ., ინკლუზიური განათლება - სახელმწიფო სტრატეგია და საზოგადოების დამოკიდებულება (სამაგისტრო ნაშრომი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011 წელი, 60 გვ.

2. Merriam-Webster, Thomson D. L., Merriam-Webster's Medical Desk Dictionary, Springfield, MA: Delmar Cengage learning, 2001, 894 p.

3. Patterson, Gr., Coercive family process. Eugene, OR; Castalia; 1982.

4. პაჭორია თ., ინკლუზიური განათლება - ცნებები და ტერმინები, თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2011 წელი, 96 გვ.

5. გიდენსი ე., სოციოლოგია, თბილისი: „ღია საზოგადოება - საქართველო". 2011 წელი, 719 გვ.

6. Otten, S.; Mummendey, A. Sozialpsychologische Theorien aggressiven Verhaltens. In: Frey, D.; Irle, M. (Hrsg): Theorien der Sozialpsychologie., Gruppen-, Interaktions- und Lerntheorien. 2., vollst. überarb. und erw. Aufl. Bern: Huber (Psychologie-Kehrtexte, hrsg. von Dieter Frey und Martin Irle; Bd. 2, 2002, ss. 198-217.

7. მელიქიშვილი მ., სწავლის სოციალურ-კოგნიტური თეორია, თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012 წელი, 67 გვ.

8. Grundmann, M., (Hg.) Sozialökologische Sozialisationsforschung. Ein anwendungsorientiertes Lehr- und Studienbuch. Konstanz: UVK Univ.-Verl. Konstanz (Konstanzer Beiträge zur sozialwissenschaftlichen Forschung, 9), 2000.

9. მელიქიშვილი მ., დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია, თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წელი, 14-15 გვ.

10. შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013 წელი, 176 გვ.

11. ადლერი ა., ბავშვის აღზრდა, თბილისი: გამომცემლობა „გეო"., 2014 წ. 244 გვ.

12. ნანეიშვილი გ., ოკრიბელაშვილი ნ., სამედიცინო ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2006 წ. 148 გვ.

13. გაგოშიძე თ., ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2007 წელი, 328 გვ.

14. Хилл Дж., Моэн Б. Расстройства поведения детского и подросткового возраста, Киев, Издательство: Сфера, 2006, ст. 540

15. Eddy J. M., Conduct disorders (The latest assessment and treatment strategies), published by compact clinicals, 2003.

16. Lahey B. B., Waldman I. D., & McBurnett K., The development of antisocial behavior: An integrative causal model. Journal of child psychology and psychiatry, 1999, 40. pp. 669-682.

17. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281, საქართველოს კანონი - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.12.2015 წ.

18. Thornton T. N., Craft C.A., Dahlberg L. L., Lynch B. S., & Baer K., Best practices of youth violence prevention: A sourecebook for community action. Atlanta, GA: United States Department of health and human services, center for diserase control and prevencion, national center for injury prevention and control. 2000, p. 226.

19. Nelson C. M., Rutherford R. B., & Wolford B. I. (eds.). Comprehensive collaborative systems that work for troubled youth: A national agenda. Richmond, KY: National coalition for juvenile justice services. 1996.

20. Loeber, R., and Hay, D.F. Developmental approaches to aggression and conduct problems. In *Development Through Life: A Handbook for Clinicians*, edited by M. Rutter and D.F. Hay. Oxford, England: Blackwell Scientific Publications. 1994.

21. გოგოტიშვილი თ., ნადირაშვილი დ., ბარამიძე ა., და სხვ. მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური პრევენცია, თბილისი: შპს „ფავორიტი პრინტი“, 2011 წელი, 248 გვ.

22. Behavent.com/apa-diagnostic-classification-dsm-iv-tr, DSM-IVTR, 2000, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.12.2015 წ.

23. Classifications.moh.gov.ge/classifications/pages/ViewICD10.aspx, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მეათე გადასინჯვა, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა - 16.12.2015 წ.

24. Loeber R, Farrington D. P., eds. Child delinquents: Development, intervention, and Service Needs. Thousand oaks, C.A.: Sage publications, Inc. 2001. 495 p.

25. Benton A. l., Pearl D., eds. Dyslexia: an appraisal of current knowledge. New York: Oxford university press. 1978, p. 544.

26. ლაღიძე ა., ბაგრატიონი მ., პაჭკორია თ., ინკლუზიური განათლება - გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2009 წელი, 164 გვ.

27. პაჭკორია თ., ვისწავლოთ ერთად ინკლუზიური განათლება, თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2008 წელი, 512 გვ.

28. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი: გამომცემელი იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2010 წ. 352 გვ.

29. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბილისი: გამომცემელი იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2009 წ. 244 გვ.

30. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი: გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2011 წ. 216 გვ.

31. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1617344, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.12.2015 წ.

32. http://pog.gov.ge/geo/projects/current?info_id=86, განრიდების და მედიაციის პროგრამა, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.12.2015 წ.

33. http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi/geo/sxvadasxva%20statistika/ojaxuri_dzaladoba-saboloo(1).pdf, „ოჯახური ძალადობა, ოჯახური კონფლიქტები და არასრულწლოვნები“ 2007-2011 წ.წ. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.12.2015 წ.

34. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.41&d=HASH01ee1d329b82216b116a7f9b.12&gt=1, - კელენჯერიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზები და პირობები. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.12.2015 წ.

35. მელიქიშვილი მ., მორალური განვითარების თეორია, თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012 წ. 48 გვ.

36. თავართქილაძე ე. ქ., ბავშვის განვითარების ძირითადი საკითხები, თბილისი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2010 წელი, 132 გვ.

37. ბავშვის უფლებათა კონვენცია, თბილისი, 2008 წელი, 48 გვ.

38. ნანეიშვილი გ., ფსიქიატრიის მოკლე კურსი, თბილისი: გამომცემლობა შპს „თობალისი“, 2008 წელი, 150 გვ.

39. კისი ჰ., სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2007 წელი, 532 გვ.

40. ბოგიშვილი დ., ძალადობის აღქმა და პრაქტიკა სკოლაში, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2012 წელი, 37 გვ.

41. ღონღაძე ნ., თვალთვაძე ნ., ებანოიძე ქ., და სხვ. არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში, თბილისი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სახელმწიფო მმართველობის სკოლა, 2004 წელი, 70 გვ.

42. ორჯონიკიძე ნ., მოსწავლეებში ზნეობრივ-სოციალური ორიენტაციის ჩამოყალიბება, როგორც მოქალაქეობრივი აღზრდის პედაგოგიური პირობა, თბილისი: პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი, 2002 წ. 140 გვ.

43. გიგიტაშვილი მ., ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა აღზრდის ახალი პრინციპების განხორციელების საქმეში, თბილისი: თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, 2005 წ. 124 გვ.

44. ბარაბაძე ხ., სკოლის აღმზრდელობითი საქმიანობა განათლების სისტემიაში მიმდინარე ინოვაციური პროცესების პირობებში, თბილისი: თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, 2005 წ. 165 გვ.

45. ჯალაღანია ი., სოციალური გარემოს გავლენა ინდივიდის დანაშაულებრივ ქმედებაზე, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2004 წ. 140 გვ.

46. ნადიბაიძე ნ., მოზარდის ემოციური თავისებურებანი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პირობებში, თბილისი: ფსიქოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 2006 წ. 100 გვ.

47. ბერკი ლ., ბავშვის განვითარება, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი, 871 გვ.

48. უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, 2003 წელი. 608 გვ.

49. ყოლბაია მ., სკოლის ფსიქოლოგია, თბილისი: გამომცემლობა „ცის ნამი“, 2008 წელი, 308 გვ.

50. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი: გამომცემლობა მწიგნობარი, 2011 წელი, 421 გვ.

51. ყოლბაია მ., სკოლის ფსიქოლოგია, თბილისი: გამომცემლობა „ცის ნამი“, 2008 წელი, 308 გვ.

52. წერეთელი მ., ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტთა ინტერკულტურული სენსიტიურობა საქართველოში, თბილისი, 2015 წელი, 92 გვ.

53. ბერკი ლ., ბავშვის განვითარება, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი, 871 გვ.

54. ნამიჭეიშვილი ს., მგელიაშვილი მ., სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები, სახელმძღვანელო ბავშვებსა და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის, თბილისი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2010 წელი, 206 გვ.

55. ჯავახიშვილი ნ., ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2004 წელი, 138 გვ.

56. დიალოგი+, ალმანახი (II ტომი), თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2010 წელი. 272 გვ.

57. კუტუბიძე ი., კაცობრიობის მომავალი გლობალიზებულ სამყაროში, (ტენდენციები და პერსპექტივები), თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013 წელი, 198 გვ.

58. გაგოშიძე თ., ჭინჭარაული თ., ფილაური ქ., ბაგრატიონი მ., ინკლუ-ზიური განათლების პრინციპები, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2008 წელი. 188 გვ.

59. ჭინჭარაული თ., ბაგრატიონი მ., ლაღიძე ა., პაჭკორია თ., ინკ-ლუზიური განათლება - სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება, თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2010 წელი. 200 გვ.

60. ჯანაშია ს., ბერძენიშვილი თ., საძაგლიშვილი შ., და სხვ. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება (მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო) თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2007 წელი. 84 გვ.

61. მელიქიშვილი მ., ბიჰევიორიზმი, თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012 წელი. 68 გვ.

62. მელიქიშვილი მ., მოტივაცია, თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წელი. 80 გვ.

63. Крайг Г., Бокум Д., Психология Развития, Санкт-Петербург: Питер. 2005 г. 940 с.

64. Васильев, В. А., Юридическая психология, Питер, 2005 г. 655 с.

65. http://mes.gov.ge; - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.12.2015 წ.

66. http://police.ge; - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.12.2015 წ.

67. https://matsne.gov.ge; - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.12.2015 წ.

68. http://pog.gov.ge; - გენერალური პროკურატურა - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.12.2015 წ.

69. http://geostat.ge; - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.12.2015 წ.

70. http://moh.gov.ge; - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.12.2015 წ.

71. http://prevention.gov.ge; - დანაშაულის პრევენციის ცენტრი - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.12.2015 წ.

72. http://www.ncac.ge; - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.12.2015 წ.

დანართი

კითხვარი პედაგოგებისთვის.

გთხოვთ, კითხვარი შეავსოთ სრულად და გულწრფელად გასცეთ მოცემულ კითხვებს პასუხი. მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

1. სქესი (შემოხაზეთ): ა. მდედრობითი; ბ. მამრობითი;
2. ასაკი (ჩაწერეთ):
3. საცხოვრებელი ადგილი (მიუთითეთ ქალაქი/სოფელი):
4. განათლება (შემოხაზეთ):

   ა. საშუალო

   ბ. არასრული უმაღლესი

   გ. უმაღლესი

   დ. პროფესიული

   ე. სხვა:

1. თქვენი აზრით, რა მიზეზები უწყობს ხელს ანტისოციალური ქცევის (მაგ. ქურდობა, აგრესია, ჩხუბი, წესების დარღვევა, ძალადობა, მოწევა, ალკ. სასმელების მიღება და სხვ.) განხორციელებას მოზარდებში? (პასუხი ახსენით):
2. გქონიათ თუ არა შეხება (იცნობთ თუ არა) ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლესთან?

   ა) დიახ ბ) არა

3. ხართ თუ არა მზად იმისათვის, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვმა ისწავლოს თქვენს კლასში? (პასუხი ახსენით):
4. თქვენი აზრით, როგორი ქცევის მქონე ბავშვის მიღება გაგიჭირდებოდათ თქვენს კლასში / სკოლაში? (პასუხი ახსენით):
5. თუ თქვენს კლასში სასწავლებლად გადმოყავთ ანტისოციალური ქცევების მქონე მოსწავლე, რას მოიმოქმედებდით? აქვს თუ რა ამ შემთხვევაში მნიშვნელობა თქვენთვის ბავშვის ქცევით გამოვლინებებს, ასაკს და სხვა ფაქტორებს? (პასუხი ახსენით):
6. უნდა არსებობდეს თუ არა სპეციალური სკოლები ანტისოციალური ქცევების მქონე ბავშვებისთვის? (პასუხი ახსენით):

7. ფიქრობთ თუ არა, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლის ახალ სასწავლო გარემოში გადაყვანამდე პედაგოგების, მშობლების და მოსწავლეების ინფორმირებაა საჭირო? (პასუხი ახსენით):
8. უნდა სწავლობდნენ თუ არა ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვები ერთ კლასში და სკოლაში? (პასუხი ახსენით):
9. რომ შეგეძლოთ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვის დახმარება, რას გააკეთებდით მისთვის? (პასუხი ახსენით):
10. თქვენი აზრით, უნდა მოიცავდეს თუ არა ინკლუზიური განათლების პროგრამები ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეების სწავლებას? (პასუხი ახსენით):
11. თქვენი აზრით, სკოლის პირობებში, რა უშლის ხელს ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი):
    1) არასათანადოდ მოწყობილი სასკოლო გარემო
    2) შესაბამისი პროგრამების სიმცირე
    3) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების/სპეციალისტების სიმცირე
    4) დაბალი ანაზღაურება
    5) საზოგადოების დამოკიდებულება
    6) სხვა (გთხოვთ ჩაწეროთ):
12. იმისთვის, რომ მოქალაქეებმა უკეთ გაიაზრონ ანტისოციალური ქცევის პრევენციის/შემცირების აუცილებლობა, არის თუ არა საჭირო საზოგადოების უფრო მეტად ინფორმირება ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ? (პასუხი ახსენით):
13. თქვენი აზრით, რამდენად არის მნიშვნელოვანი საზოგადოების დამოკიდებულებები და მათი ჩართულობა მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენციისთვის?
    1) მნიშვნელოვანია
    2) ნაკლებად არის მნიშვნელოვანი
    3) არ არის მნიშვნელოვანი

14. გაქვთ თუ არა ინფორმაცია საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესახებ?

    ა) არა

    ბ) დიახ (დადებითი პასუხი დააკონკრეტეთ):

15. თქვენი აზრით, ვისი მონაწილეობაა ყველაზე მნიშვნელოვანი მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენციის ღონისძიებებში? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი):

    1. საჯარო სექტორი - მთავრობა, სამინისტროები, სსიპ-ები და სხვ.
    2. არასამთავრობო სექტორი - არასამთ. და საზოგად. ორგანიზაციები და სხვ.
    3. ადგილობრივი თვითმმართველობები, მუნიციპალიტეტები და სხვ.
    4. მედია საშუალებები
    5. სკოლა
    6. ოჯახი
    7. სხვა (გთხოვთ ჩაწეროთ):

16. თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს ქვეყანამ/საზოგადოებამ იმისთვის, რომ მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული შემცირდეს? (პასუხი ახსენით):

კითხვარი მშობლებისთვის.

გთხოვთ, კითხვარი შეავსოთ სრულად და გულწრფელად გასცეთ მოცემულ კითხვებს პასუხი. მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

1. სქესი (შემოხაზეთ): ა. მდედრობითი; ბ. მამრობითი;
2. ასაკი (ჩაწერეთ):
3. საცხოვრებელი ადგილი (მიუთითეთ ქალაქი/სოფელი):
4. განათლება (შემოხაზეთ):

    ა. საშუალო

    ბ. არასრული უმაღლესი

    გ. უმაღლესი

    დ. პროფესიული

ე. სხვა:

1. თქვენი აზრით, რა მიზეზები უწყობს ხელს ანტისოციალური ქცევის (მაგ. ქურდობა, აგრესია, ჩხუბი, წესების დარღვევა, ძალადობა, მოწევა, ალკ. სასმელების მიღება და სხვ.) განხორციელებას მოზარდებში? (პასუხი ახსენით):
2. გქონიათ თუ არა შეხება (იცნობთ თუ არა) ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვთან?

   ა) დიახ ბ) არა
3. მისცემდით თუ არა თქვენს შვილს უფლებას ემეგობრა ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვთან / მოსწავლესთან, თუ ის მის კლასში ან სკოლაში ისწავლის? (პასუხი ახსენით):
4. ხართ თუ არა მზად იმისთვის, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვმა ისწავლოს თქვენს შვილთან ერთად? (პასუხი ახსენით):
5. თქვენი აზრით, გაგიჭირდებოდათ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვის / მოსწავლის მიღება თქვენს წრეში? (პასუხი ახსენით):
6. თუ თქვენი შვილის კლასში სასწავლებლად გადმოყავთ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლე, რას მოიმოქმედებდით? (პასუხი ახსენით):
7. უნდა არსებობდეს თუ არა სპეციალური სკოლები ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვებისთვის? (პასუხი ახსენით):
8. ფიქრობთ თუ არა, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლის ახალ სასწავლო გარემოში გადაყვანამდე პედაგოგების, მშობლების და ბავშვების ინფორმირებაა საჭირო? (პასუხი ახსენით):
9. უნდა სწავლობდნენ თუ არა ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვები ერთ კლასში და სკოლაში? (პასუხი ახსენით):
10. რომ შეგეძლოთ ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვის დახმარება, რას გააკეთებდით მისთვის? (პასუხი ახსენით):
11. იმისთვის, რომ მოქალაქეებმა უკეთ გაიაზრონ ანტისოციალური ქცევის პრევენციის/შემცირების აუცილებლობა, არის თუ არა საჭირო

საზოგადოების უფრო მეტად ინფორმირება ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ? (პასუხი ახსენით):

12. თქვენი აზრით, რამდენად არის მნიშვნელოვანი საზოგადოების დამოკიდებულებები და მათი ჩართულობა მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენციისთვის?
    1) მნიშვნელოვანია
    2) ნაკლებად არის მნიშვნელოვანი
    3) არ არის მნიშვნელოვანი
13. გაქვთ თუ არა ინფორმაცია საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესახებ?
    ა) არა
    ბ) დიახ (დადებითი პასუხი დააკონკრეტეთ):
14. თქვენი აზრით, ვისი მონაწილეობაა ყველაზე მნიშვნელოვანი მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენციის ღონისძიებებში? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი):
    1) საჯარო სექტორი - მთავრობა, სამინისტროები, სსიპ-ები და სხვ.
    2) არასამთავრობო სექტორი - არასამთ. და საზოგად. ორგანიზაციები და სხვ.
    3) ადგილობრივი თვითმმართველობები, მუნიციპალიტეტები და სხვ.
    4) მედია საშუალებები
    5) სკოლა
    6) ოჯახი
    7) სხვა (გთხოვთ ჩაწეროთ):
15. თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს ქვეყანამ/საზოგადოებამ იმისთვის, რომ მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული შემცირდეს? (პასუხი ახსენით):

კითხვარი მოსწავლეებისთვის.

გამარჯობა. კითხვარის შევსების შემდეგ ნიშანი არ იწერება, ამიტომ გთხოვ, რომ ქვემოთ დასმულ კითხვებს გულწრფელად უპასუხო. კითხვარს

ნუ დააწერ სახელს და გვარს, უბრალოდ მიუთითე შენი ასაკი, სქესი და საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი ან სოფელი).

1. სქესი (შემოხაზე): ა. მდედრობითი; ბ. მამრობითი;
2. რამდენი წლის ხარ?
3. რომელ ქალაქში / სოფელში ცხოვრობ?
1. შენი აზრით, რატომ არღვევენ არსებულ წესებს ის ბავშვები/მოზარდები, რომლებსაც ახასიათებთ ანტისოციალური ქცევა (მაგ. ქურდობა, აგრესია, ჩხუბი, წესების დარღვევა, ძალადობა, მოწევა, ალკოჰოლური სასმელების მიღება და სხვ.)?
2. გქონია თუ არა შეხება (იცნობ თუ არა) მოსწავლესთან, რომელსაც ახასიათებს ანტისოციალური ქცევა?

   ა) დიახ ბ) არა
3. შენი აზრით, უნდა სწავლობდნენ თუ არა ჩვეულებრივი და ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეები ერთ კლასში ან სკოლაში? (პასუხი ახსენი):
4. რომ შეგეძლოს ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვის დახმარება, რას გააკეთებდი მისთვის? (პასუხი ახსენი):
5. იმეგობრებდი თუ არა ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლესთან, თუ ის შენს კლასში ან სკოლაში ისწავლის? (პასუხი ახსენი):
6. გაქვს თუ არა ინფორმაცია, რომ არსებობს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია?

   ა) დიახ ბ) არა
7. მიიღებდი ისეთ ღონისძიებებში მონაწილეობას, რომელიც მოზარდებში დანაშაულის შემცირებას შეუწყობს ხელს?

   ა) დიახ ბ) არა
8. რომ შეგეძლოს, რას გააკეთებდი იმისთვის, რომ მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული შემცირდეს? (პასუხი ახსენი):